# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

№ 35 (5636)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ძაღლის თავი – პარლამენტში, წურბელები – ხალხის კისერზე...



11

დისკუსია

8-9

## ერთხელ კიდევ აფხაზეთის 1989 წლის კრიზისის გამომწვევი მიზეზების შესახებ

SOS!

6

## „კედიანებზე“ ნადირობა იწყება

## ზვიად გამსახურდიას სამი საფლავი



10

უნივერსიტეტი

5

## ვერ შევურიგდებით ქართული განათლებისა და მეცნიერების ნგრევას!



## რატომ ვერ იტანს კახა ბენდუქიძე „უსაქმურ სტაჟიანებს“?

2



# სახელმწიფო

● სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ოპოზიცია დემაგოგიური განცხადებებით გამოსვლაში დაადანაშაულა და ოპოზიციის მოთხოვნას, პენსიების სტაჟისა და ნამსახურობით დარიგების თაობაზე „სულელურად გათვლილი დემაგოგია“ უწოდა



◎ სამხედრო უწყება

## მართლა უპრეცედენტო დოკუმენტია?



**სენაკის სამხედრო ბაზაზე ოფიცერთა ახალი პროგრამის პრეზენტაციზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა განსაკუთრებული პრივილეგიებისა და შეღავათების აქტს, რომელსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში უპრეცედენტო დოკუმენტი უწოდა.**

— დღეს ჩვენ ვაწერთ ხელს საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერთა განსაკუთრებული პრივილეგიებისა და შეღავათების აქტს, რაც თავისთავად არის უპრეცედენტო დოკუმენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში. გვინდა ბოლომდე მივიყვანოთ წამოწყებული საქმე, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა, რომ დაინგრა სკეპტიკოსთა მოსაზრება საქართველოში ჯარის არსებობის აუცილებლობის შესახებ.

— დავანგრიეთ სკეპტიკური მოსაზრება გვჭირდება თუ არა ჯარი. რა თქმა უნდა გვჭირდება, რადგან ჩვენ ვართ რთული რეგიონი, — აღნიშნა სააკაშვილმა

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მათ, ვინც სენაკის სამხედრო ბაზის მოწყობაში მიიღო მონაწილეობა.

— მინდა მადლობა გადაუხადო ყველას, ვინც ამ ნაწილის შექმნაში მონაწილეობდა — ირაკლი ოქრუაშვილს, ლევან ნიკოლეიშვილს, ზაზა გოგავას, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის თქმით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა ბრიგადა გადადის პროფესიული დაკომპლექტებაზე. ამავდროულად საქართველოს ეყოლება ათასობით რეზერვისტი. ყველა ოფიცერი, ვინც იმსახურებს კონტრაქტით, მიიღებს უფასო საცხოვრებელ ბინას თბილისში და ბათუმში.

შეგახსენებთ, რომ პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებისა და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთაგან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ოფიცერთა ელიტის ჩამოყალიბებას.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველები სპეციალურ მოსამზადებელ კურსებს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ აკადემიაში გაივლიან, რის შემდეგაც მათთან კონტრაქტები გაფორმდება. ელიტარულ ოფიცრებს მაღალი ანაზღაურება დაენიშნებათ.

შეიარაღებულ ძალებში 4-წლიანი საკონტრაქტო სამსახურის შემდეგ ოფიცრები საცხოვრებელ ბინებს მიიღებენ. ისინი ასევე უზრუნველყოფილნი იქნებიან საბანკო შეღავათებითა და გრძელვადიანი კრედიტებით.

## მოამზადებენ სამთოელებს

**საფრანგეთის სამთო ინსტრუქტორთა ხუთკაციანი ჯგუფი პოლკოვნიკ ბლაზ მიშელის ხელმძღვანელობით ქართველი სამხედროების გაწვრთნის მიზნით საქართველოში ჩამოვიდა.**

ქართველი სამხედროების მომზადების შესახებ საქართველოსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულებას ხელი 2006 წლის 19 ოქტომბერს მოეწერა. ამ ეტაპზე ქართველი სამხედროების ზამთრის პირობებში გაწვრთნა იგეგმება. ალპინისტთა მომზადება-გადამზადების სამსახური თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას საჩხერის სამთო-სასწავლო სკოლაში გაივლის.

სამხედრო მოსამსახურეები ხუთი კვირის განმავლობაში თხილამურებით გადაადგილებას, მთიდან დაშვების ხერხებს და სხვა სამთო-ალპინისტურ მომზადებას გაივლიან. საფრანგეთის სამთო ინსტრუქტორთა ჯგუფი სწავლების მსგავსი კურსის ჩასატარებლად საქართველოში ჩამოსვლას ზაფხულშიც გეგმავს. ხელშეკრულების თანახმად, საქართველოსა და საფრანგეთს შორის ორმხრივი თანამშრომლობა 2008 წელსაც გაგრძელდება.



**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ აქცია

## ვეტერანებმა წითელი ვარდი გათელეს

**ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანებმა რევოლუციის სიმბოლო — წითელი ვარდები კანცელარიის შენობის შესასვლელთან ფეხით გათელეს.**

— ამ ხელისუფლებამ ჩვენი უფლებები გათელა და არაფრად გვაგდებს. შეურაცხყოფილი ხალხი მთავრობას ამ ვარდებივით გათელავს, რადგან ისინი ხალხზე არ ზრუნავენ. ვეტერანების პრობლემებზე მთავრობის წევრები ყრუმუნჯები გახდნენ,— განაცხადეს კანცელარიის წინ ვეტერანებმა.

ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები სოციალური შეღავათების აღდგენის მოთხოვნით უახლოეს მომავალში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შიმშილობის აქციის დაწყებას აპირებენ, რადგან შეღავათების გაუქმების ინიციატორად ისინი მას მიიჩნევენ.

**ინტერპრესნიუსი**

◎ დაწუნებული კანონპროექტი

## ოპოზიციის „სულელური დემაგოგია?“

**„დემოკრატიული ფრონტის“ მიერ მომზადებული კანონპროექტი „სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე ხელისუფლებას არ მოსწონს.** ზვიად ძიძიგურმა პენსიების სტაჟისა და დამსახურების გაცემის გამო ხელისუფლება წინასაარჩევნო აფიორაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა. მან საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ წინასწარი შეთანხმებების მიუხედავად, მის კანონპროექტზე ჯანდაცვის კომიტეტისგან უარყოფითი დასკვნა მიიღო.

ოპოზიციონერი დეპუტატის კანონპროექტის თანახმად, საბაზისო პენსიად 38 ლარის ნაცვლად, განსაზღვრულია 42 ლარი, ხოლო თითო ნამსახურევ წელზე 1 ლარი ემატება.

ზვიად ძიძიგურის ეს კანონპროექტი დაიწუნა მთავრობამაც. დეპუტატის თქმით, ხელისუფლება ტყუის, როდესაც ამბობს, პენსიების სტაჟისა და დამსახურების მიხედვით გაცემა არ შეიძლებაო. ძიძიგურის განმარტებით, ამ პრინციპის განსახორციელებლად თვეში 17 მილიონია საჭირო, ხოლო ერთი წლისთვის საპენსიო ფონდი 200 მილიონს არ აღემატება: „თბილისში დღეს პენსიები სწორედ ამ პრინციპით რიგდება. მართალია, ნამსახურობისთვის მაქსიმალური დანამატი 10 ლარია, მაგრამ მთავარია, რომ პრინციპი ხორციელდება. ცუდი ის არის, რომ ეს მხოლოდ თბილისში ხდება. რა დააშავა იმ პენსიონერმა, ვინც თბილისში არ ცხოვრობს? — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

მისი აზრით, საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა მოტყუებულია, ხოლო მინისტრებს „არ ადარდებთ მოსახლეობის ბედი, რადგან თავად დეკლარირებული მილიონერები არიან... ზურაბ ნოღაიდელის დეკლარაციაში ჩაწერილია, რომ მას აქვს 1 მლიონი ლარი, ასევე, მრავალი ასეული ათასი ლარი დეკლარირებული აქვს ლოყაწითელ მინისტრს — ლადო ჭიპაშვილს. მისი ხელფასი რამდენიმე ათეული ათასი ლარია, ამას ემატება პრემიები, სამივლინებო თანხები... რატომ იზრუნებს პენსიონერებზე კახა ბენდუქიძეც, როცა თვითონ ოფიციალურად, მილიონერია. მათ უარით კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ „აფერისტები“ არიან, არანაირად არ სურთ პენსიების მომატება და ეს ყველაფერი წინასაარჩევნო აფიორა იყო“.

ზვიად ძიძიგურის თქმით, ხელისუფლება ჯერ კიდევ ადგილობრივი არჩევნების წინ აცხადებდა, რომ ამ პრინციპს მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელებდა, თუმცა მან „ეს შეთანხმება დაარღვია და კანონპროექტზეც უარს ამბობს“.

სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ოპოზიცია დემაგოგიური განცხადებებით გამოსვლაში დაადანაშაულა და ოპოზიციის მოთხოვნას, პენსიების სტაჟისა და ნამსახურობით დარიგების თაობაზე „სულელურად გათვლილი დემაგოგია“ უწოდა.

ბენდუქიძის თქმით, ასეთ შემთხვევაში გაზრდილ პენსიას მიიღებს, ძირითადად, ქალაქში მცხოვრებ პენსიონერთა მეოთხედი:

„უსამართლობაა, პენსია არ მიიღოს ქალმა, რომელიც შინ იჯდა და შვილები გაზარდა. ხოლო სტაჟის მიხედვით პენსია მოემატოს ქალს, რომელიც რაიკომში უსაქმოდ მუშაობდა... მითხარით, სამართლიანია ოპოზიციის მოთხოვნა, რომ სტაჟიან უსაქმურებს პენსია გაეზარდოთ, ხოლო ვინც მართლა მთელი სიცოცხლე მძიმე შრომაში გაატარა და რაღაც მიზეზის გამო ეს მუშაობა სტაჟში არ ეთვლებათ, პენსია არ მიიღონ?“ — განაცხადა ბენდუქიძემ. სახელმწიფო მინისტრის თქმით, დღეს თბილისში 300 ათასი პენსიონერია და აქედან სტაჟი მხოლოდ 60 ათასს აქვს: „85 წლის მოხუცს უფრო სჭირდება დახმარება, ვიდრე 65 წლის პენსიონერს. ამიტომ ვამბობ, რომ ოპოზიციის ეს მოთხოვნა დემაგოგიაა და ცხადია, ჭკვიანი ხელისუფლება ამას ყურსაც არ დაუგდებს“, — დაასკვნა ბენდუქიძემ.

„დემოკრატიული ფრონტი“ კი საგაზაფხულო სესიაზე კანონპროექტის შესაძლო ჩაგდების შემთხვევაში, პენსიონერთა გრანდიოზული მიტინგით იმუქრება.

### რატომ ვერ იტანს კახა ბენდუქიძე „უსაქმურ სტაჟიანებს“?



**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ათასმეერთე...

## ვითომ, „ჩვენი საქართველო“ უშველის ჩვენს საქართველოს?

**საქართველოში არსებული უამრავი პარტიისა თუ მოძრაობის ფონზე, გუშინ, „დედაენის“ ძეგლთან შედგა — კიდევ ერთი პოლიტიკური მოძრაობის „ჩვენი საქართველოს“ პრეზენტაცია. მისი დამფუძნებელი და ინიციატორი ორად-ორი ადამიანია: ლევან გუდაძე და ზურაბ კილაძე. მათ გარდა ამ მოძრაობაში ჯერ არავინ შესულა, რადგან მათივე განმარტებით: „ეს არის პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც სათავეს დღეს იღებს და ახლა ყალიბდება. ჩვენ იმდენი წევრი გვეყოლება, რამდენიც ამ ქვეყნის მოყვარული და გულშემატკივარი გამოჩნდება საქართველოში.**

ახალდგამომცხვარი პოლიტიკური მოძრაობის ლიდერები თანადგომასა და მხარდაჭერას სთხოვენ საზოგადოებრიობას და მათ აცნობენ თავიანთ „კურსს“: ქვეყნის განვითარების უალტერნატივო მიმართულებად პროამერიკული საგარეო პოლიტიკური კურსის ნეიტრალიტეტით ჩანაცვლება და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზება, ასევე ქვეყნის ცხოვრებაში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ღირებულებების რეალურად დამკვიდრება, ადამიანზე ორიენტირებული საშინაო პოლიტიკაა.

„როგორც წინა, ასევე მოქმედი ხელისუფლება პოლიტიკურ დაკვეთებს არა საქართველოს მოსახლეობიდან, არამედ ვაშინგტონის ადმინისტრაციიდან იღებდა და იღებს. საქართველოს წინსვლა უნდა განაპირობოს ნეიტრალიტეტმა და გლობალური დაპირისპირებებისგან განზე დგომამ. ჩვენი მთავარი მიზანია, ხელისუფლებაში ეროვნული სულისკვეთების ადამიანთა მოყვანა და ხელისუფლებაზე რეალური კონტროლის დაწესება. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება დემოკრატიულ პრიციპებზე ლაპარაკი“, — განაცხადა ლევან გუდაძემ.

„ჩვენი საქართველოს“ ლიდერები იმედოვნებენ, რომ მათი სურვილები და მიზნები საზოგადოებრიობაში გახმაურებას ჰპოვებს და მათთან შეხვედრის და გასაუბრების სურვილს გამოთქვამენ.

„უნდა მოხდეს ხალხის კონსოლიდაცია. ჩვენ უსაფუძვლოდ როდი ვვარაუდობთ, რომ საზოგადოების პასიურობის შემთხვევაში, ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ საქართველოს ამერიკის კოლონიზაციის უკანასკნელ აკორდად შეიძლება იქცეს, მიხეილ სააკაშვილი კი, ახალი ამერიკული კოლონიის საქართველოს განუსაზღვრელი ვადით დანიშნულ გუბერნატორად“, — აცხადებენ ისინი.

აქვე იმასაც აცხადებენ, რომ „ჩვენი საქართველოს“ ინიციატივისადმი საზოგადოებრიობის გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევაში გულისტკივილით გააკეთებენ სამწუხარო არჩევანს, რომლის წინაშეც საქართველოს მოსახლეობის 70-80 პროცენტია. თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში — არჩევანს ნელი სიკვდილისა და ემიგრაციას შორის.

საწყალი საზოგადოებრიობა, ათასი მოდის ხოლმე ხმამაღალი პოლიტიკური დაპირებით და რა უკვალოდ ქრება შემდეგ!

ახლა ათასმეერთე გამოჩნდა.

ვითომ, „ჩვენი საქართველო“ უშველის ჩვენს საქართველოს?

**სოფიო გოგლიძე**

● ფრიად საინტერესოა, რა უნდა ბატონ პრემიერს ჰოსპიტალური სექტორისაგან და რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავს მისი განვითარებისათვის



◎ წერილი ფლორიდიდან

# აქა ამბავი კანადელი სიძისა და პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძის მოსწრებული პასუხისა

**ამას წინათ, კანადის პარლამენტის სპიკერის ჯონ მილიკეინის მიწვევით, ქვეყანაში სტუმრობდა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით.**

ვიზიტი წარმატებული იყო; ცხადია, ამას ჟურნალისტები სათანადოდ გააშუქებდნენ, მაგრამ როგორც თვითმხილველმა მითხრა, მოხდა ერთი უსიამოვნო ფაქტი, რამაც კალამი ამაღებინა ...

კანადის დედაქალაქ ოტავაში ჩვენი მეგობრების ოჯახი ცხოვრობს.

ნანა გოგოლაშვილი 22 წლის გოგონა იყო, თბილისში სტუმრად მყოფი კანადელი ასპირანტის პიტერ კუპერის გული რომ დაიპყრო.

თავდაპირველად, ნანას მშობლები ქორწინების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ — გლობუსის მეორე მხარეს, სადღაც დასაკარგავში შვილს როგორ გავათხოვებთო ...

პიტერმა საზრიანობა გამოიჩინა — თბილისში „შუამავლებად" მშობლები ჩამოიყვანა: მომხიბლავი ქალბატონი სუზანი და დინჯი ინგლისელი, ბატონი ჯეიმსი.

ცხადია, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა.

გუშინდელ დღესავით მახსოვს: — მაყრიონის გრძელი კორტეჟი მცხეთისკენ, ჯვრისწერა სვეტიცხოველში, ზღაპრული ქორწილი თბილისში — ატენის ქუჩაზე ათასი კეთილი სურვილებით ...

რამდენიმე დღეში სიძე და მისი მშობლები კანადაში დაბრუნდნენ, პატარძალი კი გამგზავრების სამზადისს შეუდგა. ჩქარობდა, ძალიან ეჩქარებოდა რჩეულთან შეხვედრა, მაგრამ იქ, „ზემოთ" არ ჩქარობდნენ...

სხვადასხვა „მიზეზის" გამო, ვიზის გაცემა ძალიან გაჭიანურდა — დრო იყო ასეთი ...

ბოლოს, ეტყობა, გული მოულბათ თუ ნანას გამუდმებული ვიზიტებისაგან დაოსდნენ, ვიზა გაიცა ...

შემდეგ, როგორც ზღაპარშია ... კანადაში ყველაფერი ჩინებულად წარიმართა, ახალგაზრდებს ორი ვაჟი შეეძინათ — ნიკოლოზი და ალექსანდრე.

რა დრო გასულა! — ბიჭები უკვე უნივერსიტეტს ამთავრებენ, სიმაღლით მამას გვანან, აშოლტილი ვაჟკაცები არიან.

პიტერმა ნანას სიყვარულით ქართული ენა ისწავლა, საქართველოს თავგადაკლული თაყვანისმცემელია, ყოველივე ქართულის დამფასებელი. სამუშაო კაბინეტში ლამაზ ჩარჩოში ჩასმული საქართველოს პირველი კონსტიტუციის ფოტოპირი უკიდია; კედლებსა და თაროებზე უამრავი ქართული სუვენირია გამოფენილი. კვირა დღეს პიტერი ქართულ ჩოხაში გამოწკეპილი გადის ქალაქში სასეირნოდ.

დინჯი კანადელები გაოცებულები უყურებენ ეგზოტიკურად ჩაცმულ „უცხოელს", რომელიც ბრწყინვალედ უხსნის ინგლისურად შორეულ ჯორჯიაზე, მის უძველეს ისტორიასა და უმდიდრეს კულტურაზე, ხალხზე, მის ზნე-ჩვეულებებზე ...

კანადელები ინტერესით უსმენენ...

— სამდურავი ნამდვილად არ მეთქმის, — მითხრა ერთხელ ნანამ, — მყავს ერთგული და საოცრად ყურადღებიანი მეუღლე, მოსწრებული შვილები, მათგან, მადლობა ღმერთს, არავითარი პრობლემა არ გვქონია ოჯახში; ისეთი ღვთისნიერი დედამთილ-მამამთილი მყავს, ადამიანი უკეთესს ვერც ინატრებს. პიტერის მთელი ნათესაობა თავს გვევლება, ეკონომიკურადაც არა გვიშავს, მაგრამ ბოლომდე ბედნიერად ვერ ვგრძნობ თავს, რადგან ... ძალიან მაკლია საქართველო. პიტერი ამას კარგად გრძნობს და ყოველმხრივ ცდილობს დარდი შემიმსუბუქოს, რისთვისაც მისი უზომოდ მადლობელი ვარ. თუ სადმე ქართულ ნივთს ან პროდუქტს გადააწყდა, მაშინვე შეიძენს. ამას წინათ, სასმელების სუპერმარკეტის ვიტრინაში ორი ბოთლი „მუკუზანი" უნახავს, მაშინვე მენეჯერთან მისულა:

— ეს ქართული ღვინო მეტი არა გაქვთ? — უკითხავს.

კომპიუტერში უძებნიათ.

— სამი ყუთი დაგვრჩა; თითოში 12 ბოთლია.

— მომეცით სამივე ყუთი.

გახარებულმა მიუტანა მეუღლეს — ნახე, ნამდვილი ქართული ღვინოა, ყვარელშია ჩამოსხმული, რამდენ სტუმარს გავუმასპინძლდებითო...

16 თებერვალს კვლავ დავრეკე ოტავაში, ნანა სამსახურში იყო. პიტერთან ვისაუბრე ქართულ-რუსულ-ინგლისურად.

დღეს ნინო ბურჯანაძეს შევხვდიო, მითხრა მისალმებისთანავე.

სად-მეთქი? — გავვოცდი.

— ჩვენთან იყო კარლეონის უნივერსიტეტში. საქართველოს შესახებ ლექცია წაიკითხა პროფესორ-მასწავლებლებისა და ასპირანტებისათვის. ძალიან კმაყოფილი დავრჩი, გამართული ინგლისურით ლაპარაკობდა, მოზომილი, დალაგებული, კარგად გააზრებული მოხსენება ჰქონდა, აუდიტორია აღტაცებული დარჩა.

გადავწყვიტე, სტუმრებისათვის სიურპრიზი შემეთავაზებინა — ქართულად მივსალმებოდი, შეკითხვებიც ქართულად დამესვა. უკვე გონებაში აზრს ვალაგებ, რომ მოკლედ და გამართულად წარმოვთქვა და უცებ — ყველაფერი წყალში ჩამეყარა!

— რა მოხდა, პიტერ?!

— ერთი ასპირანტი წამოდგა, ეროვნებით სომეხი. რატომ ავიწროებენ სომხებს საქართველოშიო, უტიფრად ჰკითხა აშკარა სიცრუე.

— თქვენ ყოფილხართ საქართველოში? — აუღელვებლად შეუბრუნა კითხვა მომხსენებელმა.

— არა.

— აი, ჩამობრძანდით და ნახეთ როგორ ცხოვრობენ სომხები საქართველოში, — მოკლედ უპასუხა და საკითხი ამოწურა. აუდიტორია მალე დაიშალა, ალბათ, გამწვავებას მოერიდნენ ... ასე რომ, ჩანაფიქრი ჩამეშალა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ჯერ ერთი, გამიხარდა — საქართველო ისე ლამაზად წარმოაჩინეს, ალბათ ყველა იქ დამსწრეს მოუნდა საქართველოში წასვლა. მეორეც, მთელი ერთი საათი ქ-ნ ნინოს თანმხლებ ქართველებს შორიახლოს ვიჯექი, ოღონდ ის ვერ გავიგე, სომეხ ასპირანტს რისთვის დასჭირდა უადგილო შეკითხვა. საქართველოში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი და კარგად ვიცი, სომხები იქ თავს როგორ გრძნობენ, — უკვირს პიტერს.

— ეჰ, ჩემო პიტერ! მე კარგად ვიცი, ვისაც სჭირდება ეს უტიფარი გამოხდომები, მაგრამ გამკითხავი არავინაა!

კმარა! ეტყობა გამოფხიზლების დროა, თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება!

სამწუხაროდ, არ ვიცი, იმ ლექციის შესახებ თუ ითქვა რამე საქართველოში. იქნებ, დიპლომატიური მოსაზრებით არჩიეს საერთოდ არ მიექციათ ყურადღება იმ გამოხდომისათვის (აქაოდა, მეზობლებს არაფერი ეწყინოთო...ძ.

თუ ასეა, არასწორი პოზიცია იქნება!

კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო, ნათქვამია.

როდემდის ვითმინოთ უტიფრობა და ზღვარს გადასული თავხედობა?

დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!

**ჯუმბერ ჯიშკარიანი,**
**„სრ" საკ. კორ. აშშ.**

◎ ინფორმაცია

## ჩვენი სავაჭრო პარტნიორი კვლავ რუსეთია

**საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წლის იანვარში რუსეთი კვლავ საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა.**

**მასთან სავაჭრო ბრუნვა 68,7 მლნ. აშშ დოლარია, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 29,4 პროცენტით მეტია. თუმცა ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვის წილი 3,2 პროცენტული პუნქტით — 20,5 პროცენტიდან 17,3 პროცენტამდე — შემცირდა.**

**ცნობილი მოვლენების გამო, ექსპორტი რუსეთში შემცირებულია 9,9 მლნ. აშშ დოლარით. შეწყვეტილია ნატურალური ყურძნის ღვინის, მინერალური წყლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი.**

* * *

**სასაქონლო ჯგუფებიდან ექსპორტში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატებია. როგორც დეპარტამენტში განმარტავენ, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფების წილად 2007 წლის იანვარში ექსპორტის 11,3 პროცენტი მოდის.**

**სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წლის იანვარში ექსპორტის მოცულობამ 69,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2,1 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

◎ SIC!

# სეკვესტრირებული ჯანდაცვა

**ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმები დიდი აჟიოტაჟის ფონზე მიმდინარეობს. მასმედიის მიერ გავრცელებული სხვადასხვა სკანდალური ინფორმაცია ამ რეფორმების აუცილებლობას ამტკიცებს. თავისთავად ცხადია, ექიმთა ცოდნა, მათი პროფესიონალიზმი ყოველდღიურ ამაღლებას და განმტკიცებას მოითხოვს. ეს უდაო ჭეშმარიტებაა და ამის თაობაზე საინტერესო მსჯელობები იმართებოდა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზებსა თუ სხვადასხვა ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში. სწორედ ამიტომ აღარაფერს ვიტყვი არც იმ სკანდალურ სიუჟეტებსა და არც იმ შედეგებზე, რაც უნდა მოჰყოლოდა მათს საჯაროდ გამოტანას (პრინციპში, არ მაგონდება არც ერთი სიუჟეტი, რომლის გასვლასაც სათანადო შედეგი მოჰყოლოდაძ. ეს წერილი ეხება ჯანდაცვის სისტემაში განსახორციელებელი რეფორმების იმ ნაწილს, რასაც საქართველოს მთავრობა და ქალაქ თბილისის მერია ამჟამად ახორციელებს.**

2007 წლის 26 იანვარს მიღებული საქართველოს მთავრობის №11 დადგენილება „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცებას" გვამცნობს. მას ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. ფრიად საინტერესოა, რა უნდა ბატონ პრემიერს ჰოსპიტალური სექტორისაგან და რა მიზნებსა და ამოცანებს ისახავს მისი განვითარებისათვის. ამ კითხვაზე პასუხის მოძებნა მარტივი გამოდგა, რადგანაც მე-2 მუხლის მე-16 პუნქტი პირდაპირ ამხელს ბატონი ნოღაიდელის ზრახვებს. იქ შავით თეთრზე წერია, რომ: „არსებულ კერძო კლინიკებს, რომლებიც იჯარით აღებულ ფართობზე ფუნქციონირებენ, გადაეცემათ მიწის ფართობი ნორმატიულ ფასად დილმის კლასტერში მათი დაწესებულებების განსათავსებლად". ერთი შეხედვით, გასაგები პუნქტია. მართლაც, რა სჯობს — სადღაც იჯარით ყოფნა, თუ საკუთარ მიწაზე საკუთარი კლინიკის აშენება. რა თქმა უნდა, მეორე სჯობს, მაგრამ (კვლავ ეს წყეული „მაგრამ"ძ ჩნდება ერთი მეტად საჩოთირო კითხვა: მიიღე-



ბენ კი რაიმე კომპენსაციებს ის მფლობელები, რომელთაც გასწიეს სარემონტო ხარჯები და დამატებითი ხარჯების გაწევის შემდეგ (მიწის შესყიდვა, შენობის აშენება, აპარატურით მოწყობაძ ვისი კისრიდან ამოიღებენ ამ დანახარჯებს? პასუხი აქაც მარტივია. რა თქმა უნდა, პაციენტისა. ე. ი. ისედაც გაძვირებული სამედიცინო მომსახურება კიდევ უფრო გაძვირდება. სამაგიეროდ, ქვეყნის ხელისუფლება ორმაგ მოგებაში იქნება. პირველი ის არის, რომ ქალაქის ცენტრში მდებარე შენობებს „დაითრევს", მეორეც ის, რომ დილომში გაყიდული მიწის ნაკვეთებიდან „თითოოროლა თეთრიც" შეუვათ.

ეს დადგენილება ჯერ დაბეჭდილიც არ იყო, როდესაც ქალაქის მერმა ბატონმა გიგი უგულავამ სასწრაფოდ გამოსცა 2007 წლის 11 იანვრის №01. 19. 19 დადგენილება, რომლითაც დაადგინა, რომ:

„1. დანართში ჩამოთვლილი ქ. თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული საწარმოების 100%-იანი წილები უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს.

2. ქ. თბილისის მთავრობის სახელით საწარმოთა 100%-იანი წილების დათმობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის უფროსს".

ის, თუ ვის დაევალა კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე, მაინცდამაინც საინტერესო არ არის. სამაგიეროდ, ძალზე საინტერესოა დანართი. მასში ჩამოთვლილია ის სამედიცინო დაწესებულებები, რომელთა ადგილასაც ახლო მომავალში შეიძლება სამორინეები, საუნები ან სხვა „გამაჯანსაღებელი" დაწესებულებები ვიხილოთ.

**აი, ის დანართიც:**

**„ქალაქ თბილისის მერიის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები:**

**1. შ.პ.ს. „ქ. თბილისის №2 სამშობიარო სახლი";**

**2. შ.პ.ს. „ქ. თბილისის №5 სამშობიარო სახლი";**

**3. შ.პ.ს. შალვა (დავითძ ქორიძის სახელობის სამშობიარო სახლი";**

**4. შ.პ.ს. მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა;**

**5. შ.პ.ს. სამკურნალო კომბინატი;**

**6. შ.პ.ს. „ქ. თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფო";**

**7. შ.პ.ს. „პიმენ ყურაშვილის სახელობის თბილისის ბავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფო";**

**8. შ.პ.ს. „ზოგადქირურგიული კლინიკა";**

**9. შ.პ.ს. „პედიატრიული კლინიკა";**

**10. შ.პ.ს. „ზოგადი თერაპიის კლინიკა";**

**11. შ.პ.ს. ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა;**

**12. შ.პ.ს. „ენიმედიც" ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი;**

**13. შ.პ.ს. ანესთეზიოლოგიური კლინიკა;**

**14. შ.პ.ს. გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკა „ნევროლოგი";**

**15. შ.პ.ს. ნეიროქირურგიული კლინიკა;**

**16. შ.პ.ს. „სისხლძარღვთა და გადაუდებელი მიკროქირურგიის კლინიკა „კარაბადინი";**

**17. შ.პ.ს. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკა „სითეზი";**

**18. შ.პ.ს. „თორაკო აბდომინალური კლინიკა";**

**19. შ.პ.ს. კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი;**

**20. შ.პ.ს. პირველი კლინიკური;**

**21. შ.პ.ს. გინეკოლოგიური კლინიკა;**

**22. შ.პ.ს. თბილისის ენდოკრინოლოგიური ცენტრი;**

**23. შ.პ.ს. აფთიაქი №64;**

**24. შ.პ.ს. ქ. თბილისის კანისა და ვენსნეულებათა კლინიკური დისპანსერი;**

**25. შ.პ.ს. ქ. თბილისის №2 მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო."**

ზემოთ მოტანილი ორი დადგენილების საფუძველზე, თბილისში არ რჩება არც ერთი სამკურნალო დაწესებულება, სადაც შესაძლებელი იქნება რიგითი მოქალაქისთვის შესაბამისი დახმარების გაწევა.

მე კი ისღა დამრჩენია, ჯანმრთელობა გისურვოთ, ხოლო ამ დადგენილებების ავტორებს მივმართო სიტყვებით, რომლითაც ლეონიდ კურავლიოვის გმირი პროფესორი ხაჩიკიანი მიმართავს მკრტიჩიანის გმირს — მძღოლ ხაჩიკიანს კინოფილმ „მიმინოში" — „აი ტარაკუმენ რესპუბლიკა", რაც ჩვენებურად ნიშნავს — „თქვენნაირები არცხვენენ რესპუბლიკას".

**გია გაბრიჭიძე**

# რეალობა

მარშანიას გულშემატკივრებს აჟიოტაჟის ატეხვა (არიქა, ბიზნესს ახრჩობენ, უდანაშაულოებს ციხეში სვამენო!) არც უნდოდათ. ფიქრობდნენ, ეს გაუგებრობა დღეს-ხვალ მოგვარდება და ისედაც უამრავი გასაჭირით დამძიმებული საზოგადოებრიობის შეწუხება არ ღირსო. მაგრამ ამქვეყნად ხომ ყველაფერს დასასრული აქვს, მათ შორის, ადამიანის მოთმინებასაც.



## ინფორმაცია

### აფხაზური დიასპორა მოსკოვშიც შეიკრიბება

სეპარატისტულ აფხაზეთში მიმდინარე წლის 4 მარტს დაგეგმილი ე.წ. საპარლამენტო არჩევნების მხარდასაჭერად, ამავე დღეს რუსეთის დედაქალაქში აფხაზური დიასპორის შეკრება იგეგმება.

გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვში მცხოვრები აფხაზური დიასპორის შეკრება სასტუმრო „სპუტნიკში" 15 საათზე იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ დიასპორის შეკრებაზე შესვლა ფასიანია და 2000 რუბლი ღირს.

### ბაღაფში სოჭის ოლიმპიადისთვის ემზადება

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში აცხადებს, რომ სოჭში ზამთრის ოლიმპიადის მოსამზადებელ სამუშაოებში აფხაზეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

ბაღაფში მიიჩნევს, რომ აღნიშნულ მოსამზადებელ სამუშაოებში აფხაზეთის მონაწილეობა „მისი რესპუბლიკის" ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს და ამის დამატებითი ხელისშემწყობი იმპულსი იქნება.

აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, აფხაზეთის „პრეზიდენტის" განკარგულებით უკვე ამოქმედებულია ორი პროექტი, რომელთა მიხედვითაც, სოჭში დასაგზავნი ინერტული მასალების მომპოვებელი სამუშაოები დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ეს მასალები, სოჭში ოლიმპიური ობიექტების სამშენებლო სამუშაოებს მოხმარდება. აღნიშნული ორი პროექტის ჯამის ღირებულება 10 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოჭის მოსაზღვრე გაგრის რაიონში ავტოსტრადის სამშენებლო სამუშაოები უკვე დასრულებულია.

### სოჭი — რუსეთის სამხრეთი დედაქალაქი?

დამოუკიდებელი ექსპერტი გოჩა გვარამია აცხადებს, რომ სანკტ-პეტერბურგის მსგავსად, სოჭი თანდათანობით რუსეთის სამხრეთ დედაქალაქის სტატუსს იძენს.

— სოჭში რუსეთის პრეზიდენტის საპრეზიდენტო რეზიდენციის არსებობა, არა მხოლოდ კარგი კლიმატითაა განპირობებული, არამედ მოსაზღვრე აფხაზეთის კონფლიქტური რეგიონის ერთგვარ სტაბილურობის გარანტადაა ქცეული, — ამბობს ექსპერტი და დასძენს, რომ რუს პოლიტიკოსებსა და უმაღლეს სამხედროებს არაერთგზის განუცხადებიათ, რომ „საპრეზიდენტო რეზიდენციის ახლოს სამხედრო მოქმედებათა ესკალაციას არავინ დაუშვებს".

ამგვარი განცხადებებით, ექსპერტის თქმით, „სუვერენული აფხაზეთის" წინააღმდეგ, სამხედრო მოქმედებათა განახლების შემთხვევაში, რუსეთი განზე არ დარჩება.

— რუსეთი ყოველმხრივ შეეცდება პრეზიდენტის უსაფრთხოების დაცვას. თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რატომ ამტკიცებენ რუსი პოლიტიკოსები იმას, რის გაკეთებასაც საქართველო არ აპირებს და, საერთოდ, რა შუაშია აქ რუსეთის პრეზიდენტის უსაფრთხოება, — ამბობს ექსპეტი.

მისივე თქმით, რუსეთი ყველაფრის მიუხედავად, მაინც აქტიურად განაგრძობს აფხაზეთის ინტეგრაციის პროცესს რუსეთის ფედერაციაში. 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის სოჭში ჩატარება კი ამ პროცესის უნიკალურად ხელშემწყობი ფაქტია.

ჯი-ეიჩ-ენი

## მშიერი სამართალი

# გომი-საჩხერე-ზესტაფონის გზა „გუბერსკიზე" გადის

ეს სევდიანი ისტორია ასე დაიწყო. 2002 წლის 1 მარტს ასოციაცია „ატუმ" და სს „კავკასავტომაგისტრალმა" ხელი მოაწერეს კონტრაქტს გომი-საჩხერე-ზესტაფონის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის 23-47 კმ. მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. სამუშაოთა ღირებულებამ 2 791 789 ლარი შეადგინა. კონტრაქტს ხელი მოაწერეს ასოციაცია „ატუს" გამგეობის თავმჯდომარემ პაატა სადუნიშვილმა (დამკვეთი) და სს „ავტომაგისტრალის" გენერალურმა დირექტორმა ვიქტორ მარშანიამ (შემსრულებელი).

კონტრაქტის თანახმად, სამუშაოები 2002 წლის ოქტომბერში უნდა დასრულებულიყო. დამკვეთს პრეტენზიების წამოყენება შეეძლო მშენებლობის დამთავრებიდან ერთი წლის ვადაში. ამ შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებული იყო, საკუთარი სახსრებით აღმოეფხვრა ყველა აღმოჩენილი ხარვეზი.

ამავე კონტრაქტის თანახმად, მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაწყვეტილიყო უშუალო მოლაპარაკებით, ან სასამართლო წესით. ხაზს ვუსვამ — ეს იყო შეთანხმება კერძო სამართლის ორ იურიდიულ პირს შორის.

**კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები ორივე მხარემ პირნათლად შეასრულა — დამკვეთმა (დოკუმენტებში იგი უკვე მოიხსენიება, როგორც ქართუ-ჯგუფის შპს „ინტერსერვისი") სრულად გადაიხადა თანხები, ხოლო შემსრულებელმა ააშენა გზა. როგორც წესი, შედგა მიღე-**



**ბა-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს მხარეთა წარმომადგენლებმა, მათ შორის „ინტერსერვისის" მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა (რომელიც დღესაც ამ თანამდებობაზეა) ბატონმა როსტომ ჩაბრაძემ და ქართუ-ჯგუფის ორმა ტექნიკურმა ზედამხედველმა.**

მანამდე, ასოციაცია „ატუს" დაკვეთით, თბილისის ასფალტ-ბეტონის საგამოცდო ლაბორატორიაში საფუძვლიანად შემოწმდა გზის საფარიდან ამოჭრილი ასფალტ-ბეტონის ნიმუშები და გაიცა შესაბამისი დასკვნა, რომელსაც ხელს აწერდნენ სამეცნიერო-კვლევითი საწარმო „მაგისტრალის" გენერალური დირექტორი, პროფესორი გოგლიძე და ასფალტ-ბეტონის საგამოცდო ლაბორატორიის უფროსი ტატურაშვილი.

ქართუ-ჯგუფს სს „ავტომაგისტრალისადმი" მთელი ოთხი წლის განმავლობაში არავითარი პრეტენზია არ წამოუყენებია. გზა დღესაც კარგ მდგომარეობაშია.

2006 წლის 24 აგვისტოს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს სს „ავტომაგისტრალის" გენერალური დირექტორი ვიქტორ მარშანია. ხანგრძლივი „საუბრის" შემდეგ განუცხადეს, რომ იგი იმხილებოდა სსკ 182-ე მუხლის II და III ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულში (სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფთან ერთად, დიდი ოდენობით), რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან — 12 წლამდე. მარშანია იმავე ღამეს დააპატიმრეს, ხოლო მეორე დილით მოსამართლე ფუხაშვილმა საქართველოს სახელით გამოსცა ბრძანება მისთვის აღმკვეთ ღონისძიებად ორთვიანი პატიმრობის შეფარდებაზე.

საქმეში არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქართუ-ჯგუფის ხელმძღვანელობას რატომღაც ეჭვი შეუტანია „ინტერსერვისის" მაშინდელი გენერალური დირექტორის კეთილსაიმედოობაში და მის მიმართ სამსახურებრივი მოკვლევა ჩაუტარებია. სხვა მასალებთან ერთად, შეუსწავლია „ინტერსერვისის" მიერ ვიქტორ მარშანიას სს „ავტომაგისტრალთან" დადებული ხელშეკრულებაც.

იმის მიუხედავად, რომ ხსენებული გზის ხარისხზე საქმეში არსებობს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, შპს სამეცნიერო-კვლევითი საწარმო „მაგისტრალის" ასფალტ-ბეტონის საგამოცდო ლაბორატორიის 2002 წლის ოქმი და შპს „საქგზამეცნიერების" დასკვნა, ქართუ-ჯგუფს ასფალტის ნიმუშები საექსპერტიზოდ რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის მეტროლოგიის, გამოცდისა და სერტიფიკაციის ცენტრისთვის გაუგზავნია.

ასეთი რამ თავში არ მოსვლია არც ერთ შემკვეთს, ოცზემეტ სახელმწიფო თუ კერძო უწყებას, ვისაც კი სს „ავტომაგისტრალთან" საქმე ჰქონია: 2001-2006 წლებში ვიქტორ მარშანიას სააქციო საზოგადოებამ მთელ საქართველოში შეაკეთა ან ააშენა 146 კილომეტრზე მეტი გზა და შეასრულა 8 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები.

„ინტერსერვისი" ერთადერთია, ვინც საიდუმლო გამოძიება ჩაატარა და ამაში მოსკოვური „ცენზურის" ინჟინერი და ტექნიკოსი დაიხმარა. ქართული გამოძიებაც ალბათ ერთადერთია დედამიწაზე, ვინც მოსკოველი ტექნიკოსის დასკვნის საფუძველზე საკუთარი კეთილსინდისიერი მოქალაქე, მშენებელი „გუბერსკის" გზას გაუყენა.

მართალია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მითითებულია, თითქოს მოსკოვის „ცენტრს" ექსპერტიზა 2002 წლის ნოემბერში ჩაეტარებინოს, მაგრამ თავად „ცენტრის" ლაბორატორიის დასკვნა, რომელსაც ხელს ლაბორატორიის ინჟინერი არტემიევი და ტექნიკოსი ჟდანოვი აწერენ, 2004 წლის 10 ივნისით არის დათარიღებული.

„ინტერსერვისის" მოსკოველ საიმედო პარტნიორებს საქართველოდან გაგზავნილ ასფალტის ნიმუშებში ГОСТ-ებიდან (Строительные нормы и правила) ქართულ ასფალტში რუსული სტანდარტებიდან და ნორმებიდან მცირეოდენი გადახრები აღმოუჩენიათ.

საქმე ის არის, რომ რუსულ დასკვნაში, პირველსავე გვერდზე მითითებულია, რომ მათ ლაბორატორიაში შესამოწმებლად გაგზავნილი ასფალტის ნიმუშები (სულ სამი ნიმუში) აღებულია „გორი-საჩხერე-ჭიათურის საავტომობილო გზის მე-18, მე-20 და 22-ე კილომეტრებიდან", ანუ გზის იმ მონაკვეთიდან, რომელიც მარშანიას ფირმას არ ალუდგენია. შეგახსენებთ, რომ მარშანიას ფირმამ „ინტერ-სერვისის" (ანუ ქართუ-ჯგუფის) დაკვეთით აღადგინა გომი-საჩხერე-ზესტაფონის გზის მონაკვეთი 23-დან 47-ე კილომეტრამდე!

ამ ყოვლად უაზრო და ყალბ დასკვნას ეყრდნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2006 წლის 22 აგვისტოს დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე კუტიბაშვილი (ექსპერტები ლეფსაია და წურწუმია).

ექსპერტიზის წინაშე გადასაწყვეტად დასმული იყო ორი კითხვა:

**„ა) გომი-საჩხერე-ზესტაფონის 23-47 კმ. მონაკვეთზე 2002 წლის მაისი-ოქტომბრის (სინამდვილეში სამუშაოები მიმდინარეობდა მარტი-ოქტომბრის განმავლობაში, თ. ქ.) პერიოდში შესრულებული სამუშაოები რამდენად შეესაბამება სს „კავკასავტომაგისტრალის" გენერალური დირექტორის ვიქტორ მარშანიას მიერ შედგენილ და ასოციაცია „ატუ"-ს გამგეობის თავმჯდომარის პაატა სადუნიშვილის მიერ დამტკიცებულ საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, ასევე მათ მიერ ხელმოწერილ შესრულებული სამუშაოების მიღების აქტებს?**

**ბ) საქმეში არსებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, შესრულებული სამუშაოების მიღების აქტების, სს „ქართუ-ჯგუფის" მიერ გაკეთებული არაოფიციალური დასკვნისა და რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის მეტროლოგიის, გამოცდისა და სერტიფიკაციის ცენტრის 2006 წლის 26 ნოემბრის (თარიღი აქაც არასწორადაა მითითებული, უნდა იყოს 2004 წლის 10 ივნისი — თ. ქ.) დასკვნის საფუძველზე დადგინდეს რეალურად შესრულებული სამუშაოების ხარისხი და ღირებულება".**

იმის გამო, რომ საგზაო სამუშაოებიდან გასული იყო დიდი დრო (ოთხი წელიწადი), ექსპერტიზამ პირველ კითხვაზე პასუხი ვერ გასცა და სავსებით სამართლიანადაც.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ შემკვეთის (გამომძიებლის) საქციელს: იგი ექსპერტებს თხოვს, იხელმძღვანელონ „ქართუ-ჯგუფის" მიერ გაკეთებულ არაოფიციალური და რუსეთის „ცენტრის" 2004 წლის დასკვნებით, ამ ორი დოკუმენტიდან, როგორც ხედავთ, პირველი არაოფიციალურია, მეორე კი — ყალბი!

ასეა თუ ისე, შეკვეთა აუცილებლად უნდა შესრულდეს. ასეა მოწყობილი XXI საუკუნის საქართველოს სამართლებრივი სისტემა.

ექსპერტები ლეფსაია და წურწუმია არც ძმები ხერხეულიძეები არიან და არც არაგველები, გმირობა რომ მოვთხოვოთ. ამიტომ ისინი „ბ" კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევიან:

**„საქმეში არსებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, შესრულებული სამუშაოების მიღების აქტების, სს „ქართუ-ჯგუფის" მიერ გაკეთებული არაოფიციალური დასკვნისა და რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს საავტომობილო საგზაო ინსტიტუტის მეტროლოგიის, გამოცდისა და სერტიფიკაციის ცენტრის 2002 წლის ნოემბრის (უნდა იყოს, 2004 წლის ივნისის, თ. ქ.) დასკვნის მიხედვით, აღნიშნული გზის მონაკვეთზე ასფალტ-ბეტონის საფარი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტ 9128-84 მოთხოვნებს მარცვლოვან შემადგენლობაზე, წყალშთვლობაზე და დატკეპნის და წყალმედეგობის კოეფიციენტის მაჩვენებლით. ზემოთ მითითებული შემოწმების მიხედვით, ღორღის დანახარჯი ფაქტობრივთან შედარებით ზედმეტად დახარჯულად გამოყვანილია 6432,93 $м^3$-ის ოდენობით, ხოლო ქვიშახრეშოვანი ნარევის დანახარჯი ფაქტობრივთან შედარებით ზედმეტად დახარჯულად გამოყვანილია 5920,60 $м^3$-ის ოდენობით, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მოწყობის, ტრანსპორტირების ლიმიტირებული დარიცხვების ჩათვლით შეადგენს 146 637 (ასორმოცდაექვსი ათას ექვსას ოცდაჩვიდმეტი) ლარს (დღგ-ს გარეშე)".**

პატივცემული ექსპერტები პროკურატურის საამებლად (და თავის გადასარჩენადაც!) ყალბ და არაოფიციალურ „დოკუმენტებს" კი დაეყრდნენ, მაგრამ ეს „განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვისი ქონების გაფლანგვისა და მითვისებისთვის" აშკარად საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ თავის მხრივ, „გაფლანგულ-მითვისებული" ქონებისთვის უფრო შთამბეჭდავი მასშტაბების მისანიჭებლად, პატარა ეშმაკობა იხმარეს — რევიზიის შედეგებში თვითნებურად ოთხჯერ და მეტჯერ გაზარდეს კვადრატულ მეტრზე გახარჯული ღორღის ღირებულება — 2,74 ლარიდან — 11,87 ლარამდე! შედეგიც შესაბამისი მიიღეს — „ზედმეტად გადახდილი" 146 637 ლარი.

საინტერესოა, რომ გამოძიებამ ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს მასალები გადაუგზავნა 2006 წლის 17 აგვისტოს, 22 აგვისტოს დასკვნა უკვე მზად იყო, 24 აგვისტოს დააპატიმრეს ვიქტორ მარშანია (42 წლის, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ღირსების ორდენოსანი, მესამე თაობის მშენებელი, კაცი, რომელსაც ამქვეყნად მხოლოდ სიკეთე უკეთებია). 25 აგვისტოს ბატონმა ფუხაშვილმა მას აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა ისე შეუფარდა, არც მოსამართლისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლება-მოვალეობანი გახსენებია და არც საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა.

ისიც საინტერესოა, რომ „ქართუ-ჯგუფს", რომელიც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი მიზეზის გამო, ძლიერ დაინტერესებულია „ინტერსერვისის" ყოფილი გენერალური დირექტორის პაატა სადუნიშვილის დასჯით, ამ ოთხი წლის განმავლობაში „კავკასავტომაგისტრალისთვის" რაიმე პრეტენზიით ერთხელაც არ მიუმართავს, არც პირადად და არც სასამართლოს მეშვეობით, კონტრაქტი, სამართალი და ელემენტარული ადამიანური ურთიერთობები კი სწორედ ამას მოითხოვდა.

„ქართუ-ჯგუფის" შურისმაძიებლურ ამბიციებს ეწირება აბსოლუტურად უდანაშაულო ვიქტორ მარშანია, რომელიც უკვე ექვსი თვეა, ციხეში ზის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამოძიება, საკუთარი, უკვე ძალიან შელახული მუნდირის ღირსების გადასარჩენად, მისგან არარსებული ბრალის აღიარებას და ამით საქმის უხმაუროდ ჩაფარცხვას ცდილობს. თუ ასე არ არის, მაშინ საქართველოში ყოფილა უჩინარი ძალა, რომელიც მთელ ქართულ სამართლებრივ სისტემას საკუთარ ნებაზე ათამაშებს — ძალიან საეჭვოა, ქართული მართლმსაჯულების მამებს ამ უგვანოდ შეთითხნილი „საქმით" ისედაც შელახული რეპუტაცია საკუთარი სურვილით კიდევ უფრო მეტი განსაცდელისთვის გაემეტებინათ.

მარშანიას გულშემატკივრებს აჟიოტაჟის ატეხვა (არიქა, ბიზნესს ახრჩობენ, უდანაშაულოებს ციხეში სვამენო!) არც უნდოდათ. ფიქრობდნენ, ეს გაუგებრობა დღეს-ხვალ მოგვარდება და ისედაც უამრავი გასაჭირით დამძიმებული საზოგადოებრიობის შეწუხება არ ღირსო. მაგრამ ამქვეყნად ხომ ყველაფერს დასასრული აქვს, მათ შორის, ადამიანის მოთმინებასაც.

იმედია, მარშანიას საქმის განმხილველი მოსამართლე მისი წინამორბედივით არ მოიქცევა — საქმეს გულდასმით გაეცნობა და ყველას თავისას მიუზღავს.

თეიმურაზ ქორიძე

● ჩვენ ვერ შევურიგდებით უნივერსიტეტის ნგრევას, ქართული განათლებისა და მეცნიერების ნგრევას. ვერ შევეგუებით იმას, რომ ქართველი ახალგაზრდები მხოლოდ ტურისტული ინდუსტრიისა და სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნის მომსახურე პერსონალად გადაიქცნენ



◎ უნივერსიტეტი

# ვერ შევურიგდებით ქართული განათლებისა და მეცნიერების ნგრევას

*საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმის საწყის ეტაპზევე განათლების მესვეურებმა არაერთხელ განაცხადეს, რეფორმის წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს ეროვნული განათლების ტრადიციული ღირებულებების განვითარებას და ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას, რაც საქართველოს განათლების სისტემის საერთო-ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის საწინდარიაო. ეს პოლიტიკური ნება ოფიციალურად 2005 წლის მაისში, ქ. ბერგენში დაფიქსირდა საქართველოს „ბოლონიის დეკლარაციასთან“ ოფიციალური მიერთებით.*

*„უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება, განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობისა და გეოგრაფიული პირობების გამო სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ საზოგადოებაში, რომელიც ქმნის, იკვლევს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით. არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისაგან.“ ეს ციტატა 1988 წელს, იტალიის უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქ ბოლონიაში ევროპის უნივერსიტეტების რექტორთა მიერ ხელმოწერილი „უნივერსიტეტის დიდი ქარტიის“ პირველი ფუძემდებლური პრინციპია. თუ რამდენად „ახლოსაა“ ქართული განათლების რეფორმა ბოლონიის პროცესის მოთხოვნებთან, თუნდაც ამ ერთი პრინციპის თვალსაზრისით, ნათელია.*

*რა შედეგები მოიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიურობის დაკარგვამ და მისმა ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციულმა მართვამ, ამის თაობაზე საქართველოს მეცნიერ ქალთა ასოციაციის ხელმძღვანელს და კავშირ „სოლიდარობა – განათლებული საქართველოსათვის“ გამგეობის წევრს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს აველინა დავითულიანს ვესაუბრეთ.*

**– ქალბატონო აველინა, გაგვაცანით საუნივერსიტეტო ავტონომიის მოკლე ისტორია...**

– უკვე XV საუკუნეში უძველესი ევროპული უნივერსიტეტების დამაარსებლებმა უნივერსიტეტის იდეაში მისი ავტონომიურობა ჩადეს. ავტონომიურობას აღიარებდნენ ადგილობრივი ხელისუფალნი. უნივერსიტეტი თავის შიდა წესდებით წარმართავდა სწავლების პროცესს. დამოუკიდებლობის უმაღლეს დონეზე მიუთითებს უნივერსიტეტის პროფესორთა და სტუდენტთა შიდასაუნივერსიტეტო მართლმსაჯულებისადმი დაქვემდებარებაც.

**– როგორი იყო სწავლებისა და კვლევების დონე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეფორმამდე?**

– მსოფლიოში აღიარებული მათემატიკის, ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლების არსებობა ქართული საუნივერსიტეტო მეცნიტერებისა და განათლების მაღალ დონეზე მეტყველებს. თუნდაც ის ფაქტი, რომ აშშ-ში 1000-მდე ქართველი მეცნიერი იკავებს მაღალ პოზიციებს პრესტიჟულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში, ქართული განათლებისა და მეცნიერების მსოფლიო აღიარების ნათელი დადასტურებაა.

**– რა მდგომარეობაშია დღეს უნივერსიტეტის ავტონომიურობა?**

– 2001 წლის 13 ივლისის პრეზიდენტის 277-ე ბრძანებულებით, თსუ აღიარეს როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება, ცხადია, თავისი წესდებით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიც (ხელმოწერილია პრეზიდენტის მიერ 2004 წლის 21 დეკემბერსძ განმარტავს უნივერსიტეტის, როგორც „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი ერთეულის თავისუფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსოეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა“.

პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის 473-ე ბრძანებულება კი, ძალადაკარგულად აცხადებს წინა პრეზიდენტის 277-ე ბრძანებულების პუნქტს, რომლითაც დამტკიცებული იყო უნივერსიტეტის წესდება და მისი სტატუსი. ეს ბრძანებულება აუქმებს უნივერსიტეტის ავტონომიას და წარმოადგენს მის საქმეებში უხეშ ჩარევას. პრეზიდენტის 473-ე ბრძანებულება ეწინააღმდეგება განათლების კანონის ადრე დასახელებულ მუხლსაც.

**– თუ წესდება გაუქმებულია, გამოდის რომ უნივერსიტეტი აღარ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი?**

– დიახ ასეა. საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ შეიძლება არსებობდეს წესდების გარეშე. ამდენად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ ამჟამად განხორციელებული ყველა ქმედება უკანონო და ბათილია.

**– რას ეფუძნებოდა პრეზიდენტის 473-ე ბრძანებულება?**

– საქართველოს კანონმდებლობით, პრეზიდენტი იმ შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებულებას, თუ საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული. ამ შემთხვევაში, თსუ-ს მართვა-გამგეობა მოწესრიგებული იყო საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“ და თსუ-ს წესდებით, რომელსაც არა გაუქმება, არამედ ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, ცვლილებები და დამატებები სჭირდებოდა. ამრიგად, თსუ-ს დღევანდელი მდგომარეობა სამართლებრივად აბსურდულია, ნონსენსია.

**– რა ძირითადი შედეგები მოჰყვა უნივერსიტეტის წესდების გაუქმებას, ავტონომიის დაკარგვას?**

– გაუქმდა დიდი საბჭო და ფაკულტეტების საბჭოები. უნივერსიტეტის მართვის მთელი უფლებები გადაეცა დანიშნულ მოხელეებს (რექტორისა და დეკანის მოვალეობის დროებით შემსრულებლებსძ, აბსოლუტურად იგნორირებულია მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალთა და სტუდენტთა როლი უნივერსიტეტის მართვაში.

დანიშნულმა ადმინისტრაციამ უხეშად დაარღვია განათლების კანონი (მუხლი 89; პარაგრაფი 11) და ახალ აკადემიურ თანამდებობაზე თანამშრომელთა გადაყვანის ნაცვლად, გარდამავალ პერიოდში ჩაატარა უკანონო კონკურსები; დაარღვია კონკურსების ჩატარების საყოველთაოდ მიღებული ნორმები. მაგალითად იურიდიულ ფაკულტეტზე საკონკურსო კომისიის 13 დანიშნული წევრიდან 12-მა თავისი თავი აირჩია აკადემიურ თანამდებობაზე, მათ შორის იყო გიორგი ხუბუაც. სხვა ფაკულტეტებზე ოთხჯერ-ხუთჯერ შემცირებული საშტატო ნუსხით, გათვალისწინებულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დაინიშნენ მორჩილი ადამიანები. 2005 წლის პირველი ივნისიდან გაუქმებულია სამეცნიერო სექტორი. არაკომპეტენტურად გაერთიანდა ფაკულტეტები. დაიხურა მთელი რიგი სპეციალობები და სპეციალიზაციები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები და მოიშალა სამეცნიერო მუშაობა. შეიკვეცა და გადაკეთდა სასწავლო პროგრამები, რის შედეგადაც სტუდენტები ვეღარ მიიღებენ ხარისხიან განათლებას და გაუფასურდება დიპლომი. შეწყვეტილი იყო მაგისტრატურაში მიღება (სამი წლის განმავლობაშიძ; დაიხურა ასპირანტურა და დოქტორანტურა, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 4 აგვისტოსა და 1 დეკემბრის ბრძანებებით განხორციელდა მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემის ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი – სამსახურიდან დაითხოვეს ყველა თანამშრომელი (გარდა კონკურსში გასულებისაძ ცენზის, სტაჟის, დამსახურების მიუხედავად ისინი რეალური სოციალური დაცვის გარეშე დატოვეს. ამ ფაქტს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

**– განათლების კანონის თანახმად, რექტორს არჩეული აკადემიური საბჭო ირჩევს. როგორ მოხდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევა?**

რექტორი აირჩია ადმინისტრაციის მიერ მორჩილმა. ფაქტობრივად დანიშნულმა თორმეტკაციანმა საბჭომ. მისი შემადგენლობის მესამედი – ოთხი წევრი, უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელია.

**– რამდენად ღრმა არის დაპირისპირება ხელისუფლებასა და სამეცნიერო წრეებს შორის?**

– ეს დაპირისპირება განიხილეს სასამართლოებმა, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლომ.

**– როგორია ახლადშექმნილი კავშირის „სოლიდარობა – განათლებული საქართველოსათვის“ დამოკიდებულება ყოველივე ზემოთ თქმულის მიმართ?**

– ჩვენ ვერ შევურიგდებით უნივერსიტეტის ნგრევას, ქართული განათლებისა და მეცნიერების ნგრევას. ვერ შევეგუებით იმას, რომ ქართველი ახალგაზრდები მხოლოდ ტურისტული ინდუსტრიისა და სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნის მომსახურე პერსონალად გადაიქცნენ.

დღეს, როდესაც ევროპა ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებას აშენებს, როდესაც ქვეყნის ძლიერების საფუძველი მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკაა, „განათლების სისტემაში ხელისუფლების მიერ გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ მომავალ თაობებს კონკურენტუნარიანი განათლების მიღების შესაძლებლობა მოუსპო, ხოლო თავად ქვეყანას – განვითარების პერსპექტივა“ (კონფერენციის „უმაღლესი განათლების და მეცნიერების რეფორმა საქართველოში“ რეზოლუცია. 5.05.07.)

ჩვენ ვიბრძოლებთ უნივერსიტეტის გადასარჩენად და ევროსასამართლომდეც მივალთ.

თუ არ შეიცვალა დამოკიდებულება ქართული განათლებისა და მეცნიერებისადმი, რომელთა მიღწევის გარეშე დღეს წარმოუდგენელია ეკონომიკის განვითარება, საქართველო მწარმოებლური საზოგადოების მშენებელი ქვეყნის ნაცვლად, საზღვარგარეთული დახმარების მუდმივად მომლოდინე, მხოლოდ მომხმარებლურ-სატრანზიტო და ტურისტული მარშრუტების ქვეყნად ჩამოყალიბდება – არასამხედრო საფრთხეც სწორედ ეს არის.

**დალი ქვირია**



◎ ინფორმაცია

## ნატოს მისიამ მუშაობა დაასრულა

**ნატოს შემფასებელმა მისიამ საქართველოში მუშაობა გუშინ ოფიციალურად დაასრულა.**

**შემაჯამებელი შეხვედრა მთავრობის კანცელარიაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან გიორგი ბარამიძესთან გაიმართა.**

**როგორც შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე მისიის ხელმძღვანელმა ნატოს თავდაცვის პოლიტიკასა და დაგეგმარების სამმართველოს შეიარაღებული ძალების დაგეგმვის დირექტორატის თავმჯდომარემ ფრანკ ბოლანდმა განაცხადა, მონიტორინგის შედეგად ჩანს, რომ საქართველომ აშკარა პროგრესს მიაღწია ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმით გათვალისწინებული ყველა მიმართულებით. ბოლანდმა ასევე აღნიშნა, რომ წარმატებული კოორდინაცია იყო სახელმწიფო უწყებებს შორის.**

**„საქართველო ამას საკუთარი მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აკეთებს და ნატოს წევრები მზად არიან, დაეხმარონ საქართველოს მიზნის მიღწევაში“, – განაცხადა ფრანკ ბოლანდმა.**

**მისივე თქმით, ნატოს გადაწყვეტილება საქართველოს ალიანსში შესასვლელად დამოკიდებული იქნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების შედეგებზე.**

**ინტერპრესნიუსი**

## ადანაშაულებენ მცხეთის მუნიციპალიტეტს

**ახალი მემარჯვენეები მცხეთის მუნიციპალიტეტს თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების გაყიდვის მცდელობაში ადანაშაულებენ და შესაბამის ორგანოებს რეაგირებისაკენ მოუწოდებენ.**

**„მცხეთის მუნიციპალიტეტი უკანონოდ აცხადებს აუქციონს იმ მიწებზე, რომელიც მის საკუთრებას არ წარმოადგენს“, – აცხადებს ახალი მემარჯვენეების წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე.**

**მან საგანგებო პრესკონფერენციაზე წარმოადგინა 2007 წლის 23 იანვრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული განცხადება სოფელ დიღმის კუთვნილ ტერიტორიებზე აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებით.**

**„ცხადია მცხეთის მუნიციპალიტეტს ამ ტერიტორიაზე აუქციონის გამოცხადების უფლება არ ჰქონდა და ეს მათი მხრიდან კანონის დარღვევაა“, – აცხადებს მამუკა კაციტაძე.**

**მისი თქმით, როდესაც სოფელ დიღმის მოსახლეობამ მცხეთის მუნიციპალიტეტს მიმართა კითხვით თუ რატომ ხდებოდა ამ ტერიტორიის აუქციონი, მათ უპასუხეს, რომ ტერიტორია მცხეთის კუთვნილება აღარ იყო და შესაბამისად აუქციონზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ.**

**თბილისის მერიაში კი განაცხადეს, რომ აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტი ატარებს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

● საქართველოში, დაახლოებით, 240 ათასამდე ნარკომანია აღრიცხული. ერთადერთი ორგანო, რომელიც დღესდღეობით ებრძვის ნარკომანიას, სოდია. ადრე შს სამინისტროს 80-მდე თანამშრომელს ევალებოდა ეს. ახლა მათი რიცხვი 40-მდე შემცირდა



№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

◉ ინფორმაცია

## კოკოითი კვლავ მოსკოვში თათბირობს

ოს სეპარატისტთა მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი რუსეთის ფედერაციას ახლახანს გოსდუმის დეპუტატ არსენ ფადზაევის მიწვევით სტუმრობდა.

მათივე ინფორმაციით, კოკოითი რუსეთის სახელმწიფო დუმის თითქმის ყველა კომიტეტის ხელმძღვანელს შეხვდა.

„ედუარდ კოკოითმა რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელთან კონსტანტინე კოსაჩოვთან შეხვედრისას სამხრეთ ოსეთის ირგვლივ არსებული სიტუაცია და მიმდინარე მოვლენები მიმოიხილა“, — იუწყება ოსური მხარე.

რუს დეპუტატ არსენ ფადზაევის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ე.წ. სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლობის სრული უფლება და საერთაშორისო საზოგადოებისაგან აღნიშნული უფლების რეალიზების ხელშეწყობის მოთხოვნის სრული უფლება აქვს.

## აფხაზეთში პენსიები და ხელფასები იზრდება

აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. ვიცე-პრემიერის ლეონიდ ლაკერბაიას ინფორმაციით, მიმდინარე წელს აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მოსახლეობის სოციალური დახმარებისთვის 152, 6 მილიონი რუსული რუბლი გამოიყო.

ლაკერბაიას თქმით, 2004 წელთან შედარებით, წელს გამოყოფილი თანხა 2-ჯერ უფრო მეტია.

ლაკერბაია, ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 2007 წლის დასაწყისიდან საბიუჯეტო სფეროს თანამშრომელთა ხელფასი 30 %, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ხელფასი კი 50 %-ით გაიზარდა.

„მიმდინარე წლის დასაწყისიდან აფხაზეთში არსებული 18 კატეგორიის პენსიონერთაგან 13 კატეგორიას პენსია მოემატათ. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა 1992-1993 წლებში სამამულო ომს მონაწილეთა და მათი ოჯახებისთვის განკუთვნილი პენსიის რაოდენობა. ასევე მოემატათ პენსია 1941-1945 წწ დიდი სამამულო ომის მონაწილეებსაც“, — აცხადებს ლეონიდ ლაკერბაია.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ მეწარმეები

# თუ ავამოძრავდებით, გადავრჩებით

## ფუძნდება მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი კოალიცია

ქვეყანაში საკუთრების დემონსტრატიულად განადგურების ვანდალურმა ფაქტებმა, რომლის ავტორი თავად ხელისუფლება გახლავთ, არა მარტო მეწარმეები და მესაკუთრეები, მთელი საზოგადოებრიობა აღაშფოთა. ეს კანონსაწინააღმდეგო პროცესი იმით რომ დამთავრებულიყო, რაც უკვე დაანგრიეს. კიდევ რა უჭირდა. არა, არ დამთავრებულა, თბილისის მერი კვლავაც იმუქრება: „საკუთრება გავანადგურეთ და კიდევაც გავანადგურებთ“; „ახლა მე ვრგავ ამ ხეს ვილაცის მიწაზე და ერთი ვინმემ მისი ხელყოფა გაბედოს!“ კიდევ კარგი, მოგვიანებით იტყვის სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომ მიწის მფლობელს დაუკითხავად დარგული ხის მორწყვა და მოვლა არ მოსთხოვესო...

— დედაქალაქში დაწყებულმა ვანდალიზმმა ქვეყნის სხვა მხარეებშიც გადაინაცვლა, — მეუბნება საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე. — ამ ერთი კვირის წინათ რიკოთის უღელტეხილზე საშინელი სურათის მოწმე გავხდი. თბილისელ ხელისუფალთა მიბაძვით, იქაური ვანდალები მისულან და პურისა და ნაზუქის პატარ-პატარა საცხობები, რითაც გაჭირვებული ხალხი გროშებს შოულობდა, ერთიანად გადაუწვავათ. თავად ფაქტია საშინელი: მესაკუთრეს კანონის ძალით კი არ მოსთხოვეს საცხობების აღება, ქურდულად მიეპარნენ და გადაუწვეს!



სწორედ ამგვარმა მოვლენებმა და სხვა უამრავმა თავსლატეხმა, რაც ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას ელოდება, დაბადეს იდეა საქართველოში მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი კოალიციის დაფუძნებისა. და აი, ამ ორიოდე დღის წინათ ამ იდეის ავტორები შეიკრიბნენ კიდეც ასოციაცია „ქალი და ბიზნესის“ საკონფერენციო დარბაზში, სადაც აღნიშნული კოალიციის დასაფუძნებლად საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა. მასში, მცირე მეწარმეებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლები, იურისტები და ეკონომისტებიც მონაწილეობდნენ.

კერძოდ რაზე ისაუბრეს მცირე მეწარმეთა სადისკუსიო კლუბის მენეჯერმა თამაზ ვაშაკიძემ, ექსპერტებმა თამაზ ცქიტიშვილმა და ჯემალ გაბუნიამ, ხორბლის გადამუშავებისა და პურის ცხობის გილდიის თანათავმჯდომარემ მალხაზ ცისკარიშვილმა, საქართველოს თავისუფალ მეწარმეთა ასოციაციის დამფუძნებლებმა ანზორ ბაბუხადიამ და რამაზ მანაგაძემ, ბიზნესლიგის თავმჯდომარემ გია ჟორჟოლიანმა, ასოციაცია „ქალი და ბიზნესის“ თავმჯდომარემ ნინო ელიზბარაშვილმა, საბანკო-საფინანსო აკადემიის დირექტორმა ნინო ჯლამაძემ და სხვებმა?

როგორც მათ აღნიშნეს, დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია 4 ათასზე მეტი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელთა ყურადღების მიღმა თითქოს ცხოვრების არც ერთი სფერო არ უნდა იყოს დარჩენილი. ამასთან, ამ ორგანიზაციათაგან რამდენიმე ასეულს მაინც პირდაპირი და ირიბი შეხება აქვს ეკონომიკასთან და მცირე მეწარმეობასთან.

იმის კითხვა: მაშ რაღა საჭიროა მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად კიდევ ერთი ახალი კოალიციის შექმნა?

— საჭიროა, — თქვეს მათ და კიდევაც დაასაბუთეს. — ამის აუცილებლობას მაშინვე ვიგრნობთ, თუ რეალურად შევხედავთ სიტუაციას, რომელშიც დღეს მცირე მეწარმეობა (და არა მარტო მცირე მეწარმეობაძ იმყოფება. არავისთვის საკამათო არ არის, რომ ეს სფერო, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა, უმძიმეს მდგომარეობაშია. ზემოთ ხსენებულ საზოგადოებრივ გაერთიანებებს ეფექტურად რომ ემოქმედათ, ცხადია, ასეთი სავალალო ყოფის მომსწრენი არ გავხდებოდით. სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციათა უდიდესი უმრავლესობა საზოგადოებრიობის ნდობით არ სარგებლობს და მათი ენერგია ძირითადად ხმარდება ისეთი წინადადებებისა და რეკომენდაციების შეთხზვა-ფორმულირებას, რომლებზეც მთავრობა ფაქტობრივად არ რეაგირებს.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ეს წინადადებები არაკომპეტენტურია და ყურადღებას არ იმსახურებს, თუ ის, რომ ამ წინადადებების განმხილველი თავად არის არაკომპეტენტური ან რაღაც ინტერესების გამო შეგნებულად უგულებელყოფს მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა მოსაზრებებს? ალბათ ერთიც არის და მეორეც. ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ასეთი საქმიანობა ვერაფრით შველის შექმნილი ვითარების გამოსწორებას.

რაში უნდა ვეძებოთ გამოსავალი?

ამისათვის ორი გზა არსებობს. ან მთავრობამ უნდა შექმნას ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების კონცეფცია (რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობსძ, რომელსაც საზოგადოება უნდა ენდობოდეს, ან თავად საზოგადოებამ უნდა ჩამოაყალიბოს კომპეტენტური სტრატეგია და ტაქტიკა, პოლიტიკა მცირე ბიზნესის განვითარებისა, რომელსაც ხალხის უმრავლესობა გაიზიარებს და მთავრობა ამის გამო მის იგნორირებას ვეღარ შეძლებს. თუ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ (რაშიც ეჭვი გვეპარებაძ, მაშინ მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ თუ ის საზოგადოების აზრს არ გაიზიარებს, საზოგადოება მას გამოცვლის.

შეკრების მონაწილეებს ჯერჯერობით მთავრობის გამოცვლის საკითხი არ დაუყენებიათ, მაგრამ ის კი თქვეს, რომ რადგან იგი ეკონომიკური პრობლემებით მაინცდამაინც თავს არ იტკიებს, ამის გაკეთება ისევ ჩვენ, მეწარმეებმა უნდა ვითავოთო. მათი აზრით, ამისთვის საჭიროა ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარების საჭირბოროტო საკითხებზე ფართო დისკუსიის გამართვა, საქართველოში განვლილი 15 წლის გამოცდილების გაანალიზება და შესაბამის ექსპერტებთან თანამშრომლობის გზით მცირე ბიზნესის წუმპედან ამოსაყვანად ფუნდამენტური პრინციპების ჩამოყალიბება. თუ ამ პრინციპების საფუძველზე შემუშავდა კონკრეტული სამოქმედო პროგრამა, რომელსაც მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად მხარს დაუჭერს საზოგადოებრიობა, კოალიციის ინიციატორები ვარაუდობენ, რომ საქმე დაიძვრება და პროგრესი თანდათანობით ხელშესახები გახდება.

— არ არის ცუდი ჩანაფიქრი, — ვეუბნები მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავკაცს ანზორ საკანდელიძეს, მაგრამ შეძლებთ კი ამის გაკეთებას?

— უნდა შევძლოთ, რადგან მთავრობა ხელს არ ანძრევს, ჩვენ მაინც უნდა ვიმოქმედოთ. დღესდღეობით ამის გაკეთება ვერ მოახერხა ვერც ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ თუ საზოგადოებრივმა გაერთიანებამ, მაგრამ თუ მათს გამოცდილებას გამოვიყენებთ, თანაც ძალებს გავაერთიანებთ, შედეგს უეჭველად მივაღწევთ. სასიამოვნოა, რომ კოალიციაში თანამშრომლობის სურვილი უკვე ოცზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვა. შევეცდებით ჩვენი მიზნების თაობაზე ინფორმაცია მივაწოდოთ ყველას, ვინც დაინტერესებულია მცირე ბიზნესის მხარდაჭერით და შევძლოთ ავამოძრაოთ საზოგადოება, ჩვენი ხალხის შრომისმოყვარეობა და ინტელექტუალური პოტენციალი.

ბატონ ანზორთან საუბრისას გაირკვა, რომ კოალიცია ამ თვის ბოლოს უკვე იურიდიულად დაფუძნდება და შეუდგება პრაქტიკულ საქმიანობას. ვფიქრობთ, მთავრობა ამჯერად მაინც უნდა მოეგოს გონს და ყური ათხოვოს საზოგადოების აზრს, თუ სურს, რომ ქვეყნის ეკონომიკამ ხერხემალი გაიმაგროს და მეწარმეობა ნგრევის ნაცვლად შენების გზას დაადგეს.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ SOS!

# „კუდიანებზე“ ნადირობა იწყება

## ქუთაისის სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს „სუბოტექსის ოფიციალური დისტრიბუტორი“ შეარქვესო...

**საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვმა საგანგაშო ზღვარს ბევრად გადააჭარბა! მაინც, ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ამ საშინელებით ავადდებიან ახალგაზრდები, ან რას მოუტანს საქართველოს ნარკოტიკებით დაბანგული თაობა? — ეს კითხვა ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს აწუხებს.**

პრესკონფერენცია, რომელიც გუშინწინ „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა ლაშა ჩხარტიშვილმა, ლევან გოგიჩაიშვილმა, დავით დალაქიშვილმა და სხვებმა გამართეს, სწორედ ამ საკითხს ეძღვნებოდა. ითქვა: „თანასწორობის ინსტიტუტი“ იწყებს კამპანიას ნარკორეალიზატორებისა და მათი მფარველების წინააღმდეგ, ოღონდ, ეს იქნება არა ისეთი ბრძოლა ნარკობიზნესის წინააღმდეგ, როგორიც ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა. საზოგადოებრიობასთან ერთად გამოვავლენთ ყველა ნარკორეალიზატორსა და მათ მფარველებს, იმ ხალხს, ვინც ყიდის ნარკოტიკებს თბილისში, მთელ საქართველოში...

გვინდა განვაცხადოთ, რომ საქართველოში ნარკოტიკის ყიდვა ისე ადვილი არასდროს ყოფილა, როგორიც დღეს არის — საშუალოდ, 40 წუთშია შესაძლებელი ნარკოტიკული საშუალების შეძენა. ნარკოტიკებით ვაჭრობა ასე აშკარა არასდროს ყოფილა“.




„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა აღნიშნეს, რომ „ე.წ. აგენტები, რომლებიც უნდა დაეხმარონ ნარკორეალიზატორთა გამოვლენაში, ხშირად თავად არიან რეალიზატორები. საქართველოში, დაახლოებით, 240 ათასამდე ნარკომანია აღრიცხული. ერთადერთი ორგანო, რომელიც დღესდღეობით ებრძვის ნარკომანიას, სოდია. ადრე შს სამინისტროს 80-მდე თანამშრომელს ევალებოდა ეს. ახლა მათი რიცხვი 40-მდე შემცირდა.

ვფიქრობთ, რომ ეს სპეციალურად გაკეთდა, რადგანაც ისეთ ტოტალურ ნარკობუმს, როგორიც, დღეს საქართველოშია, 40 კაცი ვერას დააკლებს. მით უფრო, რომ ხშირად, სწორედ ესენი გვევლინებიან ნარკორეალიზატორთა მფარველებად. მათ შორის სერიოზული კორუფციული გარიგებებია. უახლოეს მომავალში საზოგადოებრიობას გავაცნობთ სქემას, რომლის მიხედვითაც ხდება ნარკოტიკების რეალიზება საქართველოში და ნარკორეალიზატორთა სიასაც.

ამ სიას გადავცემთ პრეზიდენტს, შსს მინისტრ ვანო მერაბიშვილს“.

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა აქტიურობისაკენ მოუწოდეს საზოგადოებრიობას და აღნიშნეს, რომ შექმნიან ცხელ ხაზს, რომელზეც შეუძლია დარეკოს ყველამ, ვისაც ექნება ინფორმაცია ნარკორეალიზატორთა შესახებ. ამ ხაზის ნომერი იქნება 93-22-63.

პრესკონფერენციის დასასრულს, ხუმრობით აღინიშნა, რომ ქუთაისში სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, „სუბოტექსის ოფიციალური დისტრიბუტორი“ დაარქვეს, რადგან ნარკორეალიზატორებს სწორედ შსს-ს წარმომადგენლები და თანამდებობის პირები მფარველობენ.

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა წამოწყებულ კამპანიას კუდიანებსა და „სოდიანებზე“ ნადირობა უწოდეს. ეს იქნება ბრძოლა ნარკომაფიის წინააღმდეგ, ბრძოლა ქვეყნის მომავლის, ახალგაზრდების ჯანრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად!

**ხათუნა ჩიგოგიძე**

# მსოფლიო ლიტერატურა

**ტრადიციით კი ეშმა სულია, არც კეთილი და არც ბოროტი: ჰგონიათ, სულ ის ინახავს, რაც რამ ქვეყანაზე საიდუმლოა, ადამიანის შეგნებისთვის მისაწვდომი, ძალაც ერჩის და განაგებს კიდეც მატერიალურ სამყაროს**



## ჩვენი ბიბლიოთეკა

— ციხესიმაგრის კედლის გასწვრივ გაუყევით ქუჩას ზედ ქალაქის კარიბჭემდე და გახვალთ კიდეც ქალაქიდან, — მითხრა მან. — ოღონდ სანტიაგო-დე-კომპოსტელაში რომ მიხვალთ, ჩემ მაგივრად წაიკითხეთ „ავე მარია". უამრავჯერ მითელია ეგ გზა, აწ კი იმასღა ვჯერდები, რომ ახალ პილიგრიმთა თვალებაში ვკითხულობ აღტაცებას, რასაც თავად უკვე ვეღარ განვიცდი — ხანი თავისას შვრება. უამბეთ ჩემი ნათქვამი მოციქულს და კიდევ ისიც უთხარით ჩემზე, მალე მოვა-თქო, ოღონდ სხვა გზით მოვა-თქო, ის გზა ბევრად მოკლეა და უფრო ადვილად მივალ...

ქალაქი ესპანური კარიბჭის გავლით დავტოვე, რომელიც ოდესღაც რომაელთა ლეგიონთ ჰქონდათ ამოჩემებული, შემდგომ — კარლ დიდის რაზმთ და ნაპოლეონის პოლკთ. მდუმარედ მივდიოდი, შორიდან მუსიკის ხმა მეყურებოდა, — და უცებ სენ-ჟან-პიე-დე-პორის შორიახლო შემორჩენილ ძველი დასახლების ნანგრევებთან ისერიგად ავღელდი, თვალზე ცრემლი მომადგა. იქ, იმ ნაოხართან, თითქოს თავრეტი დამესხა, დავრაცრაცდი — ხუმრობა ხომ არ იყო, ცოტაც და, სანტიაგოს გზას დავადგამდი ფეხს.

დილის შუქით გაცისკროვნებულმა პირენეების პანორამამ, რომელი შუქის ციალიც თითქოს კიდევ უფრო ძლიერდებოდა მუსიკის ხმათაგან, ისეთი შეგრძნება გამიჩინა, რომ რასღაც დასაბამიერს და კაცთა მოდგმისგან ფარსაგად დავიწყებულს ვუბრუნდებოდი. მაგრამ რა იყო ეს, გაგებაში არ ვიყავი. ამ უცნაურმა და უჩვეულოდ ძლიერმა შეგრძნებამ ამასწრაფა, ფეხი ამაჩქარებინა, რა არი რაც შეიძლება მალე მივსულიყავი იქ, სადაც, მადამ დებრილის თქმით, ეტიკი მელოდებოდა. ნაბიჯი არ შემინელებია, ეგრევე გავიძრე მაისური და ტავარჯუხში ჩავტენე, რომლის თასმებიც სულ უფრო მაგრად მაჭერდა შიშველ მხრებზე, სამაგიეროდ სიარულში მოფლეშილ სპორტულ ჩლარტებს ფეხზე ვერცა ვგრძნობდი. ორმოც წუთში, სანამ ერთ მიგდებულ ჭას მივადგებოდი, ჯერეთ კლდესავით აყუდებულ უზარმაზარ სიპ კაჭარს გვერდი ავუქციე. ჭასთან ასე ორმოცდაათიოდე წლის კაცი იჯდა — შავთმიანი, ბოშასა ჰგავდა — და ხალთაგუდაში იქექებოდა.

— მშვიდობა მითქვამს, — ვუთხარი ესპანურად იმ მოწიწება-მოკრძალებითა და რიდით, რასაც მუდამ ვგრძნობ, როცა კი ახალ ვისმე ვეცნობი. — ალბათ, მე მიცდი. პაულო ვარ.

მან თავის საქმიანობას თავი მიანება და თხემით ტერფამდის ცივად და სულაც არა გაკვირვებულმა შემათვალიერა. მეც მომეჩვენა, რომ საიდანღაც ვიცნობდი ამ ადამიანს.

— ჰო, შენ გიცდი, ოღონდ არ მეგონა, თუ აგრე ადრიანად დამადგებოდი. რა გინდა?

ამ კითხვისგან რამდენადმე დაბნეულმა, მივუგე, მგონი, შენა ხარ ის კაცი, ვინც მახვილის საძებნელად ირმის ნახტომის კვალდაკვალ უნდა გამყვეს-მეთქი.

— ეგ რა ბედენაა, — თქვა მან. — თუკი გინდა, გიპოვი. გინდა? ოღონდ ახლავე გადაწყვიტე.

უცნაური საუბარი გამოგვივიდა, მაგრამ დადებული ფიცი მახსოვდა და ჰოობის თქმას იმ აზრით დავეპირე, რომ მახვილის პოვნის თავის თავზე აღების შემთხვევაში უამრავ დროს დამიზოგავდა და მალე დავბრუნდებოდი ბრაზილიაში, სადაც ის ადამიანები მელოდნენ და ის საქმეები, რომელთა დავიწყებაც არ შემეძლო. არ გამოვრიცხავდი, რომ იქნებ სულაც ხრიკს რასმე მიმართავდა, მაგრამ პასუხი ვითომ მაინც რატომ არ უნდა გამეცა?! და ის იყო პირი დავაღე, რათა მეპასუხა, მინდა-მეთქი, რომ ჩემს ზურგს უკან ხმა გაისმა, რომელმაც ძლიერი აქცენტით წარმოთქვა ასეთი რამ: „იმის გასაგებად, მთა მაღალია თუ არა, ზედ ასვლა აუცილებელი არ არის".

ეს პაროლი იყო! შემოვბრუნდი და დავინახე ორმოციოდე წლის კაცი, ხაკისფერი ბერმუდები და ოფლით გაჟღენთილი მაისური ეცვა. დაჟინებული მზერა მიეცივებინა ბოშისთვის. ნახევრად შეჭაღარავებული იყო, სახეგარუჯული. მივხვდი, რომ სიჩქარეში უსაფრთხოების ელემენტარული წესები ვიგულმავიწყე და, ცოტას გაწყდა, სხეულიცა და სულიც პირველსავე შემხვედრ უცნობს არ ჩავუგდე ხელში.

— ხომალდს ნავსადგურში არცრა ხიფათი არ ემუქრება, მაგრამ იმისთვის კი არ შეუქმნიათ, რომ ღუზაზე იდგეს, — გასაგონად გავეხმიანე.

ამაობაში კაცი თვალს არ აცილებდა ბოშას, ის კი — კაცს. რამდენიმე წუთს უცქერდნენ ისინი ერთმანეთს და ამ ურთიერთღირღიტში არც შიში ჩანდა, არც გამოწვევა. მერე ბოშამ ხალთაგუდა ძირს დადო, ერთი აგდებულად გაიღიმა და სენ-ჟან-პიე-დე-პორის მიმართულებით დაიძრა.

— მე პეტრუსი* მქვია, — ჩაილაპარაკა კაცმა, როცა ბოშა კაჭარს მიეფარა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ ავუქციე გვერდი. — სხვა დროს უფრო ფრთხილად იყავი.

ბოშისა და თვით მადამ დებრილისგან განსხვავებით, ის თითქოსდა კეთილად განწყობილი მეჩვენა. მან მიწიდან აიღო ხალთაგუდა, რომლის წინა მხარეს ნიჟარა იყო გამოსახული, — იქიდან ღვინიანი ბოთლი ამოაძვრინა, მოსვა და გამომიწოდა. მეც მოვსვი და, ის ბოშა ვინ იყო-მეთქი, ვკითხე.

— ვინაიდან საზღვრიდან შორს არა ვართ, ამ გზას უკვე დიდი ხანია, რაც ბასკონიის ესპანური ნაწილის კონტრაბანდისტები და ტერორისტები ეტანებიან, — ამიხსნა პეტრუსმა. — პოლიცია აქ თითქმის არცროდის არ არის.

— ეგ ვერაფერი პასუხია. რა ვიცი, ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით კი უცქეროდით და. მეც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მეცნაურება. ალბათ, ამიტომაც მივმართე.

პეტრუსმა ერთი ჩაიფხუკუნა და, წასვლა სჯობს წარმავალისაო, თქვა. ავიკარი გუდა-ნაბადი, და დავიძარით. ოღონდ ამ ჩაფხუკუნებამ ცხადი გახადა ჩემთვის, რომ მეგზურ-ყოლაუზი ჩემი იმაზევე ფიქრობდა, რასაც მე ჩავეგდე საგონებელში.

ორივენი ეშმაკს ვიყავით გადაყრილნი.




*სინამდვილეში პეტრუსი კი არა, სხვა სახელი ჰქვია. ვინაიდან არ მინდოდა ამ ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა, სახელი გამოვუცვალე — თუმცა ეს თითქმის ერთადერთი შემთხვევაა მთელ ამ წიგნში.*



რამდენიმე ხანს მდუმარედ მივაბიჯებდით, და მადამ დებრილის სიმართლეში დავრწმუნდი: სამ კილომეტრზეც ხმიანობდა ორკესტრი, რომელიც განუწყვეტლივ უკრავდა. ძალიან მინდოდა, რომ შევკითხვოდი პეტრუსს, ვინა ხარ და საიდან ხარ, რას საქმიანობ და აქ როგორ მოხვდი-მეთქი, მაგრამ წინ ერთად გასავლელი შვიდასი კილომეტრი გვედო, და ვიცოდი, ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგებოდა ის წუთი, როცა ყველა ამ კითხვას პასუხი გაეცემოდა. თუმცა ბოშა თავიდან არ გამომდიოდა, ასე რომ, მაინც ვერ მოვითმინე და დავარღვიე დუმილი:

— პეტრუს, რატომღაც მგონია, რომ ის ბოშა ეშმაა, უწმინდური.

— ჰო, ეშმაა. — და ამ სიტყვების გაგონებაზე შიშისა და შვების ნაზავი გრძნობა დამეუფლა. — ოღონდ არა ის ეშმა, რომელსაც ტრადიციით იცნობდი.

ტრადიციით კი ეშმა სულია, არც კეთილი და არც ბოროტი: ჰგონიათ, სულ ის ინახავს, რაც რამ ქვეყანაზე საიდუმლოა, ადამიანის შეგნებისთვის მისაწვდომი, ძალაც ერჩის და განაგებს კიდეც მატერიალურ სამყაროს. დაცემული ანგელოზია, თავის თავს კაცთა მოდგმას აკუთვნებს და მუდამ იმის მომხრეა, რომ ადამიანს ურთიერთხელსაყრელი, ასე ვთქვათ, პირობებით გაურიგდეს — მიმციას მომცია უნდაო, ანუ შენც გამიწიე სამსახური და მეც გაგიწევო.

მაგ ბოშას ეშმაკისგან რა განასხვავებს-მეთქი, დავეკითხე.

— ჯერ სადა ხარ, გზაში ეგეთები ბლომად შეგვხვდებიან, — გაიცინა პეტრუსმა. — თავად მიხვდები სხვაობას. მანამ კი, არსი რომ მოახელო, სცადე იმასთან შენი საუბრის სრულად გახსენება.

მეხსიერებაში იმ ორიოდ საცოდავ წინადადებას დავუწყე ჩხრეკა, მე და ბოშამ ერთმანეთში რომ გავცვალ-გამოვცვალეთ. მგონი, შენ გიცდიდიო, მითხრა, ფიქრი ნუ გაქვს, მახვილს გაპოვნინებო.

ეგ სიტყვებიო, მომიგო პეტრუსმა, ზედგამოჭრილი იმ ქურდის სიტყვებია, რომელსაც დანაშაულზე წაასწრესო, — ბოშა ხომ სხვის ტავარჯუხს ქექავდაო, — მაგ სიტყვებით იმას დროის მოგება და უკან დასახევი გზის პოვნა უნდოდაო. ამასთანავე, იქნებ სულაც სხვა, ბევრად უფრო ღრმა რამ აზრი ჩადოო: მაგ სიტყვებით ბოშამ სწორედ ის გითხრა, რისი თქმაც სჭირდებოდაო.

— რომელი ერთი ვირწმუნო?

— ერთიცა და მეორეც. ნივთიერი სამხილით მოხელთებულმა ბაცაცამ ასლი ის სიტყვები გითხრა, რა სიტყვებითაც უნდა მოემართა შენთვის. მან, ეტყობა, თავიც იქო საზრიანობისათვის, ნამდვილად კი მხოლოდ და მხოლოდ ზენარი ძალის იარაღი იყო. ჩემს გამოჩენაზე რომ დამფრთხალიყო და მოეკურცხლა, ეს ლაპარაკი აღარ დაგვჭირდებოდა. მაგრამ შემხედა თუ არა, იმის თვალებში ეშმის სახელი ამოვიკითხე, რომელსაც ბევრჯერ შეხვდები გზაში.

პეტრუსის აზრით, ეს შეხვედრა კეთილის მომასწავებელი რამ ნიშანი იყო, რამეთუ ეშმამ ამთავითვე გამოიმჟღავნა თავი.

— ასეა თუ ისე, ამოიგდე თავიდან ეგ შენი ბოშა, რადგან, როგორც უკვე გითხარი, მაგისთანა ბევრი შეგხვდება შენს გზაზე. იქნებ ეგ ყველაზე მთავარიც არის, მაგრამ ერთადერთად ნუ წარმოიდგენ.

მწირი მცენარეულობა, მსგავსი იმისა, უდაბნოში იშვიათად რომ გვხვდება, კორომებმა, ანუ აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად მდგარმა ხეებმა შეცვალეს. ალბათ, პეტრუსი მართალია: მოსახდენი თავისთავად უნდა მოხდეს. დროდადრო იგი დუმილს არღვევდა და იმ ადგილებში მომხდარ ისტორიულ ამბებს ყვებოდა, რა ადგილებსაც გზადაგზა გავდიოდით. ერთხელაც ის სახლი მოვიხილე, სადაც დედოფალმა სიკვდილის წინ უკანასკნელი ღამე გაატარა, არ გამომპარვია არც ჭიუხზე შესკუპებული პატარა სამლოცველო — იმ წმინდანის განმარტოებული სავანე, რომელ წმინდანსაც იქაური მრავალრიცხოვანი მოსახლეობა სასწაულმოქმედად მიიჩნევდა.

— სასწაულმოქმედება დიდი საქმეა. შენ რას იტყვი? — დამეკითხა ჩემი მეგზური.

ჰოობა ვუთხარი, ოღონდ დავძინე, არცროდის ცხოვრებაში ნამდვილი სასწაული არ მინახავს-მეთქი. ჩემთვის ტრადიციის სწავლება უფრო ინტელექტუალური თვალსაზრისით ხდებოდა, მაგრამ მჯერა, რომ ჩემი მახვილის პოვნისთანავე მეც შევიძლებ იმის ქმნას, რასაც ჩემი მოძღვარი იქმს-მეთქი.

— ... თუმცა არც სასწაულია, რაც ჩემს მოძღვარს ხელეწიფება, ვინაიდან არც ერთი ჩემი მოძღვრისმიერი სასწაული არცრა ბუნების კანონს არ ცვლის და არც კიდევ ეწინააღმდეგება იმ კანონთ. ის დალოცვილი ოდენ იყენებს ამ იდუმალ ძალებს, რათა ... — და ენა მუცელში ჩამივარდა, რამეთუ არ შემეძლო ახსნა, რარიგ ახერხებდა ჩემი მოძღვარი სულთა ხორცშესხმას, საგანთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადადებ-გადმოდებას და, როგორც არაერთხელ შევსწრებივარ, — ღრუბლიან ამინდში მოქუფრული ცის გაიალკიალებას და ლაჟვარდის ნაფთევებისა თუ გუბეების გამოჩენას.

— ეგება მაგას სულაც იმიტომ შვრება, რა არი დაგანახვოს, ხედავ რა ცოდნა და ძალა მაქვსო? — ივარაუდა პეტრუსმა.

— ეგება-მეთქი, — მივუგე არცთუ მაინცდამაინც გულდაჯერებულად.

და იქვე ქვაზე ჩამოვსხედით, რადგან პეტრუსმა, სიარულში მოწევას ვერ ვიტანო, ფილტვებში ნამეტანი ბევრი ძირიფი ჩამდის, ბოლი კი გულს მირევსო, თქვა.

— დიახაც მაგიტომ არ გადმოგცა შენმა მოძღვარმა მახვილი. იმიტომ რომ არ იცი, რარიგ ახერხებს მაგ საოცარ ამბებს. იმიტომ რომ მთავარი დაგვიწყებია — შეცნობის გზა სუყველასთვის ხსნილია, ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ადამიანთათვისაც. ამ ჩვენი მოგზაურობის დროს ზოგიერთ რამ სავარჯიშოსა და რიტუალს გასწავლი, რაც RAM ორდენში მიღებულია. სუყოველ ადამიანიშვილს თავისი არსებობის ამა თუ იმ ჟამს საცნაური უხდება სულ ცოტა რომელიმე სავარჯიშო თუ რიტუალი. და, უნდა ითქვას, უკლებლივ, უგამონაკლისოდ, სუყველას აკვლევენ ისინი, ვინც ეძიებს, ვინც მოთმინებითა და ჯიუტად ეძიებს. მოპოვებით კი იმ გაკვეთილებიდან მოიპოვებენ, რომელთაც ცხოვრება გვაძლევს.

RAM ორდენის რიტუალები ისერიგად უბრალოა, რომ შენისთანა ადამიანებს, ანუ ყველაფრის გართულება ვისაც გიყვართ, ხშირად უყურადღებოდ გრჩებათ, არცრად მიგაჩნიათ. თუმცა სწორედ იმ რიტუალების წყალობით ეძლევა ადამიანს ყველაფრის მიღწევის საშუალებაცა და შნოც — ყველაფრისა, გესმის? — რაც კი სწადს.

იესო ქება-დიდებას ასხამდა ზეციერ მამას, ოდეს მოიხილა, რომ თავისი მოწაფენი სასწაულთ ახდენდნენ და სატკივართ კურნავდნენ, და მადლსა სწირავდა დამბადებელს, რამეთუ ღმერთმა მწიგნობართა და ბრძენთ დაუმალა ეს საიდუმლონი, ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანთ კი გაუმხილა, ბოლოსა და ბოლოს, თუკი ადამიანს ღმერთი სწამს, ისიც უნდა სწამდეს, ვალდებულია, რომ ღმერთს სამართალი არ ეშლება.

პეტრუსი სავსებით მართალი იყო. ნამდვილად უმაღლესი უსამართლობა იქნებოდა, უკეთუ ჭეშმარიტი შეცნობა თუ შემეცნება ოდენ განსწავლულ კაცთ შეეძლებოდათ, ვისაც დროცა აქვს და არც ფულზე შეიჭრის ხელს ძვირფასი წიგნების შესაძენად.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ" № 32-34.

№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

# დისკუსია

**1989 წლიდან დღემდე ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის დევნილებშიც, არ არის ერთი აზრი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაყოფისა და მისი ქართული ნაწილის ბაზაზე ახალი ქართული უმაღლესი სასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაფუძნების თაობაზე**



# ერთხელ კიდევ 1989 წელს გამომწვევი მიზეზების

## რა გზა გამოვიარეთ

*1989 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორც ცნობილია, უკიდურესად გამწვავდა პოლიტიკური სიტუაცია, რაც გამოიწვია 1989 წლის 18 მარტს ლიხნის თავყრილობაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის, მათ შორის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ადლეიბასა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვალერიან კობახიას უშუალო მონაწილეობით, მიღებულმა ანტიკონსტიტუციურმა გადაწყვეტილებებმა.*

*როგორც ცნობილია, ლიხნის თავყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებები იყო საქართველოს და აფხაზეთის სსრ-ის მორიგი „დაგზნება“. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში უხეშად ირღვეოდა „ლენინური ეროვნული პოლიტიკა“. აფხაზთა თავყრილობის მონაწილეები კატეგორიულად ლაპარაკობდნენ 1931 წელს დაშვებული „ტრაგიკული შეცდომის“ (როდესაც თითქოს „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აფხაზი ხალხის ნების გარეშე, გადაკეთდა აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში) დაუყოვნებლივ გამოსწორების საკითხს, ანუ აფხაზეთის ასსრ-ის ფაქტობრივად საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანას, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც სსრკ-ის, ისე საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციებს, რომლებშიც ერთმნიშვნელოვნად იყო დადასტურებული და კონსტიტუციურად განმტკიცებული მოკავშირე რესპუბლიკათა (ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ-ისძ ტერიტორიული მთლიანობის ურყევობა.*

სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ამომწურავადაა გაანალიზებული ე.წ. „აფხაზეთის ასსრ-ის“ რეალური სახელმწიფოებრივი სტატუსის საკითხი 1921-1931 წლებში და კონკრეტულ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ე.წ. „ხელშეკრულებით აფხაზეთის სსრ“ არასოდეს არ წარმოადგენდა საქართველოს სსრ-ისაგან დამოუკიდებელ „მოკავშირე რესპუბლიკას“, და რომ „დე ფაქტო“ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ის იყო ავტონომიური ერთეული საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. უფრო მეტიც, ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმის მცდელობა (1925 წ.ძ კონსტიტუციურად მოეწყვიტა აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსაგან, როგორც ცნობილია, სრული კრახით დასრულდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა პაკვილის შეთითხვნას (როგორც ცნობილია, ასეთი „დოკუმენტები“ ადრეც – 1957, 1967, 1978, 1984 წლებში – იქმნებოდა, მაგრამ ამას მათ აფხაზეთის ქართველობის რაიმე სახიფათო საპროტესტო აქცია არ მოჰყოლია, რაც აიხსნებოდა შემდეგი გარემოებით: მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ხელისუფლება ყოველთვის იყენებდა „აფხაზურ საკითხებს“ თბილისზე გავლენის შესანარჩუნებლად, მთლიანობაში, ის მაინც ერიდებოდა ურთიერთობების მკვეთრად გამწვავებას საქართველოს ხელისუფლებასთან და ამიტომაც, მაინცდამაინც, დიდ ყურადღებას არ აქცევდა აფხაზთა დაბეზღებებსძ, შეიძლება რაიმე სერიოზული გართულება არც გამოეწვია. მაგრამ ამ შემთხვევაში „ლიხნის თავყრილობაზე“ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ხელისუფლებისათვის და თვით აფხაზებისათვის მოულოდნელად, აფხაზეთის ქართული მოსახლეობამ და სრულიად საქართველომ მწვავე პროტესტით უპასუხა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ყოველივე ეს მოხდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის, მათ შორის საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ბორის ადლეიბასა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ვალერიან კობახიას უშუალო მონაწილეობითა და დასტურით. უფრო მეტიც მათ ოფიციალურად მოაწერეს ხელი ე.წ. „ლიხნის მიმართვას“, რითაც ფეხქვეშ გათელეს ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნული ინტერესები.

დაიწყო ქართული ეროვნულ-პატრიოტული ძალების მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, როგორც საკუთრივ აფხაზეთში, ისე თბილისში, რაც, როგორც ცნობილია დამთავრდა 9 აპრილის ტრაგედიით. ხელისუფლებისათვის უმართავი გახდა პროცესები აფხაზეთში სადაც, ქართული ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე უყოყმანოდ დადგა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის ქართველმა სტუდენტობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა ღიად გაილაშქრეს ლიხნის თავყრილობის მიერ მიღებული ანტიქართული გადაწყვეტილებების წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვეს უნივერსიტეტის აფხაზ ხელმძღვანელთა, პირველ რიგში კი რექტორის, პროფესორ ალეკო გვარამიას მხრიდან „ლიხნის მიმართვაზე“ თავიანთი ხელმოწერის დეზავუირება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, როგორც მოსალოდნელი იყო არაფრად ჩააგდო ქართული მხარის ეს მოთხოვნა და ელემენტარულ დათმობებზეც კი არ წავიდა. შედეგად დაიწყო ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საპროტესტო აქცია, რომელმაც მალე შიმშილობის ფორმა მიიღო. აქციას სოლიდარობა გამოუცხადა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ფართო ფენებმა და ის საერთო-სახალხო პროტესტში გადაიზარდა. ხელისუფლებამ, მათ შორის საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და საკავშირო ცენტრიდან მოვლენილმა ემისრებმა ვერაფერი გააწყვეს აფხაზურ მხარესთან და ვერ დაიყოლიეს ის რაიმე შემხვედრ ნაბიჯებზე. ასეთ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა, მიეღო იმ დროისათვის სრულიად უპრეცედენტო გადაწყვეტილება და წასულიყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ნაწილის ბაზაზე სოხუმში ახალი ქართული უმაღლესი სასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაარსებაზე.

1989 წლიდან დღემდე ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის დევნილებშიც, არ არის ერთი აზრი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაყოფისა და მისი ქართული ნაწილის ბაზაზე ახალი ქართული უმაღლესი სასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაფუძნების თაობაზე. არც თუ ისე იშვიათად, შევხვდებით ასეთ შეფასებას: მაშინ, 1989 წლის გაზაფხულზე, როდესაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა ვერ აიტანეს უნივერსიტეტის აფხაზური ნაწილის გამოკვეთილი ანტიქართული კურსი და არ ისურვეს სეპარატისტებთან ერთად ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა და მუშაობა, ქართულმა მხარემ დააშავა და უნივერსიტეტის გახლეჩით თავად გაამწვავა პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს, არც მეტი არც ნაკლები, მკრეხელური ბრალდებაა. ამგვარი შეფასების ავტორები შეიძლება რამდენიმე კატეგორიად დავყოთ.

ერთნი, არ არიან რა სათანადოდ ჩახედული XX საუკუნის 50-80-იანი წლების აფხაზეთის სინამდვილეში, თავს უფლებას აძლევენ, „დამოძღვრონ“ ის ადამიანები, რომლებიც XXს. 80-იანი წლების მიწურულს მედგრად დადგნენ საერთო-ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე და დაადანაშაულონ ისინი დესტრუქციულ ქმედებებში. კერძოდ, ამის მცდელობას ადგილი ჰქონდა ამ რამდენიმე ხნის წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, რომლის პერიოდული ორგანოს: გაზეთ „სოხუმის სადროშოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა (აშკარად უმაღლესი სასწავლებლის იმჟამინდელი ადმინისტრაციის ხელშეწყობითძ ვინმე გივი ხაზალიას (მასალათა გამძლეობის დოცენტის, რომელიც არავინ იცის, თუ რატომ კითხულობდა სოხუმის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ზოგად კურსსძ „დარიგება“. მასში აფხაზეთის ქართველობა, პირველ რიგში, აფხაზეთის უნივერსიტეტის ამბოხებული ქართველი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამტარებელ პროვოკატორებად და აფხაზებთან შუღლის გამჩაღებლად იყვნენ მონათლულნი. თურმე ეს, ქართველებს (და არა აფხაზებსძ გადაუხვევია მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძმობის გზიდან, ეს, მათ უღალატია აკაკი წერეთლის, გიორგი შარვაშიძის, კონსტანტინე გამსახურდიას იდეებისათვის.

მეორენი, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად ერკვევიან აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნიუანსებში, ხშირ შემთხვევაში თვითონ არიან ამ პროცესების მონაწილე და, შეიძლება ითქვას, შექმნილი ვითარების მსხვერპლნიც, ჯეროვნად ვერ აცნობიერებენ ეროვნული თვითშეგნებაღვიძებული აფხაზეთის ქართველობის სატკივარს და იძლევიან ზოგიერთი მოვლენის არაადეკვატურ შეფასებას. მაგალითისათვის დავასახელებდი ჩემთვის (და არამარტო ჩემთვისძ ფრიად პატივსაცემ პიროვნებას, ბატონ ლორიკ მარშანიას, რომლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში უნივერსიტეტის გაყოფა, სამწუხაროდ, ახსნილია „ქართველი ექსტრემისტების რადიკალიზმით“.

მაგრამ განსაკუთრებით საგანგაშოა ქართული მხარის დადანაშაულება უნივერსიტეტის გახლეჩაში აფხაზეთის მკვიდრ ქართველთა მხრიდან. მათ შორის, არიან ისინიც, ვინც თავს პოლიტიკოსობაზე დებენ (კერძოდ, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნაპოლეონ მესხია, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ, ბ-ნ ლორიკ მარშანიას ზემოთდასახელებული წიგნის პრეზენტაციაზე, უხეშად დაესხა თავს ამ სტრიქონების ავტორს, მხოლოდ იმიტომ, რომ მან მორიდებულად, მეცნიერული და ადამიანური ეთიკის სრული დაცვით, მიუთითა წიგნის ავტორს, მის მიერ უნებლიედ დაშვებულ შეცდომაზეძ. შევეცდებით ახსნა მოვუძებნოთ აფხაზეთის ქართველობის ამ კატეგორიის ამგვარ, მე ვიტყოდი, კაპიტულანტურ, პოზიციას.

უკანასკნელი ათწლეულების (საბჭოთა კავშირის ხელისუფლების სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგძ განმავლობაში აფხაზეთში პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურის მიერ გატარებულმა გამოკვეთილმა პროაფხაზურმა კონიუნქტურამ დააზიანა ადგილობრივი ქართველობა, მნიშვნელოვნად დააქვეითა მისი ეროვნული თვითშეგნება და ჩამოუყალიბა არასრულფასოვნების კომპლექსი. უნდა ითქვას, რომ ამაში გარკვეულწილად დამნაშავეა არა მხოლოდ ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურები, არამედ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებაც. რასაკვირველია, გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მოსკოვი დაუშვებდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ზედმეტად აქტიურ ჩარევას აფხაზეთის „საშინაო“ საქმეებში, მაგრამ ეს მაინც არ ამართლებს თბილისის პასიურობას. ვფიქრობთ, საკავშირო ცენტრის დიქტატის პირობებშიც კი შესაძლებელი იყო ქმედითი მექანიზმების მოძებნა რეგიონში მიმდინარე პროცესების დასარეგულირებლად.

ამის ნაცვლად, სამწუხაროდ, საქართველოს სსრ-ის კომუნისტური ხელმძღვანელობა ხშირ შემთხვევაში თვალებს ხუჭავდა და სირაქლემის პოზას ილებდა. განსაკუთრებით კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა. სრული დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ 60-იანი წლებიდან მაინც კარდინალური საკადრო საკითხები ავტონომიურ რესპუბლიკაში მთლიანად აფხაზური ნომენკლატურის კარნახით წყდებოდა. აფხაზური ნომენკლატურა ყოველნაირად ცდილობდა და წარმატებითაც ახერხებდა, ე.წ. „ქართულ თანამდებობებზე“ შეერჩია და დაენიშნა საშუალო უნარისა და შესაძლებლობების პიროვნებები, რომელთა ქართველობის ხარისხი მხოლოდ და მხოლოდ პასპორტში გაკეთებული ჩანაწერითღა შემოიფარგლებოდა (ამის სანიმუშო მაგალითია ცნობილი ვაჟა ზარანდია, რომელიც ვლადისლავ არძინბამ, რეგლამენტის უხეში დარღვევითა და, რაც მთავარია, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის არსებული ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმების“ სრული იგნორირებით, ქართული დეპუტაციის დაუკითხავად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცებინა აფხაზეთის ახლად არჩეულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს 1992 წლის მაისში. ეს ვაჟბატონი, როგორც ცნობილია, ერთგულად ემსახურა სეპარატისტულ რეჟიმს 1992-1993 წლების ძმათამკვლელი ომის დროს და დღესაც საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს უქართველებო აფხაზეთშიძ. სეპარატისტები ვერაფრით ვერ დაუშვებდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე პატრიოტი ქართველების დაწინაურებას. მათ სჭირდებოდათ უნიათო, არაფრით გამორჩეული, მათი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი ადამიანები, რომელთათვისაც სრულიად უცხო იყო ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ის თითო-ოროლა ქართველი მოღვაწე კი, ვინც გამოიჩენდა „ზომაზე მეტ ქართველობას“ და დაუპირისპირდებოდა აფხაზ ხელისუფალთა ნაციონალისტურ კურსს, იმთავითვე ხდებოდა სეპარატისტების ანგარიშსწორების ობიექტი.

თავის მხრივ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არა თუ არ იცავდა ამ ე.წ „აქტიურ ქართველებს“, არამედ, პირიქით, აფხაზ სეპარატისტთა გულის მოგების მიზნით, დემონსტრაციულად იშორებდა მათ. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც XXს. 60-70-იანი წლებში სეპარატისტული გამოსვლების ფონზე განხორციელებული საკადრო გადაწყვეტილებები, როდესაც აფხაზური ნომენკლატურისა და სეპარატისტული წრეების მოთხოვნით სოხუმიდან „გამოწვეულნი“ იქნენ: 1967წ. – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჩიქოვანი და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დამიანე გოგოხია, ხოლო 1978წ. – ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ საყვარელიძე და საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გიორგი ჟორჟოლიანი.

არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდათ იმ აფხაზ მოღვაწეებსაც, რომლებსაც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად ობიექტური პოზიცია ეკავათ და, ასე თუ ისე, ცდილობდნენ, გამიჯნოდნენ სეპარატისტულ იდეოლოგიას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა 1978 წლის ე.წ. „აფხაზური რევოლუციის“ შემდეგ (ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია მეჯიდ ხვარცკიასა და იგივე ლორიკ მარშანიას მაგალითი, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით, 1979-1980 წწ., გაანთავისუფლეს იდეოლოგიის დარგში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან. ამასთან, თუ მ. ხვარცკია იქვე დატოვეს და გადაიყვანეს სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, ლ. მარშანია საერთოდ მოაშორეს სოხუმს და თბილისში, საქართ-

## ანალიზის ცდა

*გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე წამოწყებული დისკუსია, როგორც იტყვიან, ძალას იკრებს. დისკუსიის წინა ოთხ პუბლიკაციას (2, 9, 16 თებერვალიძ უკვე არა ერთი და ორი ავტორი გამოეხმაურა, რომელთა წერილებსაც მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ. აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა გარდა, დისკუსიაში ჩაბმის სურვილი გამოთქვეს ჩვენი უახლესი ისტორიის მონაწილე ადამიანებმაც – მოქალაქეებმა, ვის თვალწინაც და ვისი უშუალო ჩარევითაც იცვლებოდა დრო და დროსთან ერთად იცვლებოდა ცხოვრებაც. ბუნებრივია, გაზეთი ამ ადამიანთა ნააზრევსაც გარკვეულ ადგილს მიუჩენს.*

*ამჯერად გაზეთის ფურცლებს ვუთმობთ აფხაზეთის მკვიდრს, ცნობილ ისტორიკოსს ზურაბ პაპასქირს.*

***გიწვევთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს***

**ჩვენი უახლოესი უტყუარი წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები**

**დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985-2003 წლებში“**

№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

# დისკუსია

**ერთი სიტყვით, ათეული წლების მანძილზე აფხაზეთის ქართველობის მხრიდან პოლიტიკურ ასპარეზზე აფხაზთა „მონოპოლიური უფლებებისადმი“ სრულმა შემგუებლობამ და „უსიტყვო მორჩილებამ“ გაათამამა სეპარატისტები, ხელი შეუწყო აფხაზობის მმართველ ერად ჩამოყალიბებასა და აფხაზური ეთნოკრატიისა და ეთნოდიქტატურის დამყარებას ავტონომიურ რესპუბლიკაში**



## რა გზა გამოვიარეთ

ველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში „დააწნიაურა“. ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ აფხაზეთში ჩამოყალიბდა ყოვლად უზნეო, აფხაზ ხელისუფალთა მონურ სამსახურს შეჩვეული და მთლიანად მათზე დამოკიდებული ქართული ნომენკლატურა, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, პიროვნული პროფესიონალური მომზადების დონით, ისე ზოგადი ინტელექტითაც აშკარად ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგე მხარეს.

აფხაზეთში ქართული მოსახლეობის თანდათანობითი დეგრადაცია და მისი საუკუნეთა სამშობლოში მეორეხარისხოვან ხალხად გადაქცევის პროცესს ხელს უწყობდა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების არათანმიმდევრული და ცალმხრივი პოლიტიკა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში. პირველ რიგში, ყურადღება ექცეოდა აფხაზი ეროვნების სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი კადრების მომზადებას, მათთვის მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნას. ყოვლნაირად იდევნებოდა ქართული სახელმწიფოებრივი სულისკვეთების, ქართული სულიერების ნებისმიერი სახით გამოვლინება საზოგადოებრივ-სამეცნიერო და კულტურულ-შემოქმედებით დაწესებულებებში. ამის მკაფიო მაგალითია თუნდაც ის, თუ რა პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა ქართულ დასს სამსონ ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში; როგორი წინააღმდეგობით ხვდებოდნენ აფხაზები ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბებას; რა გადაულახავ სიძნელეებს აწყდებოდნენ ქართველი მწერლები თავიანთ ნაწარმოებთა გამოქვეყნებისას და როგორი ცინიკური დამოკიდებულება იყო მათდამი აფხაზეთის მწერალთა კავშირში.

პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის აღიარება და პროპაგანდა, ხოლო პირებს, რომლებიც შემჩნეულნი იქნებოდნენ ამგვარ „დანაშაულში“, უმალვე აკერებდნენ „აფხაზი ხალხის მტრის“ იარლიყს, მაშინ, როდესაც ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებდა იმ აფხაზ მოღვაწეთა (მეცნიერების, მწერლების და ა.შ.) მიმართ, რომელთა მთელი საქმიანობა მიმართული იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. განსაკუთრებით თვალნათლივ გამომჟღავნდა ეს ისტორიოგრაფიაში. სწორედ ისტორიული წარსულის გაყალბებამ დაიკავა გამორჩეული ადგილი ნაციონალ-სეპარატისტთა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსენალში. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ურცხვად ატყუებდნენ აფხაზური სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის მამები“ ხალხს თავიანთი ნაცოდვილარით, რა მიწიერ და არამიწიერ ცოდვებში არ სდებდნენ ბრალს საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს, სრულიად უსაფუძვლოდ აცხადებდნენ მათ საუკუნეების მანძილზე აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებული ყველა უბედურებისა და ბოროტების მიზეზად.

ანტიქართული ფსიქოზით დაავადებული ცალკეული ისტორიკოს-პოლიტიკოსები ისეთ მკრეხელობამდეც კი მიდიოდნენ, მზად იყვნენ თვით რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნეში მოწყობილ აფხაზი ხალხის გენოციდშიც კი ქართველები დაედანაშაულებინათ. და ეს ყველაფერი მათ გასდიოდათ. ქართველი მეცნიერების ნებისმიერი მცდელობა, საკადრისი პასუხი გაეცათ საქართველო-აფხაზეთის ისტორიის გამყალბებლებისათვის, უმეტეს შემთხვევაში, გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებოდა ხელისუფლების სათანადო სტრუქტურების მხრიდან, როგორც სოხუმში, ისე თბილისში. ასეთ ვითარებაში, სამწუხაროდ ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა (ეს განსაკუთრებით ეხება სოხუმში მოღვაწე მეცნიერებს) ვერ ბედავდა სიტყვის ამოღებას და დუმილს ამჯობინებდა, ხოლო იმ თითო-ოროლა მეცნიერს, რომელიც არ უშინდებოდა ამ კონიუნქტურას და მაინც იმაღლებდა ხმას, უმალვე თავს სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების რისხვა ატყდებოდა (ამ მხრივ არაერთი უსიამოვნება შეხვედრია ამ სტრიქონების ავტორსაც). ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ არა მარტო აფხაზებმა, არამედ აფხაზეთის ქართველობის საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმაც მართლა დაიჯერა, რომ აფხაზეთი არასოდეს არ იყო საქართველო, ხოლო აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას მხოლოდ და მხოლოდ აფსუა-აფხაზები წარმოადგენენ. ამდენ გამომდინარე, ქართველებს, როგორც „მოსულ ხალხს“ არ უნდა ჰქონოდა უფლება შეეცილებოდა რეგიონის ერთადერთ მკვიდრ მოსახლეობას — აფხაზებს, „საკუთარი“ სამშობლო — აფხაზეთის მფლობელობა-პატრონობაში.

და მაინც, არავითარი გამართლება არა აქვს აფხაზეთის ქართველობის პასიურობას. როგორც არ უნდა ყოფილიყო ოფიციალური კონიუნქტურა აფხაზეთში, ქართულ მოსახლეობას, პირველ რიგში კი მის პოლიტიკურ ელიტას — საპარტიო ნომენკლატურას — არ ჰქონდა უფლება პირში წყალი ჩაეგუბებინა და გულგრილად ეცქირა იმისათვის, თუ როგორ მოუწოდებლად ილახებოდა რეგიონის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ეროვნული თავმოყვარეობა ერთი მუჭა სეპარატისტების მხრიდან. იმის ნაცვლად, რომ დროულად გამოფხიზლებულიყო და აფხაზეთის ნაციონალისტური დაჯგუფებისათვის აქტიური ეროვნული მოქალაქეობრივი პოზიცია დაეპირისპირებინა, აფხაზეთის ქართული ნომენკლატურის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა, თავისი ლაჩრული დუმილით კიდევ უფრო ათამამებდა სეპარატისტებს.

# აფხაზეთის კრიზისის შესახებ



უფრო მეტიც, ქართველთა შორის არც თუ ცოტანი იყვნენ ისეთი „მოღვაწენიც“, რომლებიც არა თუ არ იმაღლებდნენ ხმას სეპარატისტული გამოხდომების წინააღმდეგ, არამედ, რიგ შემთხვევებში, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდნენ კრიტიკულ სიტუაციაში გამოკვეთილი პროაფხაზური პოზიცია დაეკავებინათ და ამით თავისი ერთგულება დაემტკიცებინათ „ძლიერთათვის ამა ქვეყნისა“, რათა შემდგომ საჩუქრად „თბილი სავარძელი“ მიეღოთ, ან შეენარჩუნებინათ. დიახ, სწორედ ლაჩრული დუმილი და პირფერობა გახდა ნომენკლატურაში მოხვედრისა და ამ გზით მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის უმთავრესი საშუალება. ამიტომაც ქართველი კაცის შეგნებაში მყარად გაჯდა აზრი, რომ ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევ სამსახურებრივად, თუ ვერ გამონახავ „საერთო ენას“ აფხაზობასთან, თუ არ ჩაგთვლიან ისინი თავიანთ კაცად. „საერთო ენის“ გამონახვა კი, პირველ რიგში, აქტიურ ეროვნულ პოზიციაზე უარის თქმისა და ფაქტობრივად სეპარატისტთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური გავლენის ქვეშ მოქცევის ხარჯზე ხდებოდა. ვინც არ გაითვალისწინებდა ამას, ის, ბუნებრივია, იმთავითვე განწირული იყო. ყოველივე ეს ქართველ კაცს ლაქიის ფსიქოლოგიას უნერგავდა. სამწუხაროდ, სწორედ ამგვარმა ფსიქოლოგიამ გამოიწვია აფხაზეთის ქართველობის დიდი ნაწილის ეროვნული თავმოყვარეობის სრული დეგრადაცია.

ასეთ ვითარებაში ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე აფხაზეთის ქართული სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელსაც არ ეყო გამბედაობა და ვერ იტვირთა ერის წინამძღოლის ფუნქცია. ესეც არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან ქართული ინტელიგენციაც, ისევე როგორც ნომენკლატურა, ყალიბდებოდა პროაფხაზური კონიუნქტურის პირობებში და იმთავითვე ექცეოდა მისი გავლენის ქვეშ. ფაქტობრივად, ქართველი მწერლები, მეცნიერები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სრულ ინდიფერენტულობას იჩენდნენ რეგიონში მიმდინარე პროცესებისადმი და არანაირად არ ცდილობდნენ, დაპირისპირებოდნენ თავიანთი აფხაზი კოლეგების ანტიქართულ გამოხდომებს. უფრო მეტიც, ამ სფეროშიც გამოიკვეთა აფხაზური ნაციონალისტური დინების ფარვატერში მავალ ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ერთგვარი „ელიტა“, რომელთაც არასოდეს მიუტანიათ გულთან საერთო-ქართული ეროვნული სატკივარი და, რომელიც სათანადოდ იყო დაფასებული აფხაზური ხელისუფლების მიერ. ნიშანდობლივია, რომ ამ ე.წ. „ელიტის“ ზოგიერთი წარმომადგენელი 1993 წლის ტრაგედიის შემდეგ სოხუმში დარჩა და დღესაც „წარმატებით“ განაგრძობს თავის „შემოქმედებით მოღვაწეობას“ სეპარატისტული რეჟიმის საამებლად.

ერთი სიტყვით, ათეული წლების მანძილზე აფხაზეთის ქართველობის მხრიდან პოლიტიკურ ასპარეზზე აფხაზთა „მონოპოლიური უფლებებისადმი“ სრულმა შემგუებლობამ და „უსიტყვო მორჩილებამ“ გაათამამა სეპარატისტები, ხელი შეუწყო აფხაზობის მმართველ ერად ჩამოყალიბებასა და აფხაზური ეთნოკრატიისა და ეთნოდიქტატურის დამყარებას ავტონომიურ რესპუბლიკაში. ქართველობის ამგვარმა პასიურობამ მიიყვანა ერთი მუჭა სეპარატისტები იმ დასკვნამდე, რომ იქაურ ქართველებს არა თუ არა აქვთ უფლება, არამედ მათ საერთოდ არ ძალუძთ და არცა აქვთ მოთხოვნილება, დაიცვან თავისი ეროვნული ინტერესები და რომ ისინი უბრალოდ ვალდებულნი არიან, უსიტყვოდ დაემორჩილონ ცხოვრების იმ წესს, რომელსაც აფხაზური ეთნოკრატია კარნახობდა. აი ამან გამოიწვია სეპარატისტთა გათავხედება. სწორედ აფხაზეთის ქართველობის უნიათობამ და ბედოვლათობამ დაარწმუნა აფხაზები იმაში, რომ მათ ყველაფრის უფლება გააჩნიათ: აქვთ უფლება რეგიონის მოსახლეობის 90%-ს — ქრისტიანებს (მათ შორის თვით აფხაზთა დიდ ნაწილსაც) თავს მოახვიონ გამოკვეთილი ისლამისტური სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა; აქვთ უფლება ქართველების ნების სრულიად იგნორირებით, უხეშად დაარღვიონ საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმები და შეცვალონ კონსტიტუცია და ამით, ერთი ხელის მოსმით, მეოთხედ მილიონზე მეტი მკვიდრი ქართული მოსახლეობა მოწყვიტონ დედა-სამშობლოს და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებად აქციონ.

მართალია, 80-იანი წლების II ნახევრიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის აზვირთებამ, მოგვიანებით კი აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ აფხაზეთის ქართველობის დიდი ნაწილი თითქოს გამოიყვანა „სიღათას ძილიდან“ და რამდენადმე მტკიცე ეროვნულ მრწამსზე მოაქცია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგია (სეპარატისტების ნებისმიერი კაპრიზებისადმი შეგუება) ჯერ კიდევ ბოლომდე არაა დაძლეული. აფხაზეთის ქართველობაში, როგორც ენგურს გაღმა, ისე ენგურს გამოღმაც (?!) საკმაოდ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც კვლავ ძველებურად აპირებენ თავიანთ აფხაზ „მოძმეებთან“ ერთად, მათ „ჭკუაზე“, წყნარად, „შეხმატკბილებულად“ ცხოვრებას. ეს ის ხალხია, რომელიც აფხაზეთის ტრაგედიის მიზეზებს ეძებს არა აფხაზურ სეპარატიზმსა და მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკაში (უკიდურეს შემთხვევაში, არა მხოლოდ ამაშიძ), არამედ „ექსტრემისტულად განწყობილი“ ქართველი პოლიტიკოსებისა და ცალკეული პიროვნებების „დესტრუქციულ ქმედებებში“, რომლებმაც დაურღვიეს მათ იდილია და „არიეს“ ქვეყანა. მათთვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, თუ როგორი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურის ქვეშ იცხოვრებენ, ოღონდ პირადი მატერიალური კეთილდღეობა ნუ მოაკლდებათ. მხოლოდ ასეთ ხალხს არ შესწევს უნარი, გაითავისოს საერთო-ეროვნული სატკივარი, არ შეუძლია იმის გაგება, თუ რატომ არ ისურვა 80-იანი წლების მიწურულს მძაფრ პატრიოტულ ნოტაზე შემდგარმა ქართველმა სტუდენტობამ, რომელმაც თავი დააღწია მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის „უკვდავი იდეების“ ტყვეობას, ანტიქართული იდეოლოგიის ბუნაგად ქცეულ აფხაზურ უნივერსიტეტში დარჩენა. მხოლოდ ასეთ ხალხს შეუძლია დაინახოს კრიმინალი იმაში, რომ ქართველ ახალგაზრდას საკუთარ სამშობლოში — საქართველოში, რომლის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს აფხაზეთი, საერთო-ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთების მატარებელ უმაღლეს სასწავლებელში სურდა სწავლა.

ასე რომ, 1989წ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახლეჩა და მისი ქართული ნაწილის ბაზაზე თსუ სოხუმის ფილიალის შექმნა სულაც არ იყო „ქართველ ექსტრემისტთა დესტრუქციული ქმედების“, მით უფრო „კარიერასა და ფულს დახარბებულ“ ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა ჯიუტი ახირება, როგორც ამას აბრალებდნენ და დღესაც აბრალებენ აფხაზეთის ქართველობის საერთო-სახალხო საპროტესტო (სხვათა შორის აფხაზეთის სინამდვილეში მანამდე უპრეცედენტოძ) აქციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს სეპარატისტები და მათი ლაქია ცალკეული მედროვე ქართველები. ეს იყო ქართული აფხაზეთისათვის დაწყებული დიდი ეროვნული ბრძოლის პირველი რეალური ნაყოფი. ამით აფხაზეთის ქართველობამ, პირველად უკანასკნელი 40 წლის მანძილზე, აშკარად დაანახა მოსკოვისაგან შეგულიანებულ სეპარატისტულ ძალებს, რომ აფხაზეთი მათი სამშობლოცაა და რომ ისინი არავის მისცემენ დანარჩენი საქართველოსაგან მისი მოწყვეტის ნებას. ქართველმა სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ აფხაზეთის უნივერსიტეტი (ხაზს ვუსვამ, აფხაზეთის და არა აფხაზებისძ მათთვის ისეთივე მშობლიურია, როგორც აფხაზთათვის და რომ ისინი არ დაუშვებენ ამ უნივერსიტეტის სეპარატისტების მიერ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ 1989 წლის 18 მარტს ლიხნში ოფიციალურ (ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირებისძ დონეზე გამოცხადებული „ჯვაროსნული ომის“ იდეოლოგიური მედროშის როლში გამოსვლას.

დიახ, სწორედ ლიხნის თავყრილობაზე მიღებულმა ექსტრემისტულმა და ანტიკონსტიტუციურმა გადაწყვეტილებებმა ააფეთქა უნივერსიტეტი, სწორედ ამ თავხედურმა გადაწყვეტილებებმა გახლიჩა აფხაზეთის საზოგადოება ორ ნაწილად და არა იმან, რომ ქართველ მწერლებს მოუნდათ თანამდებობები მწერალთა კავშირში ან სოხუმის თეატრის ქართული დასი აუხირდა აფხაზურ დირექციას, ხოლო სოხუმის „დინამოს“ ქართველმა ფეხბურთელებმა საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატში არჩიეს თამაში. დროა, ერთხელ და სამუდამოდ, გავიგოთ, რომ ყოველივე ეს იყო შედეგი არა ქართველთა ახირებისა და ე.წ. „კარიერისტული ამბიციებისა“, არამედ საპასუხო რეაქცია სეპარატისტების თავგასულ პარპაშზე.

ეს იყო ბრძოლა იმპერიისა და მის დამქაშთა წინააღმდეგ საქართველოსა და ქართული სახელმწიფოსათვის, აფხაზეთში ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების დამკვიდრებისათვის. აი, ამ ბრძოლის ავანგარდში ჩადგა ყველაზე კრიტიკულ ჟამს აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს სეპარატისტულ კონიუნქტურას. აქვე არ შეიძლება საგანგებოდ არ აღვნიშნოთ, რომ ქართველ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დაუმორჩილებლობის აქციის მაშინდელი ლიდერები სულაც არ ისახავდნენ მიზნად მაინცდამაინც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას (სხვათა შორის, ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, და არა მხოლოდ სახელისუფლებო წრეებში, გარკვეულწილად მას კრიტიკულად შეხვდნენ ქართული ეროვნული მოძრაობის ცალკეული ლიდერები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის, ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი აკაკი ბაქრაძე, რომელიც საპროტესტო აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა, არ დაეტოვებინათ უნივერსიტეტი და შიგნიდან ებრძოლათ სეპარატისტული იდეოლოგიის წინააღმდეგძ, პირიქით, მათი უმთავრესი ამოცანა სწორედ რომ აფხაზეთის უნივერსიტეტის გადარჩენა იყო. ერთადერთი აუცილებელი პირობა, რომლის შესრულებასაც ისინი კატეგორიულად აყენებდნენ, იყო, უნივერსიტეტი (უფრო სწორად, მისი აფხაზური ხელმძღვანელობა რექტორის, პროფ. ალეკო გვარამიას მეთაურობითძ ოფიციალურად გამიჯვნოდა ე.წ. „ლიხნის დეკლარაციას“. აფხაზეთის უნივერსიტეტის გახლეჩა და თსუ-ს სოხუმის ფილიალის დაარსება მხოლოდ და მხოლოდ ამ მთავარი მოთხოვნის შეუსრულებლობამ განაპირობა.

**ზურაბ პაპასქირი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინებოდა, რომ რუსეთის საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ ოფიციალურად შეატყობინა ქართულ მხარეს გროზნოში, გამსახურდიას დაკრძალვის სავარაუდო ადგილზე, სამშენებლო სამუშაოთა შეჩერების შესახებ



№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

## მოკლედ

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ იური ლუჟკოვის მიერ სევასტოპოლში გაკეთებული განცხადება უთხრის ძირს ორი ქვეყნის ურთიერთობას. კიევში განაცხადეს, რომ მოსკოვის მერმა საჯაროდ დააყენა ეჭვქვეშ ყირიმის სტატუსი უკრაინის შემადგენლობაში, დაადანაშაულა რა კიევი შავი ზღვის ფლოტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევაში და მასობრივ პოლიტიკურ აქციებში მონაწილეობისთვის მოუწოდა უკრაინის მოქალაქეებს. როგორც უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, იგი იტოვებს საპასუხო ზომების მიღების უფლებას.

* * *

ესტონელ პარლამენტარს სურს ბალტიის ზღვაში ქვეყნის ტერიტორიული წყლების გაფართოება. ბალტიის ზღვის ფსკერზე რუსეთ-გერმანიის დამაკავშირებელი ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, დეპუტატმა მმართველ რეფორმატთა პარტიისაგან მოითხოვა ესტონეთის ტერიტორიული წყლების 12 მილამდე გაფართოება. მან უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს ესტონეთი ასეთი გზით აპირებდეს რუსეთისთვის სანკტ-პეტერბურგიდან ბალტიის ზღვაში გასასვლელის ჩაკეტვას.

* * *

„ჰამასის“ რადიკალური ფრთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამოიწურა ისრაელთან დაზავების ვადა. ასეთი განცხადება გაკეთდა „ისლამური ჯიჰადის“ მოთარეშის ლიკვიდაციის შემდეგ, რომელმაც ტერორისტი შეგზავნა თელ-ავივში ავტოვაგზლის ასაფეთქებლად. ასეთი განცხადების მიუხედავად, „ჰამასის“ წევრი-მოთარეშეები ჯერჯერობით იცავენ დაზავების პირობებს. პალესტინის ავტონომიის მეთაურთან მაჰმუდ აბასთან შეხვედრის წინ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ მას საქმე ექნება „ჰამასის“ „ყველაზე გონიერ“ წარმომადგენელთან.

* * *

ბაღდადში მოხდა მეორე ტერორისტული აქტი თვითნაკეთი ქიმიური იარაღის გამოყენებით. სატვირთო მანქანა, რომელსაც ქლორი გადაჰქონდა, აფეთქდა ბაღდადის დასავლეთ ნაწილში, რის შედეგადაც დაიღუპა სამი და დაიჭრა სულ ცოტა 25 კაცი. პირველად მსგავსი ასეთი აქცია განხორციელდა ამ ორიოდე დღის წინათ, იტყობინებიან ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

* * *

„MICROSOFT“ კომპანიის მეთაურმა თავის შვილებს კომპიუტერთან დიდხანს ყოფნა აუკრძალა. ბილ გეიტსის ქალიშვილი ძალზე გაიტაცა კომპიუტერულმა თამაშებმა და გოგონა კომპიუტერთან დღეში 2-3 საათს ატარებდა. გეიტსმა და მისმა მეუღლემ გადაწყვიტეს, რომ ბავშვებისთვის დაეწესებინათ კომპიუტერული „კომენდანტის საათი“. ახლა გეიტსის შვილებს სამუშაო დღეებში გამოუყვეს 45 წუთი „საეკრანო დრო“, უქმე დღეებში კი მათ კომპიუტერთან ერთი საათის გატარების ნებას რთავენ.

* * *

„შავბნელი“ წარსულის მქონე მდიდარი რუსები შვეიცარიას მიაწყდნენ. ერთ-ერთი ასეთია იგორ ხოდორკოვსკი – რუსი ბიზნესმენი, რომელმაც ქონება სათამაშო ავტომატების წარმოებით დააგროვა. ახლა იგი შვეიცარიის ალპებში თერმული ცენტრის გახსნას აპირებს. მაგრამ ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია: 2006 წელს ინვესტიციათა საერთო მოცულობამ 200 მილიარდ დოლარს მიაღწია. ინვესტორებს ძალზე იზიდავთ უძრავი ქონება, საათების მრეწველობა, უახლესი ტექნოლოგიები და სხვა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ზვიად გამსახურდიას სამი საფლავი

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავი განადგურებულია, მისი ნეშტი კი გაქრა. ასეთი განცხადება გააკეთა ექს-პრეზიდენტის ქვრივმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, რომელმაც დაიმოწმა თავისი „ინფორმაციის საიმედო წყაროები ჩეჩნეთში“. მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გამოსვლა წინ უძღოდა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომელსაც სურს სამშობლოში გადმოასვენოს ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ნეშტი.**

პრეზიდენტი გამსახურდია, რომელიც დაამხეს 1992 წელს ეგრეთ წოდებული თბილისის ომის შედეგად, სამჯერ დაკრძალეს.

მაშ შემდეგ, რაც 1993 წლის 31 დეკემბერს გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა (ასეთია ოფიციალური ვერსია), მისი ცხედარი მიაბარეს მიწას სამეგრელოს სოფელ ჯიხაშკარში.

მოგვიანებით ცხედარი საიდუმლოდ გადაასვენეს ჩეჩნეთში, სადაც რესპუბლიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმა დიდი პატივით დაკრძალა იგი გროზნოს ცენტრალურ მოედანზე. პირველი ჩეჩნეთის ომის დროს საქართველოს პრეზიდენტის ნეშტი ასევე საიდუმლოდ გადაასვენეს სხვა ადგილზე, რომელიც ცნობილი იყო მხოლოდ გამსახურდიას ოჯახის წევრებისთვის და დუდაევის პირადი დაცვის მეთაურის აბუჰასან მუკაევისთვის.

„ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გამსახურდიას საფლავს „რუსები და ჩეჩნები აკონტროლებდნენ“, – განაცხადა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ. „ახლა მე არ ვიცი, ნეშტი დაწვეს, თუ სადმე გადამალეს. მოვითხოვ, რომ საქართველოსთან ერთად ამ საქმის გამოძიებაში ნეიტრალური ქვეყნებიც ჩაებნენ. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ზვიად გამსახურდიას ნეშტი თბილისში გადმოასვენონ“. – თქვა მან.



20 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე ქალბატონ არჩვაძეს დაუსვეს ასეთი კითხვა: ხომ არ მოუთხოვიათ მისთვის გამოსასყიდი მეუღლის ნეშტის გადაცემის სანაცვლოდ. „საქმე სულ სხვაგვარად დგას, – თქვა ექს-პრეზიდენტის ქვრივმა. – მათ სურთ, გაუხსნელი დარჩეს პუტჩის, პრეზიდენტის მკვლელობის საქმე, არ გახმაურდეს შემკვეთების და შემსრულებლების ვინაობა“.

ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი კონსტანტინე (ოპოზიციური პარტიის „თავისუფლების“ლიდერი) ასევე დარწმუნებულია, რომ მისი მამა პოლიტიკური მოტივით მოკლეს. კონსტანტინე დამოუკიდებლად იძიებს ზვიად გამსახურდიას დაღუპვის მიზეზებს და გარემოებებს და აპირებს დაადგინოს ჭეშმარიტება. კონსტანტინეს სურს ჩავიდეს ჩეჩნეთში, რათა ადგილზე გაარკვიოს ყველაფერი. მას მიაჩნია, რომ ზვიად გამსახურდიას ნეშტის სამშობლოში გადმოსვენების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ პოპულისტური მოტივით მიიღო. კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ხელისუფლება სულაც არ არის დაინტერესებული ჭეშმარიტების დადგენით.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინებოდა, რომ რუსეთის საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ ოფიციალურად შეატყობინა ქართულ მხარეს გროზნოში, გამსახურდიას დაკრძალვის სავარაუდო ადგილზე, სამშენებლო სამუშაოთა შეჩერების შესახებ.

**ირინე ბარამიძე**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

# ლატვიაში ქართველ და აზერბაიჯანელ მყვინთავებს ამზადებენ

**22 თებერვალს ლატვიის ქალაქ ლიეპაიაში მდებარე ლატვიის საზღვაო ძალების საწვრთნელი ცენტრის მყვინთავთა სკოლაში დაიწყება შესარჩევი გამოცდები, რომლებშიც გამარჯვებულები მიიღებენ მონაწილეობას გემის მყვინთავების მოსამზადებელ საერთაშორისო კონკურსში, გვაცნობეს ლატვიის ეროვნული შეიარაღებული ძალების სარდლის შტაბში.**

პრეტენდენტთა შორის არის ლატვიის და ესტონეთის შეიარაღებული ძალების ორ-ორი სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამი წარმომადგენელი და ერთიც – აზერბაიჯანელი, რომლებიც პირველად გაივლიან შემოწმებას. სკოლაში საქართველოს და აზერბაიჯანის სამხედრო მყვინთავების მომზადების ინიციატივა ეკუთვნის ლატვიას, რომელმაც ამის გაკეთება გადაწყვიტა სამხრეთ კავკასიის რეგიონის უშიშროების სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში.

REGNUM

# ნატოში დადებითად შეაფასეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მუშაობა

**ნატოს შემფასებელმა კომისიამ დადებითად შეაფასა ბოლო წლის განმავლობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მუშაობა და მისცა რეკომენდაციები ყველა მიმართულებით.**



**ეს მისიის წევრებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ.**

შეხვედრაში მონაწილეობდნენ თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ზაზა გოგავა. „რეკომენდაციები, უწინარეს ყოვლისა, ეხება სოციალურ უზრუნველყოფასთან, სტრუქტურულ რეფორმებთან და თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გასავლის ნაწილთან დაკავშირებულ საკითხებს“. – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

როგორც თავდაცვის მოადგილემ აღნიშნა, ქართული მხარე ამუშავებს სტრუქტურული ცვლილებების ალტერნატიულ ვარიანტებს ადგილობრივ რეალიათა გათვალისწინებით, და შეიარაღებული ძალების სტრუქტურის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ქართული მხარე მიიღებს. ბათუ ქუთელიას თქმით, ნატოს მისიის ვიზიტის მთავარი ამოცანაა იმ საკითხების შეფასება და განხილვა, რომელიც აისახება შეფასების დოკუმენტებში, აგრეთვე რეფორმების დროს მიღწეული პროგრესის გაცნობა.

22 თებერვალს კომისიის წევრებმა დაათვალიერეს გორში მდებარე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი და საჩხერის შეიარაღებული ძალების მომზადების სამთო ცენტრი. მისიის ვიზიტი 22 თებერვალს დასრულდა.

НОВОСТИ

ალექსანდრე დიორდიევი:

# „რუს სამშვიდობოებს ცილს სწამებენ“

**საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ 21 თებერვალს გავრცელებული ცნობა, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ**



**„მთვრალი რუსი სამშვიდობოების ჯავშანტრანსპორტიორი გადაბრუნდა ზუგდიდის ცენტრში“, არ შეესაბამება სიმართლეს, და ეს აშკარად პროვოკაციული ხასიათის ინფორმაციაა. ასეთი განცხადება გააკეთა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწემ საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში პოდპოლკოვნიკმა ალექსანდრე დიორდიევმა.**

როგორც მან თქვა, სამშვიდობო ძალების სარდლობა ოფიციალურად აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. „მოხდა სულ უბრალო რამ. გზად მიმავალ მანქანას შეექმნა გარკვეული ტექნიკური ხასიათის პრობლემები, რის გამოც ჯავშანტრანსპორტიორი გზისპირზე გადაიყვანეს, რათა არ შეეშალა ხელი ტრანსპორტის მოძრაობისთვის. გარკვეული დროის შემდეგ გაუმართაობა აღმოიფხვრა და მანქანამ განაგრძო მოძრაობა დასახული მარშრუტით“, – აღნიშნა დიორდიევმა.

ამავე დროს, თქვა შემდეგ მან, „რადგან ზოგიერთ ქართველ ჟურნალისტთან პროფესიულ ეთიკაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს, კოლექტიური სამშვიდობო ძალების წყარო აცხადებს, რომ, „ზუგდიდის ქუჩებში მოძრაობას არ აპირებენ რუს სამშვიდობოთა სიმბოლიკით დამშვენებული წყალქვეშა ნავები, უცხოპლანეტელთა მფრინავი თეფშები და საჰაერო ბალიშის მქონე გემები. ასე რომ, ამის თაობაზე შეიძლება ყველა მშვიდად იყოს“, – დაასკვნა ალექსანდრე დიორდიევმა.

REGNUM

# დღის ამბები

● ასეთ მოულოდნელ მხილებას არ ელოდა ჯერ კიდევ შევარდნაძის მთავრობაში აღზევებული მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც გუშინ და გუშინწინ სახეალეწილი იმართლებდა თავს ტელევიზორის ეკრანზე



◎ გუშინდელი ფოსტიდან

## ძაღლის თავი — პარლამენტში, წურბელები — ხალხის კისერზე...

ჩვენს ჯერჯერობით აწეწილ-დაწეწილ ქვეყანაში რომ ბევრი რამ მკაცრად მისახედია, ეს ყველამ თვალცხადლივ დავინახეთ, როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა საჯაროდ ახადა ფარდა როგორც ვილაცათაგან საეჭვოდ შექმნილ ტრანსპორტის მარეგულირებელ კომისიას, ისე საბაჟო დეპარტამენტს.

მაგრამ თავისით არც არაფერი ჩნდება და არც არაფერი ხდება. ყველას და ყველაფერს თავისი დედ-მამა ჰყავს, თქვენ წარმოიდგინეთ, წურბელასაც...

### ჭირი დანახული ჯობს

ჩემი თავი, როგორც ხალხის მსახურმა დეპუტატმა, პარლამენტში ამოვწურეო, — განაცხადა ამ დღეებში პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ცქიტიშვილმა, და ზარ-ზეიმით გააცილებინა თავი პარლამენტს, მაგრამ ჩემი გული ნაციონალებში რჩებაო, — დააყოლა ბოლოს, სანამ მშობლიურ „ამალთეას" მიაშურებდა. ბევრს, ბუნებრივია, საეჭვოდ გვეჩვენა ამ „მოლვაწეობაამოწურული" დეპუტატის ეს ნაბიჯი, მაგრამ ეშმაკი წყლის ფერია, რას გაიგებ... გაგებით კი ბოლოს მაინც გაცხადდა დაფარული.

როგორც ჩანს, ბატონმა ზურაბ ცქიტიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან მიხეილ მაჭავარიანთან შეთანხმებით (სხვა უფრო მძიმე სიტყვას ამჯერად ნუ ვიხმართ) პარლამენტს მიაღებინა კანონი, რომლის თანახმადაც ისედაც წურბელებით სავსე ჩვენს ცხოვრებას კიდევ ორასი წურბელა დაასვეს კისერზე (ჩვენმა პრეზიდენტმა ზუსტად მოძებნა ეს სიტყვა — წურბელაძ.

არადა, რამდენი საჭირო კანონია ჯერაც მიუღებელი, ანდა გაჯანჯლებული. ეს კანონი კი სასწრაფო წესით მიიღეს.

ცხადია, ასეთ მოულოდნელ მხილებას არ ელოდა ჯერ კიდევ შევარდნაძის მთავრობაში აღზევებული მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც გუშინ და გუშინწინ სახეალეწილი იმართლებდა თავს ტელევიზორის ეკრანზე, მთლად კარგად ვერ გაუგიათ ამ კანონის მნიშვნელობაო. ეს მაშინ, როცა მთლად კარგად კი არა, ძალიანაც კარგად გავიგეთ და დავინახეთ, რაც, სამწუხაროდ, ხდება ჩვენს პარლამენტში. ვიღაცა ვიღაცას მფარველობს, ვიღაცა-ვიღაცას პატრონობს (ცხადია, არა მხოლოდ ლამაზი თვალების გულისთვისძ, და იქნებ ამიტომაც არის, რომ ქვეყანა უპატრონოდ რჩება და თავზე გვენგრევა.

მე პროფესიით იურისტი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ. ვიცი, ჯერჯერობით, ვინ როგორ იყენებს თავის მდგომარეობას. აი, თუნდაც იგივე მიხეილ მაჭავარიანზე ვიტყვი. დღეს, როცა ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებში უთუოდ დროული რეფორმების შედეგად თითქმის არც ერთი ძველი, მით უმეტეს, ასაკოვანი მუშაკი აღარ დარჩა, გენერალურ პროკურატურაში ისევ ერთ-ერთი თანამდებობა უჭირავს მიხეილ მაჭავარიანის სიმამრს, რამაზ ჟღენტს, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ მადლიერმა და გავლენიანმა სიძემ ქალაქის პროკურორადაც კი წამოჭიმა.

ანდა, რას ჰგავდა თვითონ პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოლაიდელის საქციელი... სრულიად სამართლიანად გაცეცხლებული პრეზიდენტი სრულიად სამართლიანად ითხოვდა საბაჟოს უფროსის ანთელიძის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, ის კი, პრემიერ-მინისტრი, ჩანს, თავისი პროტეჟის „გადარჩენას" ცდილობდა: დავაცადოთ, გამოასწორებს საქმესო.

მეც და ჩემთან ერთად ძალიან ბევრი ადამიანი მხარს ვუჭერთ და ვიწონებთ ჩვენი მართლაც ცეცხლოვანი პრეზიდენტის ამ ბოლოჟამინდელ შემართებას საკადრო პოლიტიკის მიმართ.

იმედია, ასეთი პრინციპული, კრიტიკული თვალით გადაისინჯება ჩვენი პარლამენტის მიერ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში მიღებული კანონების სამართლიანობა და ზოგიერთი კანონის მიღების გაჯანჯლების მიზეზებიც.

როგორც ჩანს, კორუფცია კიდევ უფრო ოსტატურად შენიღბული აკეთებს თავის საქმეს.

ასეთი პრინციპული და კრიტიკული მიდგომის შემდეგ, რა თქმა უნდა, ბოლო ხანს გამოქვეყნებულ ერთბაშად გამდიდრებული ქართველების სიას, ალბათ, ზოგ-ზოგი ჩვენი პარლამენტარიც შეავსებს.

ნუგზარ აბუთიძე,
იურისტი

◎ ინფორმაცია

### ნოლაიდელი — „ოპიზაში"

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლაიდელი დღეს საბაჟო ტერმინალ „ოპიზაში" მივიდა.**

პრემიერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი იმ გამარტივებული პროცედურებით დაინტერესდა, რომლებსაც პირველი იანვრიდან საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს.

ზურაბ ნოლაიდელმა საბაჟო დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ზურაბ ანთელიძეს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ იგი წესიერი ადამიანია.

მისივე აზრით, საბაჟო უწყებაში ბოლო პერიოდის განმავლობაში აღმოიფხვრა ინსტიტუციონალური კორუფცია.

ნოლაიდელის თქმით, ნაკლებად მიზანშეწონილია საბაჟო დეპარტამენტის ახალი უფროსის დანიშვნა, რადგან უახლოეს მომავალში შემოსავლების ახალი სამსახური შეიქმნება და მისი ხელმძღვანელის ვინაობაც ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ანთელიძე პოსტიდან გუშინწინ გაათავისუფლეს.

### გაზს ქუმისიდანაც მივიღებთ



**„კანარგო ენერჯის" ქუმისის ჭაბურღილის ბურღვა ოფიციალურად დაიწყო. ჭაბურღილზე მიმდინარე სამუშაოები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა და გაზისა და ნავთობკორპორაციის თავმჯდომარემ ალეკო ხეთაგურმა მოინახულეს.**

როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა განმარტა, ქუმისის ჭაბურღილიდან წამოსული გაზის ერთიან სისტემას შეუერთდება. თუმცა ეს შორეული პერსპექტივაა — ვიდრე ჭაბურღილის გაბურღვა ბოლომდე არ დასრულდება.

— კანარგო ენერჯიდან" გაზის შესყიდვის კონტრაქტი უკვე დადებული გვაქვს. კომპანიას აქვს ყველა ლიცენზია იმისათვის, რომ გათხრისა და მოპოვების სამუშაოები დაიწყოს. ქუმისის ჭაბურღილი უკვე 500 მეტრზეა გათხრილი და ის 3700 მეტრამდე უნდა გაითხაროს. როდესაც ბურღვა წარმატებით დასრულდება, სწორედ მაშინ გვეცოდინება რა რაოდენობის გაზის მიღება იქნება შესაძლებელი, — განაცხადა ზურაბ ნოლაიდელმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველო ენერგორესურსების დივერსიფიკაციას კვლავ განაგრძობს, რათა ქვეყანა მხოლოდ ერთ მომწოდებელზე არ იყოს დამოკიდებული.

* * *

**საქართველოში „კანარგოს" წარმომადგენლობის აღმასრულებელი დირექტორის მიშა ნიბლაძის განცხადებით, კომპანია ქუმისის საბადოზე პერსპექტივაში დამატებითი ჭაბურღილების გათხრასაც განიხილავს.**

ნიბლაძის განმარტებით, თითოეული ჭაბურღილის გათხრის ღირებულება 5 მლნ. დოლარს შეადგენს.

— ქუმისის საბადოზე თუ რა მარაგებია, ამის თქმა წინასწარ ძნელია, როდესაც საძიებო ჭაბურღილზეა საუბარი. ამაზე წინასწარ საუკეთესო გეოლოგებიც კი ვერ ისაუბრებენ, — განაცხადა ნიბლაძემ.

### მარეგულირებელი კომისია ფუნქციებს შეიცვლის

**საქართველოს პარლამენტში, ტრანსპორტის ეროვნული მარეგულირებელი კომისიის სახეცვლილებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის ინიციატივით კანონპროექტი შევიდა, რომლის განხილვას პრეზიდენტი დაჩქარებული წესით მოითხოვს.**

როგორც უმრავლესობის წარმომადგენელი ნიკა გვარამია აცხადებს, ახალი კანონპროექტის მიღების შემდეგ მარეგულირებელი კომისია შეცვლილი ფუნქციით იმუშავებს.

— კომისიას ჩამოსცილდება ტარიფის განაზღვრის უფლება და ტარიფი იქნება თავისუფალი, რაც ხელს შეუწყობს ფასების თვითრეგულირებას. ეს კი მოსახლეობის მდგომარეობაზე საგრძნობლად დადებით გავლენას მოახდენს, — აცხადებს ნიკა გვარამია.

გვარამიას განმარტებით, ეს უშუალოდ პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია, რადგან ამ საქვეუწყებო ორგანოს ხელმძღვანელს სწორედ პრემიერ-მინისტრი ნიშნავს.

კანონპროექტით იცვლება კომისიის დაფინანსების წესი. თუკი აქამდე ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისიის დაფინანსება განისაზღვრებოდა სატარიფო შემოსავლიდან ერთი პროცენტით, ამჯერად ამ ორგანოს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდება.

### კოდორში დაჭრილი ტაგანაშვილი ქუთაისში გადაიყვანეს




**ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში კოდორის ხეობაში დაჭრილი მალხაზ ტაგანაშვილი ჩაიყვანეს.**

ექიმების განცხადებით, მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. მათივე თქმით, მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ოპერაციული ჩარევა დაგვიანდა, რადგან დაჭრილი თავდაპირველად სოხუმში, შემდეგ კი ზუგდიდში იყო გადაყვანილი.

როგორც ცნობილია, ტაგანაშვილი ზემო აფხაზეთში პოლიციის ქვედანაყოფში მსახურობს. წინასწარი ინფორმაციით, მას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი გაუვარდა. იგი მუცლისა და გულ-მკერდის არეშია დაჭრილი.

### ქართველები კვლავ ავღანეთში წავლენ?

**საქართველომ, შესაძლოა, სამშვიდობო კონტინგენტი ავღანეთში გააგზავნოს.**

ამის თაობაზე განცხადება გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ გააკეთა.

— საქართველოს სამშვიდობო კონტინგენტი, შესაძლოა, შედგეს, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პირებისგან, რათა ავღანეთს განვითარებაში დავეხმაროთ. სავარაუდოდ, იქ გაიგზავნებიან ექიმები, ინჟინრები, პოლიციელები და სხვა სფეროს წარმომადგენლები, — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

### ახალშობილი — ნაგვის ბუნკერში



**თბილისის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა წუხელ ვარკეთილში, ნაგვის ბუნკერში ახალშობილი იპოვნეს.**

ახალშობილის დედა უკვე დაკავებულია და იგი შვილის განზრახ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

დამატებითი ინფორმაციის გავრცელებისგან შინაგან საქმეთა სამინისტროში თავს იკავებენ.

### ბულგარეთის გემზე ქართველი დააკავეს

**სანაპირო დაცვის ფოთის ოპერაციების სამმართველოს მესაზღვრეებმა სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, ბულგარეთის დროშით მცურავ გემ „სრედეცზე", საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელიც საქართველოში შემოსვლას ყალბი პასპორტით ცდილობდა.**

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

### წიწვოვნები კვლავ ნადგურდება

**გარემოს დაცვის ინსპექციის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა ახალქალაქში გამოავლინეს 211 მ³ უკანონოდ მოპოვებული წიწვოვანი ჯიშის სამასალე მერქანი.**

ამის შესახებ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან იტყობინებიან. გარემოზე მიყენებული ზიანი 19 300 ლარს შეადგენს.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

# დაიჯესტი

- **გლობალური დათბობა გამონაგონია და უკვე ხუთი წლის მერე აცივებას უნდა ველოდეთ**



**ჩვენებურებზე**

*როტერდამში გამართულ კინოფესტივალზე თავისი ახალი სურათი „შემოდგომის ბაღები“ წარმოადგინა სახელგანთქმულმა ქართველმა რეჟისორმა ოთარ იოსელიანმა. საფრანგეთში მცხოვრებ ხელოვანს დიახაც რომ ამოიცნობ ამ მორიგ იგავში, რომელიც სახალხო მღელვარებათა შედეგად გადაყენებულ მინისტრს შეეხება. ეს ყოფილი დიდჩინოსანი ხელახლა აღმოაჩენს საკუთარი თავისთვის ცხოვრების უბრალო სიამოვნებებს.*

*რეჟისორი არც რას უმატებს იმას, რაც საქართველოსა და საფრანგეთში ათწლეულების სიგრძეზე მუშაობისას უთქვამს; თუმცა განმეორებები ოდნავადაც არ აყენებენ ჩრდილს ამ ოსტატური, ნატიფი, ჩუმი იუმორითა და რეჟისორული ფანტაზიით აღსავსე ფილმის მომხიბვლელობას. არც თვით ოთარ იოსელიანია გამოცვლილი: ძველებურად უყვარს დალევა...*

*ის თბილისში დაიბადა 1943 წლის 2 თებერვალს. 1965-ში დაასრულა დოვჟენკოს სახელოსნო საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. საქართველოში დადგმული აქვს ფილმები. „ფოთოლცვენა“, „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“. საფრანგეთში გამგზავრებულსა და დასახლებულს თავისი ლენტების არც ინტონაციები, არც ხმადაბალი პათოსი არ გაუწირავს. საზღვარგარეთ გატარებული 20 წლის განმავლობაში ორჯერ მეტი ფილმი გადაიღო, ვიდრე სსრ კავშირში ამდენივე ხნის მანძილზე. მათ შორისაა: „მთვარის ფავორიტები“, „და იქმნა სინათლე“, „ნადირობა პეპლებზე“, „ყაჩაღები. თავი VII“, „In Vino Veritas“, „ორშაბათის დილა“.*

*ოთარ იოსელიანს ესაუბრება ცნობილი რუსეთელი კინომცოდნე სტას ტირკინი („КП“, 2-8 თებერვალი).*

# „ფილმების გადაუღებლად გავლოთდებოდი“

— მე მგონია, „სიბერე მშვენიერი შეიძლება იყოს“ თქვენი აბსოლუტურად მომაჯადოებელი სურათი არსებითად იმაზეა, თუ რამდენად მიმზიდველია მოწიფული ასაკი და რა დიდებულად შეიძლება გრძნობდე ასეთ ასაკში თავს: სვამდე ღვინოს, ასფალტზე ცარცით ხატავდე, მუსიკის დაკვრით ტკბებოდე, მეგობარ ქალებს იცვლიდე, მებაღეობას მისდევდე, კინოს იღებდე...

— ეგებ ესეც არის. სიბერე ლამაზი შეიძლება იყოს. სიბერე, ოღონდ არა დაჩაჩანაკება. სიბერე ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი, აუცილებელი მომენტია. მხოლოდ ხანდაზმულობაში ძალგიძს თვით სიცოცხლის უნარის ფასის გაგება, საქციელის ჩადენის ფასის გაგება. სიბერეში ხომ ყოველთვის ისე ჩავდივართ რამეს, თითქოს ეს უკანასკნელი იყოს. ამ დასკვნამდე მისვლა ძალიან საგულისყუროა. სულ თავიდან, ადრეულ ასაკში ასეთ დასკვნამდე კაცი ვერასოდეს ვერ მივა.



## „ღვინოს არაყი მირჩევნია“

**— რამდენად გაგიჭირდათ ცხოვრების შეცვლის, სსრ კავშირიდან საფრანგეთში წასვლის გადაწყვეტილების მიღება, თქვენ ხომ იმ რეჟისორის უნიკალური მაგალითი ხართ, ვინც აბსოლუტურად მიესადაგა უცხო ქვეყნის კინოინდუსტრიას?**

— მე არაფერი გადამიწყვეტია, უბრალოდ ვიცოდი, რომ კინოს უნდა ვიღებდე... სხვანაირად ხომ გავლოთდებოდი. საფრანგეთში მომეცა გადაღების შესაძლებლობა. ასე, რომ ემიგრაციაში არ წავსულვარ, სამუშაოდ გავემგზავრე. მერე გარდაქმნა დადგა, თითქოს ოდნავ უკეთესობა გამოჩნდა, მაგრამ კინო დაიხურა ჩვენთან...

**— ღვინის თემა უცილობლად თან სდევს ყველა თქვენს ფილმს.**

— თვითონ მე ღვინოს საერთოდ ვერ ვიტან. რამე თუ მაინც უნდა დალიო, უფრო კონცენტრირებული მირჩევნია, მაგალითად, არაყი. მარტოობაში სმა კი არ შემიძლია. როცა არავინ არ მეგულება, შემიძლია სულაც არ დავლიო.

**— თუ გეგულებათ?**

— ახლა თუ კომპანიაში ღვინოს სვამენ, მეც დავლევ, ამ სასმელზე არანაირი ალერგია არა მაქვს. უბრალოდ, სიამოვნებით შევცქერი სუფრას, ვაკვირდები, თუ როგორ უჭირავთ ადამიანებს თავი სიფხიზლესა და სიმთვრალეში. მომწონს ასეთი მეტამორფოზების თვალთვალი. ღვინო ჩემს ლენტებში შემომყავს როგორც გასაღები სულის გასახსნელად.

## „მსახიობები ჩემთვის უინტერესონი არიან“

**— „შემოდგომის ბაღები“ — აქ თქვენც ჩნდებით ეკრანზე ერთ-ერთ მთავარ როლში.**

— ამაში არის გარკვეული ანგარიში. ასე იმიტომ ვაკეთებ, რომ უკეთ გავაკონტროლო მსახიობები, ისინი ხომ ჩემთან თითქმის ყველანი არაპროფესიონალები არიან.

**— რატომ აირჩიეთ თქვენთვის ასეთი როლი — ალკოჰოლიკი, პატარა რაღაცაზეც რომ მაგიდის ქვეშ ეცემა?**

— იმიტომ, რომ ისეთი მსახიობი ვერ მოვნახე, როგორიც მსურდა. თვითონ მომიწია თამაშმა.

**— რა თვისებები უნდა ჰქონდეს მსახიობს, რომ გადასაღებად მიიწვიოთ?**

— პირველ რიგში... მსახიობი არ უნდა იყოს. ჩვეულებრივი ნორმალური ადამიანები მაინტერესებს, ზურგს უკან რომ უნიკალური გამოცდილება აქვთ. თითქმის ყველა ჩემს „მსახიობს“ მრავალი წელია ვიცნობ. საკმარისია გადავშალო უბის წიგნაკი და...

**სიკვდილი უკან იხევს**

# კიბოს წამალი



რუსეთის მეცნიერებმა ათი ათასობით ავადმყოფისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ტექნოლოგია დაამუშავეს. ეს ტექნოლოგია პაკლიტაქსელის, ანუ ზოგიერთი სახეობის ონკოლოგიური დაავადების — ფილტვის, საკვერცხის, სარძევე ჯირკვლის კიბოს — ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და იმავდროულად ყველაზე ძვირადღირებული სამკურნალო პრეპარატის საფუძვლის პრაქტიკულად ნებისმიერი რაოდენობით მიღების საშუალებას იძლევა. ახალი ტექნოლოგიით მიღებული სუბსტანცია თავისი სტრუქტურით არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივისგან, თუმცა ავტორთა აზრით, საგრძნობლად უფრო იაფი ეღირება.

საქმე ის არის, რომ პაკლიტაქსელის მაღალი ფასი ფარმაცევტების ახირება კი არ არის, არამედ მისი წარმოების უზარმაზარი ხარჯების შედეგია. ბუნებაში პაკლიტაქსელი მხოლოდ ძალზე ნელა მზარდი ხის — წყნარი ოკეანის ურთხმელის ქერქში შედის. მარტო ერთი პაციენტის სამკურნალოდ აუცილებელი რაოდენობის მისაღებად საჭიროა 10-12 დიდი ხის ქერქი. ცხადია, ასეთი წამალი იაფი ვერ იქნება.

პაკლიტაქსელის საოცარი თვისებები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოაჩინეს და იმის შემდეგ მეცნიერები სულ „შემოვლითი გზების“, ანუ მისი მიღების უფრო იაფი საშუალებების ძიებაში არიან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინთეტიკური ანალოგი ბუნებრივი ნედლეულისგან გამოყოფილ ნივთიერებაზე ბევრად უფრო ძვირი ჯდებოდა.

„ბიოქიმმაშის“ სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული მეთოდი უფრო ბიოტექნოლოგიათა სფეროს განეკუთვნება, რადგან მეცნიერებმა ისწავლეს ამ ძვირფასი წამლის ბუნებრივი ნედლეულისაგან გამოყოფა. ლაპარაკია არა დიდ და მშვენიერ ხეებზე, არამედ სპეციალურ „ინკუბატორში“ — ფერმენტერში გამოზრდილი ურთხმელის უჯრედების კულტურაზე. ეს ის უჯრედებია, რომლებიც სხვებზე ეფექტურად გამოიმუშავებენ სასურველ სუბსტანციას.




მეცნიერებმა გიგანტური კვლევითი მუშაობა გასწიეს, ის დიდი შრომა-გარჯა უკან დარჩა და საჭირო ორიგინალური შტამი წარმატებით გამოიმუშავებს პაკლიტაქსელს, თუმცა ჯერჯერობით ეს ლაბორატორიის პირობებში ხდება. ცხადია, სამრეწველო წარმოებაზე გადასასვლელად დიდი სამუშაო იქნება ჩასატარებელი, მაგრამ მეცნიერებმა უკვე იციან, როგორ უნდა გააკეთონ ეს.

როდის უნდა ველოდოთ ბიოტექნოლოგიურ პაკლიტაქსელს, უფრო სწორად, მის საფუძველზე შექმნილ პრეპარატს. სპეციალისტთა აზრით, თუ ყველაფერი რიგზე იქნება, პრეპარატი შეიძლება წელიწადნახევარში, ორ წელიწადში გამოჩნდეს აფთიაქებში.

უცხოეთის პრესის მიხედვით.

**დედაბუნება**

# ხუთ წელიწადში გლობალური აცივება დაიწყება?

**მკითხველს აქვს აღშფოთების უფლება, ჩვენ კიდევ ასეთი პროგნოზებით გულისხეთქვა გვეჭირვებაო? ოღონდ მოგვწონს თუ არა, მსგავსი ვერსიები არსებობს, მათზე საუბრობენ და წერენ და სილაში ხომ ვერ ჩავმალავთ თავს?**

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პულკოვოს ობსერვატორიის კოსმოსური კვლევების ლაბორატორიის გამგე ხაბიბულო აბდუსამატოვი ამტკიცებს, რომ გლობალური დათბობა გამონაგონია და დარწმუნებულია, რომ უკვე ხუთი წლის მერე აცივებას უნდა ველოდეთ.

ასტრონომი ფიქრობს, რომ ყველაფერში — გლობალურ დათბობას რასაც უწოდებენ, იმაშიც და მომავალ აცივებაშიც დამნაშავეა მზე. მან აღმოაჩინა, რომ მთელი XX საუკუნე მნათობი სულ უფრო მეტად ანათებდა და ამიტომაც აიწია დედამიწაზე საშუალო ტემპერატურამ 0,5 გრადუსით 100 წელიწადში (სწორედ ეს მონაცემები ითვლება გლობალური დათბობის მტკიცებადძ. 1990-იანის დასაწყისში კი მზემ შეწყვიტა გულმოდგინე დაცხუნება. რამდენიმე წელიწადში ტემპერატურა ვარდნას დაიწყებს, ოკეანოლოგები კი ამბობენ, რომ ჯერ კიდევ 2003 წლიდან მიმდინარეობს ოკეანის ზედა ფენების გაცივება.

ხაბიბულო აბდუსამატოვის ერთ-ერთი არგუმენტი ასეთია: მარსზე პერიოდულად ხდება დათბობა და აცივება, თანაც ზუსტად იმავე დროს, როგორც დედამიწაზე! ეს NASA-ს ამასწინანდელი კვლევების შედეგია. არადა წითელ პლანეტაზე არც მარსელები არიან, მით უმეტეს, არც ქარხნები, ავტომობილები და კვალსათბური გაზების სხვა წყაროები, რაც ნიშნავს, რომ ჩვენთანაც და მეზობლებთანაც კლიმატზე გავლენას ახდენენ მარტოოდენ მზე და მისი „გუნდების“ ცვლილებანი. დათბობა არამცდაარამც არ უკავშირდება კვალსათბურულ ეფექტს.

მკვლევარმა დაადგინა, რომ მზე უფრო ძლიერად ან უფრო სუსტად ანათებს მკაცრი ციკლების დაქვემდებარებით: 11-წლისა და საუკუნოვანისა. მზის მცირე ნათების ასწლიანი ციკლი უკვე 2012-ში დაიწყება და აცივების ლოდინი დიდხანს არ მოგვიწევს.



მინიმუმს კი ტემპერატურა 2050 წელს მიაღწევს. საშუალოდ 1,2-1,3 გრადუსით აცივდება, ვიდრე ახლა. წვრილმანია? მაგრამ გლობალური დათბობა ხომ ნაკლები ციფრებით იზომება — ას წელიწადში 0,6 გრადუსი!

მაგალითისთვის ასტრონომს მოჰყავს 1644-1715 წლების ცივი დრო: მაშინ ყინულით დაიფარა სენა და ტემზა, გაიყინა ჰოლანდიის ყველა არხი. გაყინული დნეპრისა და მოსკვა-რეკის სქელ ქერქზე ბაზრობებს აწყობდნენ...

რატომ ანათებს მზე უთანაბროდ? ჯერჯერობით ერთიანი აზრი არ არსებობს. მის წიაღში თერმობირთვული რეაქციები მძვინვარებს და უფრო ასეთ რეაქციებთანაა დაკავშირებული მნათობის ცვალებადობა.

თათარმა მკვლევარმა თავისი თეორიის შესახებ ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის სიმპოზიუმზე და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის მაგნიტიზმის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენებები სერიოზულად არავინ შედავებია...

# სპორტი

● საკვალიფიკაციო შეხვედრებში წარმატება მოიპოვა 17 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა



**ეროვნული ჩემპიონატი**

## ვინ უკეთ მოემზადა?

**დღეს განახლდება ფეხბურთელთა XVIII ეროვნული ჩემპიონატი – II წრის სტარტზე 14 საათზე ითამაშებენ „ბორჯომი“ – „დინამო“, „ბათუმი“ – „დილა“, „მერანი“ – „კახეთი“, „ლოკომოტივი“ – „ზესტაფონი“, „ჩიხურა“ – „ამერი“, „ვიტ ჯორჯია“ – „ტორპედო“, „ოლიმპი“ – „სიონი“.**

გასაგები მიზეზების გამო, XIV ტურის ცენტრალურ მატჩად ქვემოქართლელთა დერბი უნდა მივიჩნიოთ – ქვეყნის ჯერაც მოქმედი ჩემპიონისა და მიმდინარე გათამაშების ერთპიროვნული ლიდერის შეხვედრას წინ პიკანტური ფაქტი უძღოდა – მოგეხსენებათ, ერთი თვის წინათ მოსკოვში გამართულ დსთ-ს თასზე ბოლნისელთა სპორტულ ღირსებას რუსთაველთა რამდენიმე მოთამაშე იცავდა.



ვფიქრობთ, ბრძოლის განახლების წინ უპრიანი იქნება თვალი გადავავლოთ ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს: „ოლიმპი“ – 32, „ვიტ ჯორჯია“, „მერანი“, „ზესტაფონი“ – 30-30, „დინამო“ – 27, „ტორპედო“ – 24, „სიონი“ – 23, „ლოკომოტივი“ – 14, „ბორჯომი“ – 12, „მერანი“ – 11, „ჩიხურა“ – 10, „ბათუმი“ – 9, „დილა“ – 3, „კახეთი“ – 1 ქულა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ I წრის საუკეთესო ბომბარდირმა ნიკოლოზ გელაშვილმა („ვიტ ჯორჯია“) 8 გოლი გაიტანა.

**რაგბი**



## ბორჯღალოსნებიც მიიწვიეს

**შარშან პორტუგალიაში პირველად გაიმართა IRB-ის ერთა თასის გათამაშება. მაშინ მთავარი პრიზისთვის ოთხი გუნდი იბრძოდა. წლეულს მონაწილეთა რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა.**

რუმინეთში 5-16 ივნისს, მასპინძლებთან ერთად, იასპარეზებენ ბორჯღალოსნები, არგენტინისა და იტალიის მეორე ნაკრებები, სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდული გუნდი და ნამიბია. წილისყრის შედეგად, პირველ ჯგუფში მოხვედრილი საქართველო, რუმინეთი და არგენტინა მეორეჯგუფელებს (ნამიბია, სამხრეთ აფრიკა, იტალია) დაუპირისპირდებიან. მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის წინ ამგვარი ტურნირი მართლაც მისწრებაა ჩვენი გუნდისთვის.

**გაუწყებთ IRB-ის ერთა თასის გათამაშების კალენდარს:**

**5 ივნისი.** საქართველო – ნამიბია, არგენტინა (Aძ – იტალია (Aძ, ქურციკები“ (საძ – რუმინეთი.

**10 ივნისი.** საქართველო – „ქურციკები“ (Aძ – ნამიბია, იტალია (Aძ – რუმინეთი.

**16 ივნისი.** საქართველო – იტალია (Aძ, ნამიბია – რუმინეთი, „ქურციკები“ – არგენტინა (Aძ.

**ორბიტაზე**

### სამწუხაროდ, დამარცხდა

**კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მიმდინარე ქალთა საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 175 ათასი დოლარია, საკვალიფიკაციო შეხვედრებში წარმატება მოიპოვა 17 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა, რომელმაც ბრაზილიელი ჟ. ვიჯაიას დამარცხებით – 6:0, 3:6, 6:2 – ძირითადი ბადისკენ გაიკაფა გზა.**



თუმცა იგი ძირითადი ტურნირის პირველსავე წრეში დამარცხდა არგენტინელ კრავეროსთან – 5:7, 6:4, 2:6.

### რეკორდს ვერ შეწვდა

**ამ დღეებში („სრ“ 21.02.07ძ გაცნობეთ, რომ ეთიოპიელმა სტაიერმა კენენისა ბეკელემ დაამხო თავისივე თანამემამულის ჰაილე გებრესელასიეს მსოფლიო რეკორდი 2000 მეტრზე სირბილში.**

ახლა კი სტოკჰოლმში ბეკელემ სცადა ახალი რეკორდის დამყარება 3000 მეტრზე სირბილში. 1000 და 2000 მეტრიან მონაკვეთებზე მან კენიელი დანიელ კომენას ადრინდელი რეკორდის – 7,29,90 – გრაფიკზე უფრო სწრაფად გაირბინა, მესამე კილომეტრზე კი როგორღაც მოეშვა. საბოლოოდ შედეგი – 7.30.51 – მესამეა ამ დისტანციაზე სირბილის ისტორიაში.



### მხოლოდ ბავშვი აკლია

**დიახ, როგორც ცნობილი იტალიელი მოდელი და ტელეწამყვანი მარტა ჩეკეტო აცხადებს, 9 წლის განმავლობაში იტალიის ნაკრებისა და „ფიორენტინას“ ფეხბურთელ ლუკა ტონისთან ურთიერთობით მოპოვებულ ბედნიერებას მხოლოდ მისგან შვილიდა აკლია. „რასაკვირველია, ბავშვი იქნებოდა ყველაზე ბედნიერი მომენტი ჩემს ცხოვრებაში“.**

მიუხედავად იმისა, რომ მისი შეყვარებული იტალიის ნაკრების მოთამაშეა, მარტას არ უნდა გაუძლვეს საფეხბურთო პროგრამას, თუმცა ეს მრავალგზის შესთავაზეს.

აღსანიშნავია, რომ პოპულარული მოდელი და ფეხბურთელი ჯერ კიდევ მაშინ ხვდებოდნენ, როდესაც ტონის ბევრი არავინ იცნობდა, მარტა კი უკვე აღიარებული მოდელი იყო.



**ჩემპიონთა ლიგა**

## ექნებათ მეკარე!

**მარტო ჩვენ როდი გვაქვს მეკარის პრობლემა. აგერ, ბატონო, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია „ბარსელონა“, მაგრამ მისი გოლკიპერი ვალდესი ხანდახან ისეთ ბურთს გაუშვებს ხოლმე, მის ნაცვლად, სირცხვილით შენ გაწითლდები.**

ასე მოხდა „ლივერპულთანაც“ – შესვენების წინ კატალონიელთა კარის ხაზი ამ ბედოვლათმა სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბურთთან ერთად გადაკვეთა, რითაც სტუმრებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა – 1:1. აღნიშნულმა ეპიზოდმა წელში გატეხა ჩემპიონთა ლიგის ჯერ კიდევ მოქმედი გამარჯვებულები – მეორე ტაიმში რაფაელ ბენიტესმა პირწმინდად მოუგო ტექნიკური დუელი ფრანკ რაიკაარდს. შესაბამისად, ტაბლომაც ბრიტანელთა უპირატესობა ასახა – 2:1. ასე რომ, გაგრძელდა „ბროწეულისფერთათვის“ უსიამოვნო ტრადიცია – ბენიტესის გაწვრთნილ გუნდს არასოდეს წაუგია „კამპ ნოუზე“. ხაზგასასმელია ერთი ფაქტიც – რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ ვარჯიშზე ბელამიმ და რიისემ ერთმანეთზე გაიწიეს. მეტიც – უელსელმა თანაკლუბელს თავში გოლფის ჯოხი უთავაზა. ეტყობა, ამ ინციდენტმა ორივეზე დადებითად იმოქმედა – ყოველ შემთხვევაში, გოლები სწორედ დასახელებულმა დუეტმა გაიტანა. დავძენთ, რომ პირენეელთაგან მხოლოდ დეკუმ ივაჟკაცა.





როგორც იქნა, შეწყდა მილანის „ინტერის“ წარმატებათა სერია. ზედიზედ თექვსმეტი გამარჯვების შემდეგ „შავლურჯები“ „ვალენსიამ“ დაამუხრუჭა – 2:2. ისიც უნდა ითქვას, რომ რობერტო მანჩინის შეგირდები „სანსიროზე“ ორჯერ დაწინაურდნენ (კამბიასო, მაიკონიძ, თუმცა ვალში არც ვილა და სილვა დარჩენილან.

ადვილად პროგნოზირებადი შედეგით დასრულდა ჟოზე მოურინიუს ყოფილ და ამჟამინდელ კლუბთა – „პორტუსა“ და „ჩელსის“ დუელი – 1:1. მეტოქეებმა ჩხვლეტები დებიუტშივე გაცვალეს (მეილენეში, შევჩენკოძ, დარჩენილი დრო კი მასპინძელთა უნაყოფო იერიშებში გაილია.

რაც შეეხება მეოთხე წყვილს, „რომასა“ და „ლიონის“ ბრძოლის სიმძაფრეზე იტალიელთა ერთბაშად რვა (!ძ მოთამაშის გაფრთხილება მეტყველებს, თვით მატჩი კი 0:0 დასრულდა.

**საპასუხო რაუნდი ორ კვირაში გაიმართება.**

**ევროლიგა**

## ჰაციოვი ეციით სცომჩებს!



**ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტურის პირველი სათამაშო დღე მასპინძელთა აშკარა უპირატესობით აღინიშნა – მათ ოთხივე შეხვედრა მოიგეს.**

მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს „ბარსელონას“ მძიმე მარცხი „პანათინაიკოსთან“ – 82:102. რასაკვირველია, გასათვალისწინებელია, რომ ბერძნები შინ ყველასთვის მრისხანე ძალას წარმოადგენენ, მაგრამ აქ საქმე ოცქულიან უპირატესობაშია და არა, უბრალოდ, მოგებაში.

კიდევ უფრო იოლად მიაღწია საწადელს ცსკამ. საპატიო ჯილდოს ამჟამინდელმა მფლობელებმა დაცვაში სამაგალითო თამაშით ყოველგვარი შანსი მოუსპეს ბელგრადის „პარტიზანს“ – 64:44.

**დანარჩენი შედეგები:** „ბენეტონი“ – „დინამო- 74:55, „უნიკახა“ – „არისი“ 76:74.

**ჭადრაკი**

## ტრადიციული ყაიმებით

**თითქოს ტრადიციად იქცაო, მექსიკის ქალაქ მორელიაში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირში რვა უძლიერესი დიდოსტატი რომ მონაწილეობს, პირველ სამ ტურში მაინც და მაინც სამ-სამი პარტია ყაიმით დამთავრდა.** ზოგჯერ ამბობენ ხოლმე, რომ მეტოქეები „მშვიდობიანად დაზავდნენო“, თუმცა, თუ ყაიმით დამთავრებულ პარტიებს თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ უმეტეს შემხთვევაში დაფებზე უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობდა.



ასე შეიძლება ითქვას, მაგალითად, მესამე ტურში უკრაინელი ივანჩუკისა და სანკტ-პეტერბურგელი სვიდლერის პარტიაზე, აგრეთვე სომეხ არონიანისა და მოსკოველი მოროზევიჩის ორთაბრძოლაზე.

მესამე ტურში ერთადერთი გამარჯვებით აღინიშნა ინდოელი ვიში ანანდის პარტია ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 16 წლის ნორვეგიელ დიდოსტატ მაგნუს კარლსონთან. ინდოელმა შავებით მე-40 სვლაზე შეძლო ერთი ქულის ჩაწერა და 2 ქულით ივანჩუკთან ერთად გალიდერება.

ცოტა განსხვავებული გამოდგა მე-4 ტური. აქ უკვე მხოლოდ ორი ყაიმი დაფიქსირდა: ტოპალოვი – სვიდლერი და ლეკო-არონიანი.

ამჯერად, ბრწყინვალედ ითამაშა მაგნუს კარლსონმა – მან ტურნირის ერთ-ერთი ლიდერთაგანი – ივანჩუკი დაამარცხა. ჩვეული ოსტატობით სძლია ვიში ანანდმა მოროზევიჩი და 3 ქულით ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა, 2,5 ქულით მეორე ადგილზეა კარლსონი.

● ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სიახლეა. მალე მათთვის, ვისაც სურს აკადემიური განათლება მიიღოს მედიატექნოლოგიების დარგში და წარმატებული კარიერაც მოიპოვოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, კავკასიის უნივერსიტეტში კავკასიის ბიზნესის სკოლასა და კავკასიის სამართლის სკოლასთან ერთად, წლეულს სექტემბრიდან ამოქმედდება კავკასიის მედიის სკოლა

№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

ეროვნულ მუზეუმში

# ექსპოზიციები – ბერლინში, ნიცაში, პარიზსა და ვაშინგტონში...

## საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრის მისია

**საქართველოს ეროვნულ მუზეუმში განახლებული აუდიტორია გაიხსნა, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში მოქმედი BP-ის საკონფერენციო დარბაზის ანალოგიურია და მისი დიზაინი ფრანგული არქიტექტურული კომპანიის „სტუდია მილოუს“ ეკუთვნის. მუზეუმის უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილ აუდიტორიაში ამიერიდან გაიმართება ლექციები, პრეზენტაციები, ფილმების ჩვენებები და კამერული კონცერტები.**

ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ ეს საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრი შეასრულებს მუზეუმის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას – საზოგადოებრიობასთან ურთიერთობას. აქ შეკრებილები გაეცნობიან მუზეუმში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგებს, მოისმენენ ლექციებს ბუნების, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ძველი და თანამედროვე ხელოვნებისა და მუზეუმში დაცული კოლექციების შესახებ. ლექციებს ჩაატარებენ მუზეუმის ექსპერტები და მოწვეული



ქართველი და უცხოელი სპეციალისტები. ეს კულტურული დიალოგი მუზეუმს დაეხმარება შეისწავლოს საზოგადოებრიობის ინტელექტუალური მოთხოვნილება და თავისი საქმიანობა საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ წარმართოს.

– ამ აუდიტორიის გახსნა სიმბოლურია იმ თვალსაზრისით, რომ მუზეუმის განახლება საზოგადოებრივი განვითარების ცენტრიდან იწყება, აქამდე ჩვენ ჩაკეტილები ვიყავით საზოგადოებრიობასთან ურთიერთობაში და დღეს ეს კარი გავხსენით. დარბაზი ყოველდღიურად იმუშავებს და წარმოადგენს საინტერესო პროექტებს. ძალიან მალე საფრანგეთის მუზეუმის დირექტორი თანამედროვე ხელოვნების ტენდენციებზე მოგვითხრობს, შემდეგ კი აქ გაეცნობიან იმ წარმატებული ადამიანების საქმიანობას, ვინც ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას ემსახურება. ამ აუდიტორიის გახსნა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის თვალსაჩინო შედეგია. იუნესკოს ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის განვითარების გეგმაში აისახა კულტურის, განათლების და მეცნიერების ერთობლიობა, – ამბობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი **დავით ლორთქიფანიძე.**

ეროვნულ მუზეუმთან ერთწლიანი პარტნიორობის განმავლობაში BP-მ თავისი წვლილი შეიტანა მრავალ გამოფენაში, კატალოგის გამოცემაში, სამეცნიერო კვლევებში და დმანისის არქეოლოგიურ უბანზე განხორციელებული საქმიანობის ხელშეწყობისა და პოპულარიზების საკითხში.

– ჩვენ ღრმად გვწამს, რომ განათლება და ურთიერთობები მნიშვნელოვანი ფაქტორებია საზოგადოებრიობის განვითარებისთვის. ახალი აუდიტორიის გახსნა და ჩვენი პარტნიორობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, – განაცხადა BP საქართველოს გენერალურმა მენეჯერმა **ჰიუ მაკდოუელმა.**

მუზეუმში საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრის პრეზენტაციაზე იმსჯელეს იუნესკოს მიერ დაფინანსებული ორი პროექტის შესახებ. ამის გარდა, განვითარების გრძელვადიანი გეგმის შესრულებაში მუზეუმს აშშ-ის სამუზეუმო სფეროს ლიდერის სმითსონის ინსტიტუცია ეხმარება. **მუზეუმი მიზნად ისახავს გახდეს წამყვანი ინსტიტუცია კოლექციების მენეჯმენტის, მეცნიერული კვლევის, თანამედროვე ტიპის გამოფენებისა და საზოგადოებრივი განათლების სფეროში. ამის საფუძველზე 2007 წელს უკვე დაგეგმილია ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციები ბერლინში, ნიცაში, პარიზსა და ვაშინგტონში.**

**მზეხა მახარაძე**

სიახლე

# ემატოს ქართულ ჟურნალისტიკას!

## სექტემბრიდან ამოქმედდება კავკასიის მედიის სკოლა

**ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სიახლეა. მალე მათთვის, ვისაც სურს აკადემიური განათლება მიიღოს მედიატექნოლოგიების დარგში და წარმატებული კარიერაც მოიპოვოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე, კავკასიის უნივერსიტეტში კავკასიის ბიზნესის სკოლასა და კავკასიის სამართლის სკოლასთან ერთად, წლეულს სექტემბრიდან ამოქმედდება კავკასიის მედიის სკოლა. იგი მსურველებსა და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს თანამედროვე მედიატექნოლოგიების დასავლური ტიპის საგანმანათლებლო მომსახურებას როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებით.**

კავკასიის მედიის სკოლის ძირითადი პრიორიტეტები იქნება: პროფესიონალიზმი, გლობალური ხედვა, უახლესი ლიტერატურა, პროფესიონალი ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, მოქნილი სტრუქტურა, ხელმისაწვდომობა.

სკოლის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ჟურნალისტიკის თეორიული კურსის 10 საგანს, პრესის ჟურნალისტიკის 5 მიმართულებას, ტელე-რადიო ჟურნალისტიკისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის ხუთ-ხუთ მიმართულებას. სამაგისტრო პროგრამა კი განკუთვნილია როგორც ჟურნალისტიკის სპეციალობის, ასევე სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, საბანკო საქმის, ბიზნესის მართვისა და ადმინისტრირების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათათვის.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს საერთაშორისო, სამაუწყებლო და ბეჭდვითი მედიის მიმართულებებს; მედიამენეჯმენტის, მედიასამართლისა და მედიატექნოლოგიების კვლევის ასპექტებს, რომლებსაც უხელმძღვანელებენ საზოგადოებრიობისთვის ცნობილი და მნიშვნელოვანი სახეები, პროფესიონალი ექსპერტები – ვისაც საზოგადოებრიობა უსმენს და ენდობა. სამაგისტრო პროგრამის გავლის ვადები 2-5 წელია.

კავკასიის მედიის სკოლაში ყველა სტუდენტს საშუალება ექნება ისარგებლოს კომპიუტერული ლაბორატორიით, უახლესი წიგნების მქონე ბიბლიოთეკით, თანამედროვე, აუდიო-ვიზუალური ტექნიკით აღჭურვილი ტელე-რადიო სტუდიით, გაიაროს პრაქტიკა გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებში, ტელეკომპანიებში და საინფორმაციო სააგენტოებში, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციების მიერ გამართულ ტრენინგებსა და კონფერენციებში, ითანამშრომლოს პრაქტიკულ მედიაში, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო გაზეთის, ჟურნალის, სატელევიზიო გადაცემებისა თუ დოკუმენტური და სარეკლამო ტელე-სიუჟეტის შექმნაში, აწარმოოს მედიამენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მოთხოვნებზე გათვლილი ფინანსური და რესურსული ოპერაციები. სკოლა ითანამშრომლებს ქვეყნის ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის წამყვან დაწესებულებებთან.

ახლახან „თბილისი-მარიოტში“ გაიმართა კავკასიის მედიის სკოლის პრეზენტაცია. პროექტის ავტორმა და სკოლის მენეჯერმა თამარ ვეფხვაძემ დაწვრილებით





ილაპარაკა სკოლის პრინციპებსა და სასწავლო გეგმებზე.

– ჩვენი მიზანია წარმატებული, პროფესიონალური და გემოვნებიანი კადრების აღზრდა. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გავლის შემდეგ, სტუდენტი შეძლებს ორიენტირებას ჟურნალისტიკის ანალიტიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებში, პრაქტიკულ ჟურნალისტურ საქმიანობას, თანამედროვე მედიის კვლევასა და მართვას, ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, კვალიფიციური დასკვნების გამოტანასა და ანალიზს, პროფესიული კვალიფიკაციის სისტემურ ამაღლებას, საზოგადოებრიობაში მიმდინარე პროცესების ოპერატიულად ათვისებას, სპეციალურ ლიტერატურასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში სწორ ორიენტაციას, – აღნიშნა ქალბატონმა თამარმა.

**საბაკალავრო პროგრამაზე მიღება მოხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, სამაგისტრო პროგრამის მსურველნი კი გაივლიან სავალდებულო ტესტირებას ინგლისურ ენასა და ზოგად უნარ-ჩვევებში, აგრეთვე, გასაუბრებას ინტერვიუს ფორმით კავკასიის მედიის სკოლაში.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**


# განცხადება

## შპს „მირიანი-ი“-ს ქონების აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ

**შპს „მირიანი-ი“-ს გაკოტრების მმართველი აცხადებს, რომ 2007 წლის 1 მარტს ტარდება აუქციონი შპს „მირიანი-ი“-ს ქონების საჯარო ვაჭრობის წესით (აუქციონიძ გაყიდვის შესახებ.**

1. აუქციონზე გამოტანილი ქონება დაყოფილია სამ ლოტად:

აძ შპს „მირიანი-ი“-ს კუთვნილი მოძრავი ქონება (საკისრები, კლინკერი, კომპიუტერული პროგრამები და სხვა ინვენტარიძ – საწყისი ფასი (დღგ-ს გარეშეძ – 740 466 ლარი;

ბძ შპს „მირიანი-ი“-ს კუთვნილი წილი შპს „პოლიპლასტიკის“ საწესდებო კაპიტალში – საწყისი ფასი – 860 784 ლარი.

გძ დებიტორული მოთხოვნები – საწყისი ფასი – 378 750 ლარი.

2. აუქციონი ტარდება გაკოტრების მმართველის მიერ 2007 წლის 1 მარტს, 12 საათზე, ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. №2.

3. აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა აუქციონის ჩატარებამდე არა უგვიანეს 1 (ერთიძ დღისა, ე. ი. 2007 წლის 28 თებერვლის 18 საათამდე აუქციონის ჩატარების ადგილზე გაკოტრების მმართველს უნდა წარმოუდგინონ:

აძ განცხადება;

ბძ „ბე“-ს გადახდის ქვითარი, რომელიც შეადგენს ლოტის ღირებულების 5 პროცენტს.

გძ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის მოწმობის ასლიძ.

4. ფასის მომატება დაიშვება მხოლოდ ბიჯით, რომელიც შეადგენს ლოტის ღირებულების 0,5 პროცენტს.

5. აუქციონის პირობების დასაკონკრეტებლად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ შპს „მირიანი-ი“-ს გაკოტრების მმართველს აუქციონის დებულების გაცნობის მოთხოვნით ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, 10 საათიდან 18 საათამდე ქ. კასპში, ფარნავაზის ქ. №2. ტელ: 8(93ძ90 21 60; 8(77ძ 50 38 72.

**გაკოტრების მმართველი** **ვ. კაპანაძე**

**22 თებერვალი, 2007 წ.**

● SAS ერთ-ერთი უძველესი სპეციალური დანიშნულების ქვედა-ნაყოფია მსოფლიოში. მისი ისტორია 1940 წლიდან იწყება



⊙ მსოფლიოს ქვეყნების არმიები

# ლეგენდარული ქვედანაყოფი SAS



**ჩვენს პლანეტაზე არსებული ქვეყნების უმრავლესობას ჰყავს არმიები და მათთან ერთად სპეციალური დანიშნულების ძალები. მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას შეუძლია დაიკვეხნოს თავისი სპეციალური ძალების მაღალი მომზადების დონით და ხარისხით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის სპეციალური საჰაერო-სადესანტო სამსახური (SAS – Special air setvice)**

SAS ერთ-ერთი უძველესი სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფია მსოფლიოში. მისი ისტორია 1940 წლიდან იწყება, როდესაც ვიცე-პოლკოვნიკ დადლი კლარკის ინიციატივით „კომანდოსის“ ერთ-ერთი ქვედანაყოფი გადაკეთდა SAS-ის ბატალიონად, 290 ადამიანის შემადგენლობით.

საბრძოლო ნათლობა SAS-ის პირველმა რაზმმა 1941 წლის 7 თებერვალს მიიღო. ოპერაცია „კოლოსის“ დროს მან წარმატებით შეუწყვიტა წყლის მიწოდება მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ბაზას იტალიაში. 1942 წლისათვის SAS-ის ბატალიონი პოლკად (ლეგიონადძ გადაკეთდა და მისი რიცხოვნობა 390 მებრძოლამდე გაიზარდა. SAS-ის ქვედანაყოფი ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანია-იტალიის ჯარების წინააღმდეგ დივერსიულ აქტებს ახორციელებდა – თავს ესხმოდა სამხედრო ობიექტებს, აეროდრომებს, შტაბებს, კავშირგაბმულობის კვანძებს და ა.შ. SAS-მა უკვე 1942 წლის ნოემბრისთვის გაანადგურა მოწინააღმდეგის 400 თვითმფრინავი.

1944 წლისათვის SAS-ის პოლკი ბრიგადის დონემდე გაიზარდა. მასში შედიოდა 2 ბრიტანული პოლკი, 2 ფრანგული პოლკი, 1 ბელგიური ესკადრონი, 1 გერძნული ესკადრონი და 1 კავშირგაბმულობის ესკადრონი. მათ უამრავი სპეცოპერაცია განახორციელეს მთელ ევროპაში: იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში. ზურგში მოქმედებისას მოულოდნელობის ფაქტორს იყენებდნენ და დიდ წარმატებას აღწევდნენ რიცხვით ბევრად მეტ მოწინააღმდეგეზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა SAS-ის ბრიგადის რეორგანიზება. სამშობლოს დაუბრუნდნენ საფრანგეთის, ბელგიის და საბერძნეთის ქვედანაყოფები.

1958 წელს SAS-ის ქვედანაყოფები გაიგზავნა ომანში აჯანყების ჩასახშობად, ხოლო მოგვიანებით, 1963 წელს, ისინი ბორნეოს ჯუნგლებში აღმოჩნდნენ. ებრძოდნენ ინდონეზიელ პარტიზანებს, რომლებიც მალაიზიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგნი იყვნენ.

SAS 1969 წლიდან უდიდეს მხარდაჭერას უწევს ბრიტანეთის პოლიციას ირლანდიის რესპუბლიკური არმიის წაინაღმდეგ კონტრტერორისტული ხასიათის ოპერაციებში.

1977 წელს SAS-მა ორი დიდი ერთობლივი ოპერაცია ჩაატარა გერმანელ და ჰოლანდიელ კოლეგებთან ერთად. გაათავისუფლა მძევლები „ლუფტჰანზას“ კუთვნილი „ბოინგ 737“-დან მოგადიშოში, ასევე ტერორისტების ტყვეობისგან გაათავისუფლა სამგზავრო მატარებელი ჰოლანდიაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1980 წელს განხორციელებული შტურმი ირანის საელჩოზე, რომლის შედეგადაც SAS-ის სახელი მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი.



1982 წელს SAS მონაწილეობდა ანგლო-არგენტინულ დაპირისპირებაში ფოლკლენდის კუნძულებზე, რომლის დროსაც ვერტმფრენის გაუმართაობის გამო დაიღუპა SAS-ის 22 მებრძოლი.

SAS-ის სამი ქვედანაყოფი მოქმედებდა 1991 წელს სპარსეთის ყურეში, მათ ევალებოდათ „სკად“-ის ტიპის რაკეტების აღმოჩენა და კოორდინატების მოკავშირეებისათვის გადაცემა.

შემდეგ იყო სადაზვერვო ტიპის ოპერაციები ბოსნიაში, კოსოვოში (1994-1995 წ.წ.ძ და სპეცოპერაცია ტერორისტების მიერ დაკავებული იაპონიის ელჩის რეზიდენციაში.

2005 წელს გაათავისუფლეს სიერა-ლეონეში ბოევიკების მიერ დატყვევებული ბრიტანელი ჯარისკაცები.

2001-2002 წ.წ. SAS მონაწილეობდა ავღანურ კამპანიაში თალიბანის წინააღმდეგ და 2003 წელს ერაყში სადამ ჰუსეინის დიქტატურის დამხობაში.

სადღეისოდ SAS შედგება 3 პოლკისგან, თითოეული 600-700 ადამიანის რიცხოვნობით.

SAS-ის თითოეული მებრძოლი ისეა მომზადებული, რომ ერთდროულად შეუძლია იყოს ამფეთქებელიც, მყვინთავიც, თარჯიმანიც, ექიმიც და კავშირგაბმულობის სპეციალისტიც, მზად არის, ნებისმიერ დროს შეცვალოს მწყობრიდან გამოსული თანამებრძოლი.

მშვიდობიან პერიოდში SAS-ის მებრძოლებს აცვიათ სტანდარტული საჯარისო უნიფორმა, ხოლო სპეცოპერაციის დროს მათ აძლევენ უფლებას, თავად აირჩიონ ტანსაცმელი. ასევე სრული თავისუფლება აქვთ იარაღის შერჩევაში.

SAS-ის ქვედანაყოფებს აქვთ მსუბუქი იარაღის ძალიან დიდი არსენალი, ასევე დამხმარე საშუალებების თითქმის განუსაზღვრელი არჩევანი, გასაბერი ნავები, ყველგანმავალები, წყალქვეშა თვითმოძრავი აპარატები, „ლენდროვერის“ ჯიპები და DAF-ის სპეც-სატვირთო მანქანები.

SAS-ის ვერტმფრენები გადალებილია სამოქალაქო ფერებში, რათა მებრძოლების დანიშნულების ადგილზე ტრანსპორტირება მაქსიმალურად კონსპირაციულად მოხდეს.

**გიო ქართველიშვილი**

# განცხადება

**თბილისისა და იმერეთის რეგიონის მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო სადაზღვევო მომსახურებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში განსაზღვრული აქვს ქ. თბილისისა და იმერეთის რეგიონში მცხოვრები 200 000-მდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქის უზრვენლყოფა სამედიცინო სადაზღვევო მომსახურებით; მოქალაქე თავად აირჩევს მისთვის სასურველ სადაზღვევო კომპანიას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იწვევს სადაზღვევო კომპანიებს, გამოხატონ 2007 წლის „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პროგრამაში“ მონაწილეობისა და მის ფარგლებში თანამშრომლობის ინტერესი.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ:**
**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს.**

⊙ ინფორმაცია

# სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი გარდაიცვალა

**მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი რომეო მ. გარდაიცვალა. ავადმყოფს თავის ტვინის მოცულობითი პროცესი (შუბლის წილიძ, ქალა ტვინის ტრავმის შემდგომი მდგომარეობა და ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია აღენიშნებოდა. ექიმების პირველადი დასკვნით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი: თავის ტვინის მოცულობითი პროცესის ფონზე განვითარებული პოლიორგანული უკმარისობა გახდა.**

რომეო მ. 2006 წლის 29 აგვისტოს მკვლელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის დააკავეს.

სამკურნალო დაწესებულებაში პაციენტი ბიძინა ე. გარდაიცვალა. 72 წლის ავადმყოფს დასმული ჰქონდა დიაგნოზი – სენილური ფსიქოზი. №5-ე საპყრობილიდან სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი 29 იანვარს გადაიყვანეს.

ბიძინა ე.-ს გარდაცვალების მიზეზი, ექიმების პირველადი დასკვნით, მოხუცებულობითი დაქაბუნების ფონზე განვითარებული გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა.

სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი ზურაბ კ. გარდაიცვალა. ავადმყოფი დაავადებული იყო აივ-ინფექცია/შიდსით, ნეიროშიდსით, აღენიშნებოდა მარჯვენა ბარძაყის ოსტეოსინთეზის შემდგომი მდგომარეობა. გეგუთის №8 საპყრობილიდან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ზურაბ კ. 2006 წლის 22 მაისს გადაიყვანეს.

ექიმების პირველადი დასკვნით პატიმრის გარდაცვალების მიზეზი აივ-ინფექცია/შიდსის ფონზე განვითარებული გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა.

ზურაბ კ. 2005 წელს ქურდობის ბრალდებით დააკავეს. მას 2 წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

**ინტერპრესნიუსი**

თსსუ ა. ალადაშვილის სახელობის კლინიკის კარდიოლოგიური და თერაპიული განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას ვუცხადებთ ექიმ დარეჯან ზუბადალაშვილს მეუღლის

დუგლას ალექსანდრეს ძე ომიაძის

გარდაცვალების გამო.

⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვინაიდან ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა დროიდან იძენს უფლებაუნარიანობას საჯარო სამართლის იურიდიული პირი?**

**ლერი იმნაძე**

**პასუხი:** საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს წესდების (დებულებისძ დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობით უფლებამოსილი პირის დანიშვნის (არჩევისძ დღიდან.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ კერძო სტრუქტურაში, 1 თვეში მიწევს დეკრეტულ შვებულებაში გასვლა. 2 თვეა ხელფასი მომემატა. შრომითი ხელშეკრულება მიმდინარე წლის 2 თებერვალს გამიგრძელეს ერთი წლის ვადით.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი პერიოდის ხელფასიდან მოხდება ჩემთვის მოსაცემი დეკრეტული შვებულების თანხის განსაზღვრა?**

**მაია ნარიმანიძე**



**პასუხი:** კანონის თანახმად, დასაქმებულისთვის გასაცემი ოდენობის განსაზღვრის ბაზას წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება. მაგრამ თუ შრომითი ხელშეკრულებით იგი განსაზღვრული არ არის, ამ შემხთვევაში დახმარების გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდამდე ბოლო 3 თვის განმავლობაში დარიცხული შრომის ანაზღაურების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება.

* * *

**კითხვა: შეიძლება თუ არა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ერთობლივად დააფუძნოს რამდენიმე მმართველობის ორგანომ?**

**მირიან ჯღარკავა**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება ერთობლივად დააფუძნოს რამდენიმე სახელმწიფო მმართველობის ორგანომ.

* * *

**კითხვა: მაინტერესებს, ასაკის გამო, რა შემთხვევაში ენიშნება პენსია პარლამენტის წევრს?**

**ლენა გოგიჩაძე**

**პასუხი:** პარლამენტის წევრს ენიშნება კომპენსაცია და არა პენსია – 65 წლის ასაკის მიღწევისას ან არანაკლებ 25 წლის შრომის საერთო სტაჟით, თუ იგი საპარლამენტო ვადის არანაკლებ 6 თვისა, იყო პარლამენტის წევრი და მისი უფლებამოსილება ვადამდე არ შეწყვეტილა არასაპატიო მიზეზით.

* * *

**კითხვა: ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში ვადიანი ხელშეკრულებით. 5 თვის წინათ გავთხოვდი და ამჟამად 4 თვის ორსული ვარ. გთხოვთ, გამარკვიოთ აინაზღაურებს თუ არა დაწესებულება, სადაც ვმუშაობ, შრომის უუნარობის ფურცელს?**

**პასუხი:** ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში დამსაქმებელი (დაწესებულებაძ დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებას აანაზღაურებს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

))d)))d))) )))d))) )))d))) )) )))

№ 35. პარასკევი, 23 თებერვალი, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

● ღირსი იოანე ჭიმჭიმელის თხზულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სასულიერო მწერლობისათვის. მისი ფრესკა გამოსახული ყოფილა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სხვა წმინდა მამათა და მოწამეთა შორის



## ◎ სულიერება

## ღირსი იოანე ჭიმჭიმელი, ფილოსოფოსი



**23 თებერვალს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღირს იოანე ჭიმჭიმელს იხსენიებს, რომელიც XII საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწე, მთარგმნელი და ფილოსოფოსი იყო.**

... „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი წერს, რომ წმინდა დემეტრე მეფის „დიდებითა, სიმხნითა და გუარითა ცხოვრებასა ალმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა“.

იოანემ განათლება პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში მიიღო. მან თარგმნა რამდენიმე ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულება: 1. „თარგმანებაი ეკლესიასტისაი“ მიტროფანე სმირნელისა, 2. „თარგმანებაი ეკლესიასტისაი“ ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა, 3. „თარგმანებაი მარკოზის სახარებისაი“ თეოფილაქტე ბულგარელისა, 4. მისივე „თარგმანებაი ლუკას სახარებისაი“.

ღირსი იოანე ჭიმჭიმელის თხზულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სასულიერო მწერლობისათვის. მისი ფრესკა გამოსახული ყოფილა **იერუსალიმის ჯვრის მონასტერში**, სხვა წმინდა მამათა და მოწამეთა შორის.

მოსე ჯანაშვილი „საქართველოს ეკლესიის ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ იოანე ჭიმჭიმელს გრემში სალიტერატურო სკოლა ჰქონდა, სადაც იგი ფილოსოფიას, ღვთისმეტყველებას, ბერძნულ, ასურულ და არაბულ ენებს ასწავლიდა.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## ◎ ზღვისპირელთა საყურადღებოდ!

## იქნებ, ასეთი მედეა მოუხდეს ბათუმის სილაჟვარდეს?!

**როგორც ცნობილია, აჭარის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მალე ბათუმში დაიდგმება კოლხთა მეფის ასულის მედეას ძეგლი.** ჩვენ არ ვიცით, საუკეთესო ნამუშევარს კონკურსი გამოავლენს თუ რომელიმე მოქანდაკეს პერსონალურად შეუკვეთავენ (იქნებ, უკვე შეუკვეთეს). საგულისხმოა, რომ ცნობილ მხატვარ-მონუმენტალისტს გურამ გუნიას უკვე რამდენიმე წელია მზადა აქვს ძეგლი არგონავტების თემაზე (მას დიდი შეფასება მისცა ფაზისის აკადემიამ) და, ვინ იცის, იქნებ ბათუმელებიც დაინტერესდნენ ამ ნამუშევრით.

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათზე: ასეთია კოლხთა მეფის ასული მედეა მხატვარ გურამ გუნიას შესრულებით.**

## ◎ ინფორმაცია

## წყლის ტარიფი ქუთაისშიც გაიზრდება

**„ქუთწყალკანალის“ გენერალური დირექტორი კახა მაღლაკელიძე ლეიბორისტების განცხადებებს აბსურდულს უწოდებს.**

მისი თქმით, ქუთაისში წყლის ტარიფი 1996 წელს საკრებულოს გადაწყვეტილებით დადგინდა და მას შემდეგ არ შეცვლილა.

– მოხმარებული წყლის საფასურის 100-პროცენტიანი ამოღების შემთხვევაშიც კი „ქუთწყალკანალის“ მიერ დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების მხოლოდ 30 პროცენტის ანაზღაურებას შეძლებდნენ. წყალკანალის ნორმალური ფუნქციონირებისათვის დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარამდე ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან იხარჯებოდა. ამის გამო საჭირო გახდა ტარიფის გაზრდა. მოსახლეობისთვის – 100 და საწარმო-დაწესებულებისთვის 25 პროცენტით, – განაცხადა მაღლაკელიძემ.

მისივე თქმით, მომდევნო წლიდან ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიების გამოყოფა საჭირო აღარ იქნება.

– თუ ტარიფი არ მოიმატებდა, „ქუთწყალკანალი“ მოსახლეობას სასმელ წყალს ვეღარ მიაწოდებდა, –განაცხადა მაღლაკელიძემ.

## საავადმყოფოს ვალის ნაწილი დაფარა



**რესპუბლიკურ საავადმყოფოს ელექტროენერგიის მოწოდება არ შეუწყდება. კლინიკური საავადმყოფოს ადმინისტრაციამ კომპანიის არსებული მიმდინარე დავალიანების (95 ათასი ლარიძ ნახევარი გუშინ დილით დაფარა. იანვარში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დარჩენილ ნაწილს კი სამედიცინო დაწესებულება 27 თებერვლამდე დაფარავს.**

მიმდინარე ვალის მომსახურებაზე შეთანხმებული ვადის ამოწურვამდე „თელასი“ საუნივერსიტეტო კლინიკას ელექტროენერგიით შეუფერხებლად მოამარაგებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◎ ანეკდოტები

მონებს ზუსტად იმდენ საჭმელსა და ტანსაცმელს აძლევდნენ, რამდენიც საკმარისი იყო მხოლოდ იმისათვის, რომ მათ მუშაობის განგრძობა შეძლებოდათ.

მას შემდეგ ხელფასის ფორმირების პრინციპებში არსებითად არაფერი შეცვლილა.

* * *

ზის ტიპი ბარში და ზედიზედ ცლის არყის ჭიქებს. მისი საუკეთესო მეგობარი ამჩნევს ამას და ეკითხება:



– რა მოხდა?

– ცოლმა მიმატოვა, ჩემ საუკეთესო მეგობარზე გამცვალა...

– მოიცა, მოიცა... მეგონა, რომ შენი საუკეთესო მეგობარი მე ვარ!

– შენ იყავი. ახლა ისაა.

* * *

ნარკომანი გუბესთან დგას და მასში ჯოხით იჩიჩქნება. მეორე ნარკომანი მიუახლოვდება:

– რას აკეთებ?

– ზვიგენებს ვაფრთხობ.

– რაღაც ვერ ვხედავ აქ ზვიგენებს.

– აი, ხომ ხედავ! ესე იგი, კარგად დავიფრთხიე.

* * *

დაიკარგა ბულტერიერი... ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი მპოვნელის სული....

* * *

ზოოპარკიდან გორილა გაიქცა. გამოაქვეყნეს განცხადება მისი ძებნისა და მპოვნელის დასაჩუქრების შესახებ.

დილით ტიპი აივანზე გამოდის და ხედავს, რომ გორილა ხეზე ზის. მაშინვე განმცხადებლებთან დარეკა, მოდითო. ორიოდ წუთში მივიდა თოფიანი კაცი ძალიან პატარა ძაღლთან ერთად.

– ძმაკაც, – ეუბნება ტიპს, – დაპირებულ თანხას მიიღებ, მაგრამ მანამდე ცოტათი უნდა დამეხმარო.

– მაინც რა უნდა გავაკეთო?

– რა და, მე ხეზე ავალ, შევარხევ მას, გორილა ჩამოვარდება, შენ ალზერტიკს გამოუშვებ. ალზერტიკა გაწვრთნილი სასამსახურო ძაღლია და იცის, როგორ მოიქცეს: იგი მაშინვე კვერცხებში ეცემა გორილას, რომელიც ტკივილისგან განძრევას ვერ შეძლებს. მე ხიდან ჩამოვალ და გორილას გავთოკავ. გაიგე?

– ჰო, ყველაფერი გავიგე, მაგრამ მაშინ ეს თოფი რა ჯანდაბად გინდა?

– რას ჰქვია, რა ჯანდაბად მინდა. თუ ხიდან პირველი მე ჩამოვვარდი, ალზერტიკა მოკალი.

## ◎ თაღლითობა

## ყალბ დოკუმენტებს ქართველებიც ამზადებდნენ

**მოსკოვში რამდენიმე ათეული ადამიანი დააკავეს, რომლებიც არალეგალებისთვის ყალბ დოკუმენტებს ამზადებდნენ. დაკავებულთა შორის არიან რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეები.**

დამნაშავეთა ჯგუფის წევრები ყველა იმ აუცილებელ დოკუმენტს ამზადებდნენ, რაც არალეგალს რუსეთში თავისუფლად ცხოვრების უფლებას აძლევდა.

სამართალდამცავებმა ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს კომპიუტერი, რომელიც ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად გამოიყენებოდა. ასევე აღმოჩენილია 300 ყალბი ბეჭედი და დოკუმენტების მილიონამდე მზა ბლანკი.

დადგენილია, რომ ბოლო ექვსი თვის მანძილზე დამნაშავეებმა სამი მილიონი დოლარი გამოიმუშავეს.

ჯგუფის შვიდი წევრი დაპატიმრებულია, დანარჩენები კი ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ ლარის კურსი

**23 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3409 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7130 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2257 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0649 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9694 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4796 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4178 ლარი. |

## ◎ კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14.
ტ: 899 537616; 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.